

2013 წელი

# ადვოკატი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უპრეზიდენტო №1

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება – კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ
- ინტერვიუ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესთან
- განგრძობადი იურიდიული განათლება ადვოკატებისათვის
- ლუარსაბ ანდრონიკაშვილი – ადვოკატი, ქართული იურიდიული სკოლის ფუძემდებელი



ჟურნალის მომზადება და გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

**რედაქტორი:** ზვიად კორძაძე

**სარედაქციო კოლეგია:**

ზაზა ხატიაშვილი, ნინო გვენეტაძე, ინგა თოდრია, მარინე კვაჭაძე, იოსებ ბარათაშვილი, პაატა ტურავა, ზაზა რუხაძე, ზურაბ ძლიერიშვილი, ირაკლი კორძახია, აკაკი ჩარგეიშვილი, ჯეიმს მოლიტერნო.

**კორექტორი:** ესმა მანია

**პროექტის კოორდინატორი:** თინათინ შულაროვა

**დიზაინი:** თამარ დედარიანი

**დიზაინი და დაკაბადონება:** შპს „ტემპერა“

**სტამბა:** შპს. გამომცემლობა „კოლორი“



აკრძალულია ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების, ნაწილობრივი ან მთლიანი, გამოყენება კომერციული მიზნით ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ნებართვის გარეშე.

რედაქტორისგან	3
ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მისალმება	4
ინტერვიუ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესთან	6
განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის კონცეფცია	13
განგრძობადი იურიდიული განათლება – კალენდარი	18
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება	23
ეკატერინე გასიტაშვილი – ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში შეტანილი ცვლილება–დამატებების შესახებ	26
ბექა–ალბულას სამართლის წიგნი	33
ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონარიდი	35
იოსებ ბარათაშვილი – საკუთრების უფლების დაცვა და შეზღუდვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით	36
ნინო გვენეტაძე – მართლმსაჯულების ხარვეზი თუ სასამართლო შეცდომა?	47
პაატა ტურავა – ადმინისტრაციული განსჯადობა	54
სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა–კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ	67
თამარ ღონღაძე – კომენტარი, კიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ	77
ლუარსაბ ანდრონიკაშვილი – ქართული იურიდიული სკოლის ფუძემდებელი	79
ოთარ გამყრელიძე – „ბობოქარი ლუარსაბი“	80



## მოგესალმებით, კოლეგებო!

გილოცავთ პროფესიული ჟურნალის ხელახლა დაბადებას. ჩვენი ჩანაფიქრია, ეს ჟურნალი გახდეს თითოეული თქვენგანის სამაგიდო გამოცემა და დაგეხმაროთ პროფესიულ საქმიანობაში.

ჟურნალში მოცემული იქნება ინფორმაცია ასოციაციაში მიმდინარე სიახლეებზე, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებებზე, განგრძობად იურიდიულ განათლებასა და იმ საკითხებზე, რომელთა შესახებ ინფორმაცია საჭირო და აუცილებელია ასოციაციის წევრისთვის.

ჟურნალს ექნება სამეცნიერო ნაწილი, რომელშიც ასოციაციის წევრ და არა წევრ თეორეტიკოსებს ექნებათ საშუალება, იმსჯელონ იურისპრუდენციის საჭირობოროტო საკითხებზე, ჩამოყალიბებულ პრაქტიკასა და დაგროვილ პრობლემებზე.

ჟურნალის ყოველ ნომერში დაიბეჭდება ევროსასამართლოს ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც პრაქტიკულ საქმიანობაში გამოადგება თითოეულ ადვოკატს.

ადგილი დაეთმობა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებს, ეთიკის კოდექსის განმარტებებსა და მოსაზრებებს ჩამოყალიბებულ პრაქტიკაზე.

ჟურნალის ყდაზე შეამჩნევდით ცნობილ ქართველ იურისტებს და უფლებადამცველებს. ჩვენი მიზანია, ყოველ ნომერში გავიხსენოთ და წარმოვაჩინოთ ერთი ცნობილი და ღვაწლმოსილი ადვოკატი, პატივი მივაგოთ და ახალ თაობას გავაცნოთ ჩვენი პროფესიის ფუძემდებლები.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან ჩამოყალიბებული მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შედეგად ყველა ნომერში დაიბეჭდება ჩვენი საამაყო სამართლის ძეგლების ფოტოები და ინფორმაცია მათ შესახებ.

მე, როგორც ჟურნალის მთავარი რედაქტორი, შემოგთავაზებთ ინტერვიუს ჩვენი პროფესიის და, ზოგადად, სამართლებრივ საკითხებზე იმ ადამიანებთან, რომელთა მოსაზრებები და დასკვნები, ვფიქრობ, საინტერესო იქნება ადვოკატებისთვის.

გვსურს, მადლობა გადავუხადოთ USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტს JILEP-ს, რომელთა ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით მოხერხდა ჟურნალის გამოცემა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით, მადლობას ვუხდით ევროკავშირის პროექტს - „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“, რომელიც უზრუნველყოფს ჟურნალისთვის ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებების თარგმნას.

მადლიერებას გამოვხატავთ ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიმართ, რომელმაც მხარი დაუჭირა პროფესიული ჟურნალის გამოცემის განახლების იდეას.

ჩვენი ჟურნალი გამოიცემა კვარტალში ერთხელ და იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენ მიერ გამოთქმული შენიშვნები და სურვილები მოგვცემს საშუალებას, მომდევნო გამოცემები კიდევ უფრო საინტერესო და თითოეული თქვენგანისთვის პრაქტიკულად გამოსადეგი გახდეს.

პატივისცემით,  
**ბვიად კორძაძე**

რედაქტორი, ასოცირებული პროფესორი (გაუ)



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიმართვა ადვოკატებისადმი

### ძვირფასო კოლეგებო,

გილოცავთ პროფესიული ჟურნალის გამოცემას! ვიმედოვნებთ, ის ხელს შეუწყობს ადვოკატთა პროფესიულ ზრდას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა საბჭომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საადვოკატო საქმიანობა საქართველოში ყოფილიყო დაცული. ყველას გახსოვთ, რა გამოწვევების წინ იდგა ადვოკატთა ასოციაცია ბოლო წლებში, რამდენჯერ დაემუქრა

განადგურების საფრთხე, მაგრამ აღმასრულებელმა საბჭომ შეინარჩუნა ადვოკატთა ასოციაცია და საფუძველი ჩაუყარა ადვოკატთა კორპუსის განვითარებას. არ არსებობს პრეცედენტი, ადვოკატთა ასოციაციას ისე დაეცვას ადვოკატის უფლებები, როგორც ამას აკეთებდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. 9 წლის განმავლობაში გასამართლებული 157 ადვოკატი ჩვენი პროფესიისთვის კატასტროფული სტატისტიკაა. მიუხედავად ასეთი ზეწოლისა, ადვოკატთა კორპუსმა არ დაკარგა ღირსება და ბოლომდე იბრძოდა ადამიანის უფლებებისათვის. ასეთ ღირსეულ ადვოკატთა კორპუსს ალბათ ვერ ინატრებდა ვერც ერთი თავმჯდომარე.

უკანონოდ დაკავებულ ადვოკატთა შემთხვევების შესასწავლად აღმასრულებელმა საბჭომ საქართველოში სამჯერ მოიწვია ევროპის ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის წარმომადგენლები, რომლებმაც ორი წლის განმავლობაში გამოაქვეყნეს სამი დასკვნა საქართველოს ადვოკატთა კორპუსის შესახებ და საქართველოში საადვოკატო საქმიანობის სფერო შეაფასეს რისკის სფეროდ. იგივე დაწერა თავის დასკვნაში ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარმა თომას ჰამარბერგმა, რაც გახდა ჩვენი დაკავებული კოლეგების გათავისუფლების საფუძველი. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ადვოკატთა ასოციაციის შენობაში, თბილისში, ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში, მოაწყო ევროპის ადვოკატთა ასოციაციის და სამართლის საბჭოს აღმოსავლეთ ევროპის აღმასრულებელი (პეკო) კომიტეტის სხდომა, რაც იყო იმის დასტური და გარანტი, რომ ჩვენს ქვეყანაში ადვოკატის პროფესია იქნებოდა დაცული.

საქართველოს უახლეს ისტორიაში შეიქმნა იმის პრეცედენტი, რომ გადაწყვეტილებები მხოლოდ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის საფუძველებზე დაყრდნობით მიიღება. ამაში უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს ეთიკის კომისიას, რომელმაც დაიწყო პროფესიის სტანდარტების სრულყოფა.

ასევე პირველად საქართველოს უახლეს ისტორიაში დაინერგა სავალდებულო განგრძობადი იურიდიული განათლება, რომელმაც ადვოკატებს შესთავაზა მათი მოთხოვნების გათვალისწინებით შედგენილი უფასო საგანმანათლებლო ღონისძიებები.

ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტმა შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც უკვე წარედგინა პარლამენტს როგორც მთავრობის ინიციატივა. აღნიშნული ცვლილებების შემდეგ სრულად გათანაბრდება პროკურორის და ადვოკატის უფლებები და საადვოკატო საქმიანობა საქართველოში გახდება ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და დაცული პროფესია.

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს ძალისხმევით, შევიძინეთ ოფისები ქ.თბილისსა და ქ.ქუთაისში. გავხსენით ბიბლიოთეკები. ადვოკატთა ასოციაცია, საერთაშორისო ადვოკატთა ასოციაციის და გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, წარმოადგენს ბოლო წლებში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად ორგანიზაციას.

დღეისათვის ადვოკატთა ასოციაცია გადადის განვითარების ახალ ეტაპზე, რასაც უნდა მოემსახუროს პროფესიული ჟურნალი „ადვოკატი“.

ჩვენი სურვილია, ჟურნალი გახდეს ადვოკატების სამაგიდო წიგნი! გისურვებთ პროფესიულ წარმატებებს!

უფალი ჰვარავდეს საქართველოს ადვოკატთა კორპუსს!

*პატივისცემით:  
ზაზა ხატიაშვილი  
ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე*



# პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან სასამართლოს საქმიანობაში ჩაურევლობა – დამოუკიდებელი სასამართლოს გარანტი

*ინტერვიუ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძესთან*

*ესაუბრა ჟურნალ ადვოკატის რედაქტორი, ადვოკატი ზვიად კორძაძე*



*– დიდი მადლობა, რომ სტუმრობთ ადვოკატთა ასოციაციის განახლებული ჟურნალის პირველ გამოცემას. დღეს მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებები ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის, განსაკუთრებით ადვოკატებისთვის. წინა ხელისუფლების პირობებში არსებული კალეიდოსკოპური სიჩქარით ცვალებადი საკანონმდებლო გარემო დღეს ჩვენთვის, ადვოკატებისა, და, ზოგადად, სახელმწიფოსთვის, უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ეს გარემო ძალიან ხშირად იცვლებოდა არა სისტემურად, არამედ კონკრეტული სიტუაციებიდან გამომდინარე. საინტერესოა თქვენი აზრი მდგრადი საკანონმდებლო გარემოს ჩამოყალიბებაზე.*

– დიდი მადლობა მონვევისთვის! ჩემთვის პატივია თქვენი ჟურნალის პირველ ნომრის სტუმრობა.

სავსებით გეთანხმებით, რომ მდგრადი საკანონმდებლო გარემო ნებისმიერ სფეროში და, მით უფრო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო თუ ადმინისტრაციულ სფეროებში, უაღრესად მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ეს ფუფუნება არა გვაქვს. როდესაც გადასახადის გადამხდელი მეწარმე სუბიექტი გეგმავს თავის საქმიანობას, ბუნებრივია, ითვალისწინებს საგადასახადო კანონმდებლობას, ერთ მშვენიერ დღეს კი, უცაბედი საკანონმდებლო ცვლილებების გამო, აწყობილი ბიზნესგეგმა თავზე ემხოება და ძალზე ხშირად სერიოზულადაც ზარალდება. სამწუხაროდ, ჩვენ დაგვხვდა ისეთი მემკვიდრეობა, ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საჭიროებს არამხოლოდ ცალკეულ, არამედ, მთელ რიგ შემთხვევებში, ფუნდამენტურ, არსებით ცვლილებებს. მაგალითისთვის ავიღოთ სისხლის სამართლის პოლიტიკა. ამ სფეროში გადასახედია არა მხოლოდ კერძო, არამედ ძირითადი ნაწილი, რომ მიდგომა იყოს თანმიმდევრული, ეფუძნებოდეს ცხად და

ნათელ კონცეფციას, ყველაფერი იყოს ურთიერთშეთანხმებული და არ იქმნებოდეს პრობლემები, როგორსაც ახლა ვაწყდებით.

ჩვენს კომიტეტთან შეიქმნება მრჩეველთა საბჭო, რომელშიც გაერთიანდებიან როგორც სამართლის პრაქტიკოსი სპეციალისტები, ასევე თეორეტიკოსები, მეცნიერები. ეს ჯგუფი მოამზადებს იმ ფუნდამენტურ ცვლილებებს, რომელთა საფუძველზეც შეიქმნება კანონმდებლობა, როგორც სისხლის სამართლის, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელსაც დროთა განმავლობაში შეიძლება დასჭირდეს მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობებით და არა საკანონმდებლო ხარვეზებით გამონეული ცვლილებები. ეს ხანგრძლივი პროცესია. ახალი შენობის ასაშენებლად ჯერ კარგად უნდა დაიგეგმოს კონსტრუქცია, მაგრამ ძველი თავზე რომ არ ჩამოგვექცეს, პარალელურად უნდა ვასწოროთ ხარვეზები, არასწორი კონსტრუქციები... პარლამენტში მთავრობამ შემოიტანა საკანონმდებლო ინიციატივის წესი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებების პროექტი ადვოკატთა უფლებების გაფართოებასთან დაკავშირებით.

*– სხვათა შორის, აღნიშნული ცვლილებები მომზადებულია ადვოკატთა ასოციაციაში სისხლის სამართლის კომიტეტის მიერ ჯერ კიდევ ხელისუფლების ცვლილებამდე, რაშიც არაერთი პრაქტიკოსი თუ თეორეტიკოსო მონაწილეობდა.*

– სწორედ ერთობლივი მუშაობით უნდა მივალნიოთ შედეგს.

*– სამართლებრივ წრეებში არსებობს აზრი, რომ პრობლემების გადაწყვეტა უფრო ქვედა, ფუნდამენტური დონეებიდან, სამართლებრივი პოლიტიკიდან არის საჭირო. აუცილებელია, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბდეს ქვეყნის სამართლებრივი განვითარების კონცეფცია. კერძოდ, არ შეიძლება, მენარმეთა კანონი გერმანული, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობა კი ამერიკული გვექონდეს, შეჯიბრობითობის პრინციპი შემოიღო სისხლის სამართალში და პარალელურად არსებობდეს ინკვიზიციური ნორმები სამოქალაქო სამართალში. ამ სწრაფმა და ერთეულ, კონკრეტულ საჭიროებებს მორგებულმა ცვლილებებმა მოგვცა საკანონმდებლო ვაკხანალია. ხომ არ ფიქრობთ, რომ აუცილებელია, იურისტების, კანონმდებლების, სამინისტროს წარმომადგენლების, თეორეტიკოსების დახმარებით ჩამოყალიბდეს ერთიანი სამართლებრივი განვითარების პოლიტიკა, რომელზეც დაფუძნდება ფუნდამენტური ცვლილებები. ეს ყველაფერი, ალბათ, საკონსტიტუციო საკითხებით უნდა დაიწყოს. უნდა განვსაზღვროთ, რა ტიპის ქვეყანა ვართ და რაზე უნდა აენყოს ეს სამართლებრივი პოლიტიკა.*

– კონსტიტუციით უნდა განისაზღვროს ძირითადი ჩარჩოები, თუმცა სახელმწიფოს მონყობის როგორ ფორმას ავირჩევთ, ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს სამართლის ზოგადი სისტემისთვის. ერთია სისხლის, ადმინისტრაციული, სამოქალაქო სამართლის საფუძველები ასევე სპეციფიკური დარგები სამართლისა, როგორცაა მენარმეთა შესახებ კანონი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი სადაც ვითარება ბუნდოვანია. მეორე მხარეა ისეთი სის-



ტემის შექმნა რომელიც ამ კანონების აღსრულებას უზრუნველყოფს და ეს არის ერთიანი სასამართლო სისტემა. არა ცალკეული შენობა, არამედ მთელი ქალაქი უნდა დავაპროექტოთ.

არც თუ იშვიათად, შეუძლებელი ხდება სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება იმის გამო, რომ ეს სისტემა არ არის სათანადოდ მოწყობილი, ვილაცის უფლებები რჩება შელახული, დაუცველი, ვილაცას ვერ ეძლევა კომპენსაცია, რომელიც სამართლის თვალსაზრისით ეკუთვნის, მაგრამ კანონი არ იძლევა ამის შესაძლებლობას. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემიდან აღებული სხვადასხვა კანონის პრობლემაზე, როგორც თქვენ ბრძანეთ, წლების მანძილზე უშედეგოდ ვსაუბრობთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუნდაც სამოქალაქო და სამენარმეო სამართალში ჩვენთან დღეს დიდი თეთრი ლაქებია. განზოგადებულად თუ ვიტყვით, არსებობს მთელი რიგი სფეროები, რომელთაც საერთოდ არ აწესრიგებს კანონმდებლობა. ეს ქმნის პრობლემებს, ტოვებს სიცარიელებებს, ხვრელებს არასწორი მოქმედებებისთვის. სისტემის შესაქმნელად აუცილებლად მიმაჩნია მისი შემადგენელი ელემენტების ურთიერთთავსებადობა. სხვა შემთხვევაში სისტემა ირღვევა.

**– ირღვევა ან ინსტიტუტები არათანაბრად ვითარდება.**

– დიახ, სწორედ ეს არათანაბრობა ასუსტებს კონსტრუქციას.

**– სწორედ ამ კონსტრუქციის ერთ ნაწილს შევხვები, ეს არის მუდმივად აქტუალური საკითხი – სასამართლო რეფორმა. ეს პროცესი განახლებადი და ცვალებადია. რას გამოიწვევს თქვენი გეზი ამ მიმართულებით? ხომ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ იუსტიციის საბჭოს ცვლილება იუსტიციის საბჭოს რეფორმირებაა და მეტი არაფერი. არის თუ არა ეს კომპლექსური რეფორმების ნაწილი?**

– თუ გაეცნობით „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამის იმ ნაწილს, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას ეხება, სწორედ ეს საკითხია პარტიის კონცეფციის მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ერთი, ნაწილი. იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან მიმართებაში გვაქვს ორი მიზანი: მოხდეს მისი დეპოლიტიზება და იუსტიციის საბჭოს ფორმირებისას თანაბარი შესაძლებლობებით და თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ მოსამართლეთა კორპუსის წევრები და არ იყოს ერთი გამოყოფილი სუბიექტი. მოგეხსენებათ, დღეს იუსტიციის 15-წევრიან უმაღლეს საბჭოს 8 წევრს ირჩევს მოსამართლეთა კონფერენცია უზენაეს სასამართლოს თავჯდომარის წარდგენით. ბუნებრივია, საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი ხდება გარკვეულწილად ერთ პირზე დამოკიდებული. ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ეჭვქვეშ დგება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობა. ახალი პროექტით კი, საბჭოს 6 წევრს აირჩევს პარლამენტი. აქ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ მკვეთრად შეიზღუდა იმ პირთა წრე, ვინც შეიძლება აირჩეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად. საკვალიფიკაციო მოთხოვნებს დაემატა პროფესიული ნიშანი, გამოცდილება, საზოგადოების დამოკიდებულება ამ პირების მიმართ. შემოიფარგლა იმათი წრეც, ვისაც შეუძლია ამ პირების პარლამენტისთვის წარდგენა. შესაბამისად, ამან, ერთი მხრივ, ხარისხი უნდა გაზარდოს იუსტიციის საბჭოს წევრებისა, მეორე მხრივ, პოლიტიკურ სუბიექტებს არ მისცეს

კანდიდატურის დასახელების უფლება. თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციებს გავითვალისწინებთ, ეს ცვლილებები მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯი იქნება სასამართლოს დეპოლიტიზებისთვის.

*– დაუშვათ, გადაიდგა პირველი ნაბიჯები და დღეს არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, შეიცვალა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი. იურისტებისთვის უფრო საინტერესო მეორე ნაბიჯია. სასამართლოების მიმართ არსებობდა, შესაძლოა, გარკვეული პირებისთვის ზოგადი სახიათის, ხოლო ადვოკატებისათვის კონკრეტული პრეტენზიები, რაც კონკრეტულ საქმეებამდე მიდის. ამ პრეტენზიების საფუძველი შეიძლება იყოს ორი რამ: ერთი – მოსამართლეების არაკვალიფიციურობა და მეორე – სხვა ფაქტორები, რომლებიც ზღუდავდა მოსამართლეების დამოუკიდებლობას. იუსტიციის საბჭოში შემავალი ცვლილებები ამ პრობლემებს ბოლომდე ვერ გადაწყვეტს. მოსამართლეთა მიმართ არსებობს რადიკალური მოსაზრებაც, რომ ყველა შესაცვლელია, თუმცა ადამიანური რესურსების თვალსაზრისით, ამის განხორციელება მართლაც რთული იქნება და შედეგებით ლმობიერი დამოკიდებულებაც, რომ ეს ხალხი იძულებით იქცეოდა ასე, რომ შესაბამისი სიტუაციის შექმნის პირობებში, ექნებათ დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება.*

– თქვენი კითხვის ერთი ნაწილი მართლმსაჯულების ფორმალურ მხარეს ეხებოდა, სამოქალაქო პროცესებში, სამწუხაროდ, მოსამართლეები ხშირად სარგებლობენ ინკვიზიციური მეთოდებით. ეს იყო დამახასიათებელი საბჭოთა სისხლის სამართლისთვის. ნებისმიერი განათლებული იურისტი იტყვის რომ, სამოქალაქო სამართალში სასამართლო არ უნდა იყოს ინკვიზიციური. ამის მოგვარება აუცილებელია, პროცესში უნდა ჩაინეროს ისეთი ნორმები, რაც მოსამართლეს არ მისცემს ამის საშუალებას. მაგრამ გადამწყვეტი ფაქტორია, რას ეფუძნება მოსამართლეთა ქცევა: იმას, თუ რას კარნახობენ მას, თუ მის შინაგან რწმენას, დამოუკიდებლობას, თავისუფლებას.

*– ამ ბოლო ფაქტორების თვალსაზრისითაც შეიძლება შეცდეს ის...*

– რასაკვირველია, არსებობს ამის ალბათობა! სწორედ ამიტომ არის ინსტანციურობა, ერთი თუ შეცდა, უნდა არსებობდეს ამ შეცდომის გამოსწორების საშუალება. სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების გარანტია აქაც, სხვა ინსტანციებშიც, არა სრული. მაგრამ თუ შენარჩუნდა არაფორმალური ე.ი. უკანონო ბრძანებისთვის ანგარიშის განევა, მაშინ რაც არ უნდა დავწეროთ, საქმეს არაფერი ეშველება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკური ნება. შესაძლოა, ზედმეტად ოპტიმისტიც ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან სასამართლო საქმიანობაში რამდენიმეწლიანი ჩაურევლობა შეიძლება საკმარისიც აღმოჩნდეს იმისათვის, რომ მოსამართლეებმა იგრძნონ თავისუფლების გემო და დამოუკიდებლობა. ერთი რამის მჯერა, თუ ადამიანი იგრძნობს თავისუფლების გემოს, ძალიან გაუჭირდება მასზე უარის თქმა. სამწუხაროდ, ისეთი ნცობილებიდან მოვდივართ, ისე ვითარდებოდა ჩვენი ქვეყანა, თავისუფლების ხარისხი დიდი არ ყოფილა. ამიტომ როგორმე უნდა მივაღწიოთ იმას, რომ პოლიტიკური ხელისუფლება არ ჩაერიოს სასამართლოს საქმიანობაში. იმავდროულად, თუკი იუსტიციის უმაღლესი საბჭო

არ იქნება დამოკიდებული პოლიტიკურ ხელისუფლებაზე, შესაბამისად, არ იქნება გავლენა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე, მოსამართლეებს ექნებათ შესაძლებლობა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრებად აირჩიონ ის პირები, რომლებსაც თავად ენდობიან, რომლებზეც იქნება დამოკიდებული მათი განსება სხვადასხვა ინსტანციაში, მათი რეკომენდაცია, შერჩევა, დისციპლინური დევნის დაწყება. ეს პროცესი, ადრე თუ გვიან, მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე. რევოლუციური, რადიკალური ცვლილებების მომხრე არა ვარ, რადგან ასეთ შემთხვევაში, თქვენი თქმისა არ იყოს, სხვა პრობლემაც იჩენს თავს – ადამიანური რესურსი, საკადრო საკითხი.

**– რომლის სიმცირის გამოც წინა ხელისუფლებამ ასაკობრივი ზღვარიც დაწია.**

– თუმცა ასაკობრივი ზღვრის დანევა ამ საქმეს არ უშველის. სასამართლო სისტემაში უნდა დაინერგოს კარიერის პრინციპი, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ შეიძლება გამწესდეს პირი, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოში, სულ ცოტა, ხუთი წელი ასრულებდა მოსამართლის მოვალეობას.

**– ხომ არ ფიქრობთ, რომ თანამედროვე საქართველოში ჩამოყალიბებულია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, სასამართლო, როგორც ხელისუფლება – ჯერ არ ჩამოყალიბებულა. შესაბამისად, სასამართლო ვერ ასრულებს ხელისუფლების როლს. მახსენდება ერთადერთი შემთხვევა, როცა სასამართლომ შექმნილ კრიზისულ სიტუაციაში ითამაშა გარკვეული როლი, ეს იყო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როდესაც უზენაესმა სასამართლომ გააუქმა კონკრეტული არჩევნების შედეგები, ძალაში დარჩა მხოლოდ მაჟორიტარული.**

– ვერ დაგეთანხმებით, ამ შემთხვევაში უზენაესმა სასამართლომ გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას და შეიჭრა სფეროში, რომელიც მისი კომპეტენციის ფარგლებს სცილდებოდა.

**– ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ხელისუფლებამ შეიძლება გადააჭარბოს თავის უფლებამოსილებას, მაგრამ ხელისუფლებასავით მოიქცეს. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლო ჩვენში ჯერ ხელისუფლებად ვერ ჩამოყალიბდა.**

– ამის მიზეზი, ერთი მხრივ, არის ჩვენი ცნობიერება. ჩვენ მივიღეთ საბჭოთა მემკვიდრეობა. 1990-იან წლებიდან ვცდილობთ ამ მემკვიდრეობიდან გამოსვლას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჯერ სათანადოდ ვერ შევძელით.

სასამართლოს ხელისუფლებად ჩამოუყალიბებლობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ დანარჩენმა ორმა ხელისუფლებამ, პირველ რიგში, აღმასრულებელმა, ვერ აიძულა თავი, უარი ეთქვა სასამართლოს ზემოქმედებაზე. თუ შვილს არ მიეცი დამოუკიდებლობა და მუდამ საკუთარ ფრთებქვეშ ატარე, ფეხზე ვერ დადგება მყარად. თუ ამ ხელისუფლებას არ მიეცა თავისუფლად განვითარების შესაძლებლობა, თუ მასზე ზემოქმედებს, შინაარსის თვალსაზრისით, თუნდაც ობიექტური და სამართლიანი აზრი, ის მაინც იქნება არასწორი, ის დამოუკიდებლად სიარულს ვერ ისწავლის. ზემოქმედების ნებისმიერი მცდელობა უნდა დაიგმოს

საზოგადოებრივი აზრის მიერ. თუ ცნობილი გახდა ასეთი ფაქტი პოლიტიკოსის მხრიდან, საზოგადოებრივმა აზრმა უნდა შეძლოს ჩემი პოლიტიკიდან გარიცხვა.

*– შემოვიღეთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელსაც მე თავიდან მართალია არ ვემხრობოდი, თუმცა იმ პერიოდში გამოწვეული გარემოებებიდან სისხლის სამართლის საქმეებზე სრულად დაუჭირე მხარი და ვფიქრობდი რომ ნაფიც მსაჯულთა სისტემის დანერგვაში იყო ხნსა. ხომ არ ფიქრობთ, რომ საჭიროა ამ მექანიზმის გაფართოება და შემდგომში ხალხის შემოყვანა სამართლის განხორციელებაში, რასაც ბევრი უარყოფითი მხარეც აქვს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო რომელიც კონკრეტულად ერთ მუხლზე იმუშავებდა და პროკურატურას ექნებოდა უფლება, კონკრეტული საქმისთვის ამ მუხლის კვალიფიკაცია არ მიეცა და მხოლოდ მუხლისთვის აბსოლუტურად შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარებული საქმეები გაეშვა სასამართლოში, რაც თავისთავად გამოიწვევდა ინსტიტუტის დისკრედიტაციას. ხაზს გაუსვამდა მის ნომინალურ ფუნქციებს, რამეთუ ყველა საქმე ერთი სახის განაჩენით დამთავრდებოდა. მიმაჩნია უნდა მოხდეს სწრაფი და რაოდენობრივი გაფართოება. როგორია თქვენი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ?*

– პირველ რიგში, ვიცი, რომ არ ვარ მოხიზლული ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სისტემით, თუმცა ამის არგუმენტებს დღეს აქ არ მოვიყვან. ორიოდ ნორმის ფარგლებში ამ ტიპის სასამართლოს ფუნქციონირება მის უსათუო დისკრედიტაციას გამოიწვევს. თუ ამ სისტემას შემოვიტანდი, დავინყებდი არა ძალიან მძიმე, არამედ მსუბუქი მუხლებით. ასეთი დანაშაული უფრო ხშირია. ზოგჯერ საზოგადოების დამოკიდებულება ამა თუ იმ ფაქტისადმი განსხვავდება პროკურატურისა თუ მოსამართლის დამოკიდებულებისაგან. როდესაც პირი სამართლდება ნარკოტიკების შენახვის ან რეალიზაციისთვის, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის, ასეთი არაერთი შემთხვევის პროვოცირებას ხელისუფლება მისთვის არასასურველი პირების მიმართ, მათი იზოლაციის მიზნით, ხელოვნურად იწვევს. როდესაც ნაფიც მსაჯულებს ბრალდების მხარე ვერაფერს წარუდგენდა პოლიციელის ჩვენების გარდა, სასამართლოს ობიექტური რეაქცია ექნებოდა და გაამართლებდა პირს. რამდენიმე მსგავსი ფაქტის შემდეგ ხელისუფლება იძულებული გახდებოდა, შეენყვიტა ასეთი ქმედებები. მე აქედან დავინყებდი ამ საქმეს. დღეს რომ ყველა მუხლზე გავავრცელოთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ამის რესურსი ნამდვილად არა გვაქვს. არის ისეთი შემხვევები, როდესაც საზოგადოებას მიაჩნია, რომ საჯარო პირი არის დამნაშევე და, შესაბამისად, დასასჯელი, ამ დროს ბრალდებას არა აქვს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მაღალია იმის ალბათობა, რომ ადამიანი მიენდოს საკუთარ ქვეცნობიერს და არაუტყუარი მტკიცებულება მიიჩნიოს საკმარისად და გამოუტანონ გამამტყუნებელი ვერდიქტი. ასეთი ხიფათიც არსებობს. თუმცა იმ პირობებში, როდესაც საზოგადოებაში არ არის სასამართლოსადმი ნდობის მაღალი ხარისხი (ვალთაროთ, რომ ამის საფუძველი საზოგადოებას აქვს), შესაძლებელია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ იმ საპირნონეს როლი იკისროს, რომელიც უფრო სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას მოგვცემს. ეს უფრო იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი ჟიური წავა გამართლების კუთხით, ხელისუფლების არასაკმარის მტკიცებულებებს სწორად შეაფასებს, ვიდრე არასაკმარისი მტკიცებულებების შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას. მეორე ნაწილი მაშინებს და პირველს ვემხრობი.

– კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ადვოკატებს გვეხება. ადვოკატთა შესახებ კანონის პირველ და დღეს მოქმედ ვერსიებს, ასევე პროგრამა „კოდექსის“ ცვლილებებს თუ გადავხედავთ, წავანყდებით საინტერესო ტენდენციებს იმის თაობაზე, თუ როგორ არის უგულვებელყოფილი კონკრეტული პრინციპები ან შეცვლილია თვით პრინციპებიც კი. ამას ემატება კანონში თავიდანვე ჩადებული საკითხები: ადვოკატის სავალდებულო დაზღვევა, რომელიც გვიან უნდა ამოქმედებულიყო და ადვოკატის დაბეგვრის გარკვეული წესების შემუშავება ისე, რომ ადვოკატი არ იბეგრებოდეს სანარმო ობიექტის მსგავსად. ამას ემატება გაურკვეველობები სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და სხვა საკითხები, რომლებიც ეხება ადვოკატურას, ადვოკატის უფლებებს, მოვალეობებს, მის განხორციელებას. როგორ ხედავთ ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თანამშრომლობას ადვოკატთა ასოციაციასთან? ამ ორგანიზაციას უკვე აქვს საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებული ხედვები.

– სავსებით ვეთანხმები კითხვაში გამოთქმულ არსებული სიტუაციის თქვენეულ შეფასებას. იქ, სადაც ხელისუფლება დაინახვდა, რომ ადვოკატები უქმნიდნენ პრობლემას არა მართლმსაჯულების, არამედ მათი სურვილის, მათი მიზნის განხორციელებას, კანონში შედიოდა ცვლილება, რომ ადვოკატების მხრიდან ეს საფრთხე თავიდან აეცილებინათ. ამიტომაც არის აუცილებელი ამ სფეროში არსებითი ცვლილებების შეტანა, სხვა შემთხვევაში, ვერ განხორციელდება შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართალში, თუ არ შეწყდა ინკვიზიციური პროცესი სამოქალაქო სამართალში, გართულებდა სამართლიანობის დადგენა. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯების გადადგმა უკვე დავიწყეთ. არათუ მზად ვართ თანამშრომლობისთვის ადვოკატთა ასოციაციასთან, არამედ მოხარული ვიქნებით და აუცილებლადაც მიგვაჩნია. თქვენი სფეროების პრობლემები, ბუნებრივია, უკეთ თქვენ მოგეხსენებათ და თქვენვე უნდა გამოიჩინოთ თანამშრომლობის ინიციატივა. ადვოკატები პარლამენტში მრავლად არიან – ჩემი პირველი მოადგილე ადვოკატი შალვა შავგულიძეა, კიდევ ერთი მოადგილე ყოფილი ადვოკატი თამაზ ავდალიანია, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეც ყოფილი ადვოკატია, ყოფილი ადვოკატია ყველაზე დიდი ფრაქციის „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ზაქარია ქუცნაშვილიც.... საგულისხმოა, რომ ეს ადამიანები სწორედ არაფორმალურ ლობისტებად გვევლინებიან. მათი სურვილია საკანონმდებლო ბაზის გამართვა. ეს მართლმსაჯულების განხორციელებისთვის აუცილებელი პირობაა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ ნორმების სწორი ინტერპრეტაცია, სწორად აღსრულება, სწორად ხდებოდეს ამის გამოყენება და ადვოკატთა როლი ამ საქმეში ძალიან დიდია. აუცილებელია, ადვოკატთა ასოციაციის წევრები როგორც ცოდნით, ასევე ეთიკური ქმედებებით შეესაბამებოდნენ იმ ამოცანას, რომელიც დგას ადვოკატთა, შესაბამისად, მთელი საზოგადოების წინაშე.

– დიდი მადლობა საგულისხმო საუბრისათვის! ინტერვიუს ბოლო პასაჟი ლოგიკური გადასვლა იქნება ყურნალის მომდევნო ნაწილებისაკენ, რადგან აქ, ამ ყურნალში, სწორედ იმ თემებზეა საუბარი, რასაც ბოლოს შეეხეთ.

ჩვენ კი ქვეყნის სამომავლო განვითარების კვალდაკვალ თქვენთან ნაყოფიერი სამომავლო თანამშრომლობის იმედს ვიტოვებთ.

## განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის კონცეფცია

*(დამტკიცებულია ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2013წ. 26 იანვარს)*

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, ასოციაციის წესდების 151 მუხლის შესაბამისად, ადგენს განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემას, ყველა პრაქტიკოსი ადვოკატისათვის საქართველოში.

### განგრძობადი იურიდიული განათლების მნიშვნელობა და მიზანი

განგრძობადი იურიდიული განათლება გულისხმობს საგანმანათლებლო და საკვალიფიკაციო მოთხოვნების არსებობას ადვოკატებისათვის. განგრძობადი იურიდიული განათლების მიზანია ადვოკატის პროფესიული უნარ-ჩვევების და ცოდნის გაღრმავება.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო უფლებამოსილია განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

- სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, განსაზღვროს მომდევნო წლის სასწავლო პროგრამები;
- სასწავლო ორგანიზაციების აკრედიტაცია;
- სასწავლო კურსების აკრედიტაცია;
- წარსულში გავლილი ტრენინგების აკრედიტაცია;
- სწავლების, პუბლიკაციების აკრედიტაცია;
- სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, ტრენინგებისთვის კრედიტ-საათების მინიჭება და განსაზღვრა;
- განგრძობადი იურიდიული განათლების პროცესის მონიტორინგი.

აღმასრულებელი საბჭო იკრიბება მინიმუმ თვეში ერთხელ, განიხილავს კურსის აკრედიტაციაზე შემოსულ განცხადებებს, იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის მინიჭების ან არ მინიჭების შესახებ.

## აკრედიტაციის სისტემა

აღმასრულებელი საბჭო იყენებს აკრედიტაციის შერეულ სისტემას, რაც გულისხმობს როგორც კურსების ისე ორგანიზაციების აკრედიტაციას.

აღმასრულებელი საბჭო აკრედიტაციას ანიჭებს კონკრეტულ კურსს, რომელიც შემუშავებულია ორგანიზაციის, საგანმანათლებლო ინსტიტუტის ან კომპანიის (მათ შორის იურიდიული ფირმა) მიერ განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის ფარგლებში; თუ ორგანიზაცია ან კომპანია მინიმუმ ხუთჯერ მოიპოვეს კურსის აკრედიტაციას, მაშინ აღმასრულებელმა საბჭომ შესაძლებელია განიხილოს მათი მოთხოვნა ორგანიზაციული აკრედიტაციის შესახებ. აღმასრულებელი საბჭო იტოვებს უფლებას მოთხოვოს აკრედიტაციის მამდიებელ ორგანიზაციას დამატებითი ინფორმაცია მისი შეხედულებისამებრ. ორგანიზაციული აკრედიტაცია გულისხმობს აკრედიტებული ორგანიზაციის მიერ კურსების გამარტივებულ აკრედიტაციას, ასოციაციის სასწავლო ცენტრის ინფორმირებას დაგეგმილი კურსების თაობაზე;

აღმასრულებელ საბჭოში წარმოდგენილი განაცხადი კურსის აკრედიტაციის შესახებ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- კურსის თემა უნდა მოიცავდეს ადვოკატის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- უნდა იყოს განსაზღვრული:
- ტრენინგის/კურსის მიზანი;
  - \* კურსის პროგრამა და დღის წესრიგი;
  - \* კურსის მონაწილეთა რაოდენობა, მათი დასწრების აღრიცხვის მეთოდი;
  - \* კურსის სასწავლო მასალების ჩამონათვალი;
  - \* კურსის განხორციელების ვადები და ტერიტორია (დედაქალაქში / რეგიონებში);
- განაცხადს თან უნდა ერთვოდეს კურსის განმხორციელებელი პირების ბიოგრაფიები და სასწავლო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- აღმასრულებელი საბჭო განსაზღვრავს სხვა დამატებით საკითხებს.

პროვაიდერი ვალდებულია ყოველი ჩატარებული სემინარის შემდეგ წარმოადგინოს ტრენინგის მონაწილეთა სია და ყოველი წლის ბოლოს წარმოადგინოს წლიური ანგარიში ჩატარებული ტრენინგების შესახებ. ასევე ტრენინგის/სასწავლო კურსის შეფასების ფორმა, რომელსაც შეავსებს ყველა მონაწილე. შეფასების შედეგების გათვალისწინება მოხდება აღმასრულებელი საბჭოს მიერ, პროვაიდერისთვის სამომავლო კურსის/ტრენინგის აკრედიტაციისას.

აღმასრულებელი საბჭო იტოვებს შესაძლებლობას მოთხოვოს კურსის/ტრენინგის პროვაიდერს ასოციაციის სასწავლო ცენტრის ან აპარატის თანამშრომლის დასწრება ღონისძიებაზე ტრენინგის შეფასების მიზნით.

ფასიანი კურსების შემოთავაზების შემთხვევაში, პროვაიდერი ვალდებულია გადაიხადოს აღმასრულებელი საბჭოს მიერ დაწესებული აკრედიტაციის გადასახადი და ამავე დროს მიუთითოს განაცხადში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის იმ წევრებისთვის შეღავათების არსებობის შესახებ, რომლებიც სარგებლობენ საწევრო გადასახადის შეღავათებით.

ყველა ორგანიზაცია, რომელიც გეგმავს ტრენინგს/კურსს და მას არა აქვს წინასწარ მოპოვებული აკრედიტაცია აღმასრულებელი საბჭოსგან და აქვს სურვილი, რომ ეს ტრენინგი/კურსი განიხილებოდეს განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, ვალდებულია შეიტანოს განაცხადი აკრედიტაციის შესახებ აღმასრულებელ საბჭოში, ტრენინგის დაწყებამდე 30 დღით ადრე.

აღმასრულებელი საბჭო გადაწყვეტილებას მიიღებს განაცხადის მიღებიდან

30 დღის ვადაში; ეს ვადები არ ვრცელდება იმ ორგანიზაციებზე, რომელთაც უკვე მოპოვებული აქვთ ორგანიზაციული აკრედიტაცია. შესაძლებელია რომ ორგანიზაციამ

აღმასრულებელ საბჭოს მიმართოს უკვე ჩატარებული კურსის აკრედიტაციის შესახებ.

**განგრძობადი იურიდიული განათლების ხელმისაწვდომობა**  
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში ორგანიზებული სავალდებულო კურსების გავლა ადვოკატებისათვის ხდება გადასახადის გარეშე.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს პროფესიული ეთიკის ტრენინგებს ადვოკატებისთვის უფასოდ, მაგრამ აღნიშნული არ გამორიცხავს ეთიკის საკითხებში ფასიანი კურსების აკრედიტაციას აღმასრულებელი საბჭოს მიერ.

**განგრძობადი იურიდიული განათლების პერიოდულობა**

აღმასრულებელი საბჭო ადგენს ერთ წლიან ვადას სავალდებულო კრედიტ-საათების ოდენობის დაგროვებისათვის; სავალდებულო კურსების გასავლელად დადგენილია ერთ წლიანი საანგარიშო პერიოდი. საანგარიშო პერიოდის ათვლა იწყება ყოველი წლის 1 იანვრიდან და სრულდება 31 დეკემბერს.

**განგრძობადი იურიდიული განათლების სავალდებულო კრედიტ/საათების რაოდენობა და მათი გადანაწილება**

აღმასრულებელი საბჭო, სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, ადგენს 12 სავალდებულო კრედიტ-საათს წელიწადში ადვოკატისათვის, ერთი კრედიტ-საათი უდრის 1 ასტრონომიულ საათს.



გარდამავალ პერიოდში (2012 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 1 იანვრამდე) სავალდებულო საათების ზრდა მოხდება ეტაპობრივად; განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში, სავალდებულო კრედიტ-საათების ოდენობად პირველი წლისთვის (2012წ.) განისაზღვრა 6 საათით, სადაც 3 საათი დაეთმო ადვოკატთა პროფესიულ ეთიკას, მიმდინარე წლისათვის (2013 წ.) სავალდებულო კრედიტ-საათების რაოდენობა განისაზღვრა 10 საათით, სადაც 4 საათი დაეთმო ადვოკატთა პროფესიულ ეთიკას.

შესაძლებელია დამატებითი კრედიტ-საათების მომდევნო წლის საანგარიშო პერიოდზე გადატანა, მაგრამ გადატანილი კრედიტ-საათების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ საათს ეთიკის საგანში და 3 საათს სხვა დისციპლინებში.

ახალგაწევრიანებული და ადვოკატის უფლებამოსილება აღდგენილი წევრებისათვის სავალდებულოა, მხოლოდ ეთიკის ტრენინგის გავლა. აღნიშნული მიზნობრივი ჯგუფისთვის ტრენინგები ჩატარდება, 2012 და 2013 წლის ეთიკის მოდულების მიხედვით, მიმდინარე წლის ბოლოს.

### **განრძობადი იურიდიული განათლების სპეციალიზაცია**

ადვოკატებისთვის განგრძობადი იურიდიული განათლების კურსები არ არის განსაზღვრული სპეციალიზაციების მიხედვით. არ არის საჭირო, რომ არსებობდეს კავშირი სპეციალიზაციასა და სავალდებულო განგრძობად იურიდიულ განათლებას შორის, ადვოკატებს უნდა მიეცეთ თავისუფალი არჩევანის უფლება თავად განსაზღვრონ ის ტრენინგები, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათ პრაქტიკას.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიზანია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის სტანდარტების ამოქმედება საქართველოში იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა შორის და ამიტომ მიზანშეწონილია განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემაში ეთიკის, როგორც სავალდებულო კომპონენტის ჩათვლა და ეთიკის საკითხებზე ტრენინგის გავლა.

### **კურსის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და გადამონმების მექანიზმი**

მიმდინარე წლის ბოლოს, ტრენინგების გავლისა და სავალდებულო კრედიტ-საათების დაჯამების ორგანიზებას უზრუნველყოფს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი, სასწავლო წლის მანძილზე პროვაიდერების მიერ მოწოდებული ტრენინგის მონაწილეთა აღრიცხვის საფუძველზე. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შედეგების დაფიქსირება ხდება პროგრამულად, ადვოკატთა ასოციაციის წევრთა საერთო სიაში, თითოეული ადვოკატის პირად საინფორმაციო ბაზაში შეტანის გზით.

### **სანქციები გ.ი.გ.-ის განათლების მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში - გაფრთხილება, უფლებამოსილების შეჩერება**

აღმასრულებელმა საბჭომ უნდა დააწესოს ადმინისტრაციული სანქციები იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი არ აკმაყოფილებს განგრძობადი იურიდიული განათლების მოთხოვნებს.

თუ სასწავლო ცენტრის მიერ დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე (გასული წლის 20 დეკემბრამდე) ადვოკატმა ვერ დააგროვა სავალდებულო კრედიტ-საათები, სასწავლო ცენტრი უგზავნის “გაფრთხილებას” და აძლევს შეტყობინების მიღებიდან 3 თვიან ვადას განგრძობადი იურიდიული განათლების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად; აღნიშნულ პერიოდში ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი უზრუნველყოფს სწავლების ორგანიზებას კრედიტ-საათების დავალიანების მქონე ადვოკატებისათვის. აღნიშნულ სამთვიან პერიოდში, ადვოკატისათვის ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებულ სემინარებზე სწავლება ფასიანია.

კრედიტ-საათების დავალიანების მქონე ადვოკატთა სიას, სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭო, წარუდგენს აღმასრულებელ საბჭოს.

თუ სამი თვის გასვლის შემდეგ ადვოკატი მაინც ვერ დააკმაყოფილებს განგრძობადი იურიდიული განათლების სავალდებულო მოთხოვნებს და ვერ დააგროვებს სავალდებულო კრედიტ-საათებს, მას შეუჩერდება ადვოკატის უფლებამოსილება, სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვებამდე.

მას შემდეგ რაც ადვოკატი დააკმაყოფილებს გასული წლის განგრძობადი იურიდიული განათლების მოთხოვნას, საადვოკატო უფლებამოსილების განახლებისას ადვოკატი ვალდებულია გადაიხადოს საწევრო შენატანთან ერთად დამატებითი გადასახადი, საწევრო გადასახადის ნახევრის ოდენობით.

## **განგრძობადი იურიდიული განათლების შეღავათების სისტემა**

განგრძობადი იურიდიული განათლების მოთხოვნა ვრცელდება თანაბრად ყველა პრაქტიკოს ადვოკატზე, მაგრამ უნდა იყოს გათვალისწინებული ის შემთხვევები, როდესაც ადვოკატს საკუთარი პროფესიული საქმიანობის განხორციელების გამო შეუძლია ან სრულად გაუუქმდება განგრძობადი იურიდიული განათლების მოთხოვნები.

შეღავათი, ითვალისწინებს გარკვეული კრედიტ-საათების დაგროვებას სხვადასხვა სახის საქმიანობის ან აქტივობის განხორციელების შედეგად და ვრცელდება შემდეგი კატეგორიის ადვოკატებზე:

- \* ადვოკატებზე, რომელთაც მინიჭებული აქვთ პროფესორის სტატუსი და/ან ეწევიან საგანმანათლებლო საქმიანობას (ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის ატარებენ აკრედიტირებულ ლექციებს ან სემინარებს), 1 ჩატარებულ ასტრონომიულ საათში ენიჭებათ 1 კრედიტ-საათი.
- \* ადვოკატებზე, რომელთაც თავიანთი ავტორობით, რეფერირებად ჟურნალში განთავსებული აქვთ იურიდიული შინაარსის პუბლიკაცია – ფასდება 3 კრედიტ-საათით.
- \* ადვოკატებზე, რომელთაც თავიანთი ავტორობით გამოცემული აქვთ იურიდიული შინაარსის წიგნი – შესაძლებელია აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭოთ 6 კრედიტ-საათი.

- \* ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის წევრებზე, რომელთაც სავალდებულო კრედიტ-საათები ეთიკის საგანში ეთვლებათ გავლილად.
- \* ადვოკატებზე, რომელთაც მიმდინარე წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კონფერენციებში, წარმოადგენენ სერტიფიკატს; აღმასრულებელი საბჭო ინდივიდუალურად განიხილავს საკითხს და გადაწყვეტს მისანიჭებელი კრედიტ-საათების რაოდენობას.
- \* ადვოკატებზე, რომლებსაც მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიენიჭათ დოქტორის ხარისხი. მათ ენიჭებათ 6 კრედიტ-საათი.
- \* ადვოკატებზე, რომლებიც მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ ტრენინგებზე დასწრებას. (აღნიშნულ შემთხვევაში ადვოკატმა აღმასრულებელი საბჭოს სახელზე უნდა წარმოადგინოს განცხადება და ცნობა ჯანმრთელობის შესახებ).
- \* სხვა სახის შემთხვევები, განიხილება აღმასრულებელი საბჭოს მიერ, ინდივიდუალურად, ადვოკატის განცხადების საფუძველზე.

## განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში დაგეგმილი აკრედიტებული ღონისძიებების შესახებ

*განგრძობადი იურიდიული განათლების კონცეფციის საფუძველზე, 2013 წლის განმავლობაში ადვოკატთა ასოციაციის ყველა წევრმა უნდა დააგროვოს 10 სავალდებულო კრედიტი; 4 კრედიტი ეთიკის საკითხებში, ხოლო დანარჩენი – სხვა აკრედიტებულ ღონისძიებებზე დასწრებით.*

### ტრენინგი ყველა სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი განგრძობადი იურიდიული განათლების (გ.ი.გ.-ის) მიზნებიდან გამომდინარე, USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის JILEP-ის გრანტის ფარგლებში, 2013 წლის 20 თებერვლიდან, იწყებს ადვოკატთა ასოციაციის 3800 წევრისათვის, ტრენინგების ორგანიზებას, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. ტრენინგები ჩატარდება ქ. თბილისსა და ქუთაისში. 2013 წლის განმავლობაში, პროექტით განსაზღვრულია 128 ტრენინგის ჩატარება – 104 ტრენინგი ქ. თბილისში და 24 ტრენინგი ქუთაისში.

ტრენინგის მონაწილეთათვის თეორიული ჯგუფი დაკომპლექტდება 30 მონაწილისაგან. ტრენინგების გრაფიკის მიხედვით, ერთი დღის განმავლობაში დაგეგმილია 2 ტრენინგის ჩატარება. განაწილება მოხდება A და B ჯგუფებში. A ჯგუფს ტრენინგი ჩატარდება დილის, ხოლო B ჯგუფს სადამოს საათებში. ჯგუფში რეგისტრაცია არ არის შეზღუდული სპეციალიზაციის მიხედვით, შესაბამისად ჯგუფის შემადგენლობაში იქნებიან, როგორც სისხლის და სამოქალაქო სამართლის ასევე საერთო სპეციალიზაციის მქონე ადვოკატები.

**ტრენინგების ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი – ადვოკატთა ასოციაციის ოფისი ძმ. ზუბალაშვილების #36.

**ტრენინგის ჩატარების დრო თბილისში:**

A ჯგუფს ტრენინგი ჩატარდება 09:30 საათზე – B ჯგუფს ტრენინგი ჩატარდება 14:00 საათზე.

ტრენინგის ხანგრძლივობა – 4 საათი.

ტრენინგის თემა: ადვოკატთა პროფესიული ეთიკა

**ტრენინგების განრიგი ქ. თბილისში**

აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი
23 სამშაბათი	20 ორშაბათი	4 სამშაბათი	2 სამშაბათი	11 ოთხშაბათი	1 სამშაბათი	5 სამშაბათი
24 ოთხშაბათი	27 ორშაბათი	5 ოთხშაბათი	3 ოთხშაბათი	12 ხუთშაბათი	2 ოთხშაბათი	6 ოთხშაბათი
25 ხუთშაბათი		6 ხუთშაბათი	4 ხუთშაბათი	13 პარასკევი	3 ხუთშაბათი	
		7 პარასკევი	5 პარასკევი	17 სამშაბათი	4 პარასკევი	
		11 სამშაბათი	9 სამშაბათი	18 ოთხშაბათი	8 სამშაბათი	
		12 ოთხშაბათი	10 ოთხშაბათი	19 ხუთშაბათი	9 ოთხშაბათი	
		13 ხუთშაბათი		20 პარასკევი	10 ხუთშაბათი	
		14 პარასკევი		24 სამშაბათი	11 პარასკევი	
				25 ოთხშაბათი	15 სამშაბათი	

**ტრენინგების ჩატარების ადგილი:** ქ. ქუთაისი – ადვოკატთა ასოციაციის ოფისი ნ. დუმბაძის #8.

**ტრენინგის ჩატარების დრო ქუთაისში:** A ჯგუფს ტრენინგი ჩაუტარდება 10:00 საათზე – B ჯგუფს ტრენინგი ჩაუტარდება 14:30 საათზე. ტრენინგის ხანგრძლივობა – 4 საათი.

**ტრენინგების განრიგი ქ. ქუთაისში**

აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი
18 ხუთშაბათი	23 ხუთშაბათი	6 ხუთშაბათი	4 ხუთშაბათი	12 ხუთშაბათი	3 ხუთშაბათი	7 ხუთშაბათი
19 პარასკევი	24 პარასკევი	7 პარასკევი		13 პარასკევი	4 პარასკევი	8 პარასკევი

**ტრენინგი სისხლის სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში სისხლის სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის ადვოკატებს სთავაზობს ნორლაგ-ის (ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში) პროექტით ორგანიზებულ, ტრენინგს თემაზე: სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთება სისხლის სამართლის საქმეებზე, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მხარეთა თანასწორობა. აღნიშნული ტრენინგი მონაწილეებს მისცემს საშუალებას დააგროვონ 6 სავალდებულო კრედიტი. 2013 წლის განმავლობაში, პროექტით განსაზღვრულია 50 ტრენინგის ჩატარება – 33 ტრენინგი ქ. თბილისში და 17 ტრენინგი ქუთაისში.



**ტრენინგი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის**

სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის აკრედიტებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია განთავსდება ადვოკატთა ასოციაციის ვებ. გვერდზე: [www.gba.ge](http://www.gba.ge), სასწავლო ცენტრის Facebook-ის გვერდზე: “GBA სასაწავლო ცენტრი” და ჟურნალ “ადვოკატი”-ს შემდეგ ნომერში.

**ტრენინგებზე რეგისტრაციისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:**

**(+995 32) 222 46 54 (შიდა ნომერი 18)**

**555070786 / 555010605 / 555007708**

**ან მოგვწერეთ:**

[sascavlocentri@gba.ge](mailto:sascavlocentri@gba.ge)

[education@gba.ge](mailto:education@gba.ge)



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია

### *გადაწყვეტილება*

*(მიმოხილვა)*

**საქმე N 046/11**

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 11/05/2011

**საჩივრის ავტორი:** კლიენტი

**საპროცესო კოლეგია:** I საპროცესო კოლეგია

**სავარაუდო დარღვევა:** 1. ნდობის პრინციპი; 2. კონფიდენციალობის პრინციპი;

3. კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი;

4. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი.

**შედეგი:** დისციპლინური დევნის აღძვრა.

**გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი:** 10.06.2011

**განხილვის კოლეგია:** II განხილვის კოლეგია

**დარღვევა:** 1. ინტერესთა კონფლიქტი 2. კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი

**შედეგი:** ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა.

**დისციპლინური სახდელის სახე:** გაფრთხილება.

გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი: 26.10.2012

### **საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილების შინაარსი:**

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემთხვევაში, ადვოკატის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი ნდობის პრინციპის შესახებ, მე-4 მუხლი კონფიდენციალობის ვალდებულების დაცვის შესახებ, მე-5 მუხლი კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვისა და მე-6 მუხლი ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის შესახებ.



ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ „ადვოკატი ვალდებულია, არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს“. იმ პირის წარმომადგენლობის განხორციელებისას, რომლის ინტერესებიც შესაძლოა დაუპირისპირდეს არსებული კლიენტის ინტერესებს, წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე.

**განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების შინაარსი:**

*ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:*

1. ადვოკატს კლიენტმა - “ამხანაგობამ” გაუფორმა რწმუნებულება, რომელიც 2009 წლის 12 მაისს შეუწყვიტა.
2. ადვოკატმა 2009 წლის 09 მაისს შეისყიდა მიწის ნაკვეთი, რომლის ნაწილიც სადავო იყო მიწის ნაკვეთის ყოფილ მესაკუთრესა და “ამხანაგობას” შორის. ადვოკატმა 2009 წლის 05 ივნისს აღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულება გააუქმა.
3. ადვოკატის კლიენტის - “ამხანაგობის” სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება დაკმაყოფილდა და სასამართლოს განჩინებით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა სარეგისტრაციო წარმოების დასრულება ადვოკატის 2009 წლის 11 მაისის განცხადებასთან დაკავშირებით, უძრავი ქონების რეგისტრაციის თაობაზე.

**სამართლებრივი შეფასება:**

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა კლიენტის ინტერესების წარმომადგენლობისას პროფესიული ფუნქციები უნდა განახორციელოს ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავისი პირადი ინტერესების, სხვა კლიენტისა და ნებისმიერი პირის გავლენის გარეშე. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული და ინტერესთა კონფლიქტი ადვოკატის პირად ინტერესებსა და კლიენტის ინტერესებს შორის, უნდა გადაწყდეს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე № 057/10, მიიჩნია, რომ “ადვოკატს, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას კლიენტის წინაშე აკისრია დამოუკიდებლობის პერსონალური განსჯის ვალდებულება. ადვოკატებმა პროფესიული განსჯა უნდა განახორციელონ თავიანთი კლიენტის სახელით, ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესების, სხვა კლიენტის ინტერესების, მესამე პირთა ინტერესების და სხვათა მხრიდან ნებისმიერი გავლენის გარეშე.”

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში, ადვოკატი იყო “ამხანაგობის” წევრი და იმავდროულად ახორციელებდა საადვოკატო მომსახურებას “ამხანაგობის” ინტერესების დასაცავად. გასათვალისწინებელია, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს გარკვეული შენატანის გაღება. სამოქალაქო კოდექსი აღნიშნული ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებულ შენატანად დასაშვებად მიიჩნევს ყველა სახის აქტივს, რომელიც “ამხანაგობის” წევრს შეაქვს საერთო საქმეში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს საერთო მიზნის სწრაფად და ეფექტიანად მიღწევას. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის შენატანს “ამხანაგობაში” წარმოადგენდა იურიდიული მომსახურების გაწევა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობდა, რომ ადვოკატს თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულებით უნდა უზრუნველყო “ამხანაგობის” წინაშე აღებული ვალდებულებები - საადვოკატო მომსახურება, წარმომადგენლობა. ადვოკატი საადვოკატო მომსახურების დროს წარმოადგენს პირს, რომელიც ასრულებს პროფესიულ ვალდებულებას, მიუხედავად იმისა, საკუთარი ოჯახის წევრს უწევს მომსახურებას თუ სხვა პირს, მოცემულ შემთხვევაში - “ამხანაგობას”; ყოველი მათგანი ადვოკატის კლიენტია და ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კანონისა და პროფესიული ვალდებულებების ფარგლებში.

ადვოკატმა “ამხანაგობის” მომიჯნავე მიწის ნაკვეთი შეიძინა და ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა 2009 წლის 09 მაისს. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატი ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ წარმოადგენდა “ამხანაგობის” ინტერესებს, რწმუნებულება მხარეებს შორის ძალაში იყო და “ამხანაგობის” გადაწყვეტილებით, 2009 წლის 12 მაისს ადვოკატს სანოტარო წესით გაუუქმდა მინდობილობა. ადვოკატის მიერ შეძენილი უძრავი ქონების ზედდება მოხდა “ამხანაგობის” უძრავ ქონებაზე, ამ უკანასკნელის მიწის ნაკვეთის ნაწილი ადვოკატის მიერ შეძენილი ქონების საზღვრებში მოექცა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ადვოკატის მიერ მიწის ნაკვეთის შეძენამდე, ამ ქონების ყოფილი მესაკუთრის საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე წარმომადგენლობასაც იგივე ადვოკატი ახორციელებდა და, აზომვითი ნახაზის მიხედვით, მისთვის, სავარაუდოდ, ცნობილი უნდა ყოფილიყო მიწის ნაკვეთების გადაფარვის ფაქტი.

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, “ამხანაგობამ” სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით, ადვოკატს არ მისცა საჯარო რეესტრში უძრავი ქონების დარეგისტრირების შესაძლებლობა. ადვოკატმა ნასყიდობის ხელშეკრულება 2009 წლის 05 ივნისს მხოლოდ მას შემდეგ გააუქმა, რაც “ამხანაგობამ” სადავო ქონებაზე სასამართლოში წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა უზრუნველყო.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ აღნიშნული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ წარმოიშვა მხარეებს შორის ინტერესთა კონფლიქტი. ადვოკატის პირადი ინტერესები დაუპირისპირდა მისივე კლიენტის - “ამხანაგობის” ინტერესებს, რადგან ადვოკატის სადავო მიწის ნაკვეთის ერთი ნაწილის საკუთრების უფლება დაუპირისპირდა კლიენტის (“ამხანაგობა”) საკუთრების უფლებას. ადვოკატმა თავად დააყენა რისკის ქვეშ კლიენტის ინტერესების დაცვა და არჩევანი პირად ინტერესებსა და “ამხანაგობის” ინტერესებს შორის, საკუთარი ინტერესების პრიორიტეტულობის სასარგებლოდ

გაკეთა. შესაბამისად, ჯერ კიდევ წარმომადგენლობის განხორციელების პროცესში, ადვოკატმა საფრთხე შეუქმნა კლიენტის უფლებების დაცვას.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატს შეეძლო და ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა რისკი, რაც წასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას ახლდა და ამით თავი აერიდებინა ინტერესთა შეუთავსებლობის პრობლემისათვის.

*შენიშვნა: ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.*

## ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში

### შებანილი ცვლილება-დამატებების შესახებ

(კომენტარები)

#### **ეკატერინე გასიტაშვილი**

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი,  
ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,  
ეთიკის კოდექსში ცვლილება-დამატებების პროექტზე  
მომუშავე ჯგუფის წევრი**

2012 წლის 08 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ საერთო კრებაზე მიიღო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში (15.05.2006) ცვლილებები და დამატებები.

ეთიკის კოდექსში შესატან ცვლილება-დამატებათა პროექტზე მუშაობდა იურისტთა ჯგუფი, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ყოფილი თავმჯდომარის ირაკლი კორძაბიას ხელმძღვანელობით. სამუშაო ჯგუფმა US-AID – ის აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გამდიერების პროექტის (EWMI-JILEP) მხარდაჭერით გააერთიანა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიისა და აღმასრულებელი საბჭოს წევრები, ადვოკატები, ადვოკატთა ასოციაციის მხარდამჭერი დონორი ორგანიზაციების: USAID - ის EWMI - JILEP - ის, ევროკავშირის კანონის უზენაესობის მხარდამჭერი პროექტის, ABA - ს, არასამთავრობო ორგანიზაციების - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) და კონსტიტუციის 42-ე მუხლის წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფს ფასეული რჩევები მიაწოდეს USAID - ის EWMI - JILEP - ის მიერ მოწვეულმა ექსპერტმა - Washington & Lee უნივერსიტეტის პროფესორმა ჯეიმს მოლიტერნომ და ევროგაერთიანების კანონის უზენაესობის მხარდამჭერი პროექტის მიერ მოწვეულმა ექსპერტმა ჯერზეი კლატკამ.

წინამდებარე კომენტარები ასახავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კონკრეტულ ნორმებში შეტანილი ცვლილებისა და დამატების მიზანს; ეთიკის კოდექსის ცალკეული ნორმების ახლებურმა რედაქციამ გაიზიარა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ევროპული სტანდარტები, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2010-2012 წლების პრაქტიკა, როგორც სასამართლოს მსგავსი ორგანოს მიერ განმარტებული პროფესიული ქცევის სტანდარტი და ადვოკატის პროფესიული ვალდებულებები, თუმცა, პროფესიული ქცევის წესების განვითარება საადვოკატო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია და მომავალში შესაძლებელია კვლავ დაიხვეწოს კონკრეტული ნორმები.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულაში გაცხადებულია საადვოკატო საქმიანობისას მნიშვნელოვანი პროფესიული ღირებულებები, რომელიც ხელს უწყობს ადვოკატის, როგორც თავისუფალი პროფესიის პირის, საქმიანობას დამოუკიდებლად, კანონიერების პრინციპის დაცვითა და ისეთი მაღალი სტანდარტებით, რაც უნდა განაპირობებდეს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებასა და განმტკიცებას.

საადვოკატო საქმიანობა სპეციფიკურია, რადგან კონკრეტული ადვოკატის მიერ ეთიკური ვალდებულებების დარღვევა მტკივნეულად აისახება საზოგადოებრივ ნდობაზე; საზოგადოებისათვის ინტერესმოკლებული არაა ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირისა და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლის, პროფესიული სახე.

“ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონსა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში ჩამოყალიბებულია საადვოკატო საქმიანობის ფუნდამენტური პრინციპები.<sup>1</sup> წარმოდგენილი კომენტარები ეხება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ისეთ უმნიშვნელოვანეს პრინციპებს, როგორცაა: დამოუკიდებლობა (მუხლი 2) და ნდობა (მუხლი 3). ჟურნალის მორიგ ნომერში გამოქვეყნდება მომდევნო ნორმების კომენტარები.

## მუხლი 2. დამოუკიდებლობის პრინციპი

1. ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს. (08.12.2012.)
2. ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ. ( 08.12.2012.)

<sup>1</sup> “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონი, მუხ. მუხ. 3, 38, [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/kanoni\\_advokatta\\_shexaxeb.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/kanoni_advokatta_shexaxeb.pdf)  
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხ. 1 [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/eTikis\\_kodexi.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/eTikis_kodexi.pdf)

ხსენებულ ნორმაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად უფრო დაზუსტდა და განვრცობითად გაიწერა ადვოკატის პროფესიულ დამოუკიდებლობაზე შესაძლო ზემოქმედების მქონე ფაქტორები. მეორე მუხლის ძველი რედაქცია (15.04.2006), რომელიც საადვოკატო საქმიანობაზე ზეგავლენად ყოველგვარ გარეშე ფაქტორს ასახელებდა, არასაკმარისად იქნა მიჩნეული და გაფართოვდა მისი მოცულობა: ყოველგვარი გავლენა, მათ შორის ადვოკატის საქმიანობაზე გარეშე ზეწოლა თუ პირადი ინტერესების ზეგავლენა, მიჩნეული იქნა დამოუკიდებლობის პრინციპიდან გადახვევად.

ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე 2012 წლის 08 დეკემბერს მიღებული ცვლილებებითა და დამატებებით, მეორე მუხლის მეორე პუნქტში ადვოკატს დაეკისრა, დამოუკიდებლობის პრინციპის ეთიკური ვალდებულების შესრულებისას არ დაუშვას დამოუკიდებლობის პრინციპიდან გადახვევა, რაც წინააღმდეგობაში მოვა ადვოკატის პროფესიული ვალდებულების შესრულებისათან, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით, თუნდაც, კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასიკეთოდ.

ხსენებულ რედაქციაში, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ადვოკატის ვალდებულება, საადვოკატო საქმიანობისას არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. საინტერესოა ამ ვალდებულების განმარტება იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატს პროფესიულ საქმიანობაში ყოველთვის კლიენტის საუკეთესო ინტერესები უნდა ამოძრავებდეს.

“ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის საფუძველზე ადვოკატმა, როგორც თავისუფალი პროფესიის პირმა, საკუთარი საქმიანობა უნდა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლისა და პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისად<sup>2</sup>. ადვოკატი არ უნდა გახდეს საკუთარი კლიენტის ხელში დაქირავებული “იარაღი”, კლიენტის უკანონო მოთხოვნების შემსრულებელი. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ზედმიწევნით კლიენტზე ორიენტირებული მოდელია და კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება, ადვოკატი ვალდებულია კანონიერების პრინციპის დაცვით განახორციელოს დამოუკიდებელი პროფესიული განსჯა კლიენტის (კლიენტების) საქმეზე. საადვოკატო საქმიანობისას დამოუკიდებლობის ვალდებულება შეუძლებელია განვიხილოთ იმ კონტექსტის გარეშე, რომ “ადვოკატმა პატიოსნად და უშიშრად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, მიუხედავად მისი პირადი ინტერესებისა ან მისთვის ან ნებისმიერი სხვა პირისათვის შესაძლო შედეგისა”<sup>3</sup>. ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებას პატიოსნად და უშიშრად სწორედ კანონმდებლობის შესატყვისად და ნებისმიერი ზეგავლენისაგან თავისუფალ გარემოში, მათ შორის საკუთარი კლიენტისაგან უკანონო მოთხოვნებისაგან დამოუკიდებლად შეძლებს.

ეთიკის კომისიის განმარტებით: “ადვოკატის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის მომხდენი ფაქტორები იყოფა ოთხ კატეგორიად:

2 “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონი, მუხ. 1, [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/kanoni\\_advokatta\\_shesaxeb.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/kanoni_advokatta_shesaxeb.pdf)

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხ. 2.3.1. [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/eTikis\\_kodexi.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/eTikis_kodexi.pdf)

3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხ. 8, პ.14. [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/eTikis\\_kodexi.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/eTikis_kodexi.pdf)

- სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა, მათ შორის სასამართლოსა და პროკურატურისაგან;
- დამოუკიდებლობა მესამე პირთა ზეგავლენისაგან, მათ შორის სხვა კლიენტებისა და კოლეგებისაგან;
- დამოუკიდებლობა კლიენტისაგან;
- დამოუკიდებლობა ადვოკატის პირადი მოსაზრებისაგან პოლიტიკის, მორალისა და საზოგადოებრივის საკითხების თაობაზე”.
- ამავე გადაწყვეტილებაში განმარტებულია, რომ “ადვოკატებმა პროფესიული განსჯა უნდა განახორციელონ თავიანთი კლიენტის სახელით, ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების ინტერესების, მესამე პირთა ინტერესების, მესამე პირთა ინტერესების და სხვათა მხრიდან ნებისმიერი გავლენის გარეშე.”<sup>4</sup>

ეთიკის კომისიამ ადვოკატის პროფესიული საქმიანობისა და დამოუკიდებლობის პრინციპიდან გადახრა დაადგინა, რაც გამოიხატა ადვოკატის მოვალეობის არაეფექტურ განხორციელებაში, კერძოდ, დაცვის განხორციელებით იმ პირობებში, როდესაც სავალდებულო დაცვა არ იყო, დასაცავ პირს ჰყავდა საკუთარი ადვოკატი, ხოლო ადვოკატი პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ იქნა მიწვეული საგამომიებო მოქმედების ჩატარებისას საპროცესო მოქმედებაზე დასასწრებად.<sup>5</sup>

ადვოკატის საქმიანობა სასამართლოს, სხვა სახელმწიფო ორგანოსა თუ ნებისმიერი სხვა პირის ინტერესებისაგან დამოუკიდებლად, კანონიერების პრინციპის საფუძველზე, კლიენტის ინტერესთა დაცვის განსაკუთრებით მაღალი სტანდარტით ხასიათდება, კერძოდ, ნებისმიერი სხვა ინტერესი, მათ შორის ადვოკატის პირადი ინტერესი, მესამე პირთა ინტერესები და თვით პროფესიის ინტერესიც უკან დაიხვეს.<sup>6</sup> თავის მხრივ, კლიენტის ინტერესების უპირატესობა ექცევა კანონმდებლობისა და პროფესიული სტანდარტების ფარგლებში და კანონიერების პრინციპს ვერ გასცდება.

დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვა, ხელს უწყობს ადვოკატის, როგორც თავისუფალი პროფესიის პირის, საქმიანობას იმ პროფესიული ვალდებულებების დაცვით, რაც ნდობის პრინციპშია განმტკიცებული - პირადი ღირსება, პატიოსნება, შეუვალობა. ეს პროფესიული ვალდებულებები კი, თავის მხრივ, საადვოკატო საქმიანობისას კანონიერების პრინციპის დაცვას უწყობს ხელს.

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა დადგინდა ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებისას, როდესაც ადვოკატი არ იყო დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებისას საგამომიებო მოქმედებაში ჩართვაზე, იგი პროკურორის თხოვნით მივიდა შემთხვევის

4 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმე # 057/10, [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis\\_komisია/disciplinuri\\_gadackvetilebebi/2011/07.03.2011.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisია/disciplinuri_gadackvetilebebi/2011/07.03.2011.pdf)

5 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმე # 001/10 [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis\\_komisია/disciplinuri\\_gadackvetilebebi/11.04.20.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisია/disciplinuri_gadackvetilebebi/11.04.20.pdf)

6 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხ. 5, მუხ. 10, 3.2 [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/eTikis\\_kodexi.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/eTikis_kodexi.pdf)

ადგილზე იმ პირობებში, როდესაც არ იყო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო დაცვის შემთხვევა, კლიენტს არც კი იცნობდა, არ იცოდა მისი პოზიცია წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით, ადვოკატს არ ჰქონდა ხელთ არავითარი მასალა სისხლის სამართლის საქმიდან; ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილებაში განმარტა: “ადვოკატი საქმეში ჩაერთო ბრალდების მხარის მოწვევით, რითაც ამ უკანასკნელმა გავლენა მოახდინა ადვოკატის დამოუკიდებლობაზე. ადვოკატი საგამომიებო მოქმედებაში მონაწილეობის მიღებისას დამოუკიდებელი არ იყო”, რაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი დამოუკიდებლობის პრინციპის ხელყოფაა, ადვოკატი საგამომიებო მოქმედების ჩატარებაზე დასასწრებად მივიდა ბრალდების მხარის თხოვნით და არა პროფესიული მოვალეობის განსახორციელებლად.<sup>7</sup>

“ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა უზრუნველყოს დამოუკიდებელი პროფესიული მომსახურებით, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატი ვალდებულია დამოუკიდებელი იყოს გარეშე გავლენისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებისაგან. ადვოკატმა კლიენტის ინტერესები ყოველთვის უნდა დააყენოს უპირატესად სხვა პირთა ან მესამე პირთა ინტერესებთან შედარებით, რათა დაცული იყოს კლიენტისადმი ერთგულების ვალდებულება წარმომადგენლობის განხორციელების განმავლობაში. შესაბამისად, დამოუკიდებლობის პრინციპს მჭიდრო კავშირი აქვს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპთან.”

“ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა უნდა უზრუნველყოს დამოუკიდებელი პროფესიული მომსახურებით, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატი ვალდებულია დამოუკიდებელი იყოს გარეშე გავლენისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებისაგან. ადვოკატმა კლიენტის ინტერესები ყოველთვის უნდა დააყენოს უპირატესად სხვა პირთა ან მესამე პირთა ინტერესებთან შედარებით, რათა დაცული იყოს კლიენტისადმი ერთგულების ვალდებულება წარმომადგენლობის განხორციელების განმავლობაში. შესაბამისად, დამოუკიდებლობის პრინციპს მჭიდრო კავშირი აქვს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპთან.”<sup>8</sup>

“ადვოკატის პროფესიის განხორციელების თავისუფლების შესახებ” ევროპის საბჭოს რეკომენდაციის მიხედვით, ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს „დამოუკიდებლად, გულდასმით და სამართლიანად“ და ეყრდნობოდეს პროფესიული გაერთიანებების მიერ მიღებულ სტანდარტებსა და ქცევის კოდექსს.<sup>9</sup> მართლმსაჯულების სისტემის სამართლიანად განხორციელებისათვის, გაცნობიერებულია ადვოკატის დამოუკიდებლად საქმიანობის მნიშვნელობა ნებისმიერი პირისაგან, ნებისმიერი მიზეზით, პირადპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვის, გავლენის, წაქეზების, ზეწოლის, მუქარის ან ჩარევის გარეშე.<sup>10</sup>

“გაეროს პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ” პრეამბულაშივე საუბრობს ყველა პირისათვის დამოუკიდებელი ადვოკატის მიერ გაწეული იურიდიული

7 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმე # 112/11 [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis\\_komisija/disciplinuri\\_gadackvetilebebi/2012/25.05.12\\_112\\_11.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisija/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/25.05.12_112_11.pdf)

8 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმე # 094/11 [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis\\_komisija/disciplinuri\\_gadackvetilebebi/2012/10.04.2012\\_09411.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisija/disciplinuri_gadackvetilebebi/2012/10.04.2012_09411.pdf)

9 ევროპის საბჭოს რეკომენდაცია REC. (2000) 21. პრინციპი III. პუნქტი 1. <http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evropis%20sabwo,%20ministrTa%20komitetis%20rekomendacia.pdf>

10 იქვე, შესავალი <http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evropis%20sabwo,%20ministrTa%20komitetis%20rekomendacia.pdf>

დახმარების ხელმისაწვდომობაზე. “გაეროს პრინციპები” ადვოკატის საქმიანობის გარანტიებს ცალკე ნაწილად აყალიბებს და დამოუკიდებლობის პრინციპს რამდენიმე კონტექსტში იხილავს: „ადვოკატი უნდა სარგებლობდეს სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი იმუნიტეტით ყველა განცხადების მიმართ, რომელიც მის მიერ სასამართლოს, ტრიბუნალის ან სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციული ხელისუფლების წინაშე წარდგენილია კეთილი განზრახვით, ზეპირი ან წერილობითი ფორმით“.<sup>11</sup> სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ „ადვოკატმა თავისი ვალდებულებები შეასრულოს დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვისა და არასათანადო ჩარევის გარეშე“.

სახელმწიფოს ვალდებულებად მოიაზრება, პროფესიულ საქმიანობაში ადვოკატებს შეუქმნან ისეთი პირობები, რომ ადვოკატებმა:

- ა) შესძლონ თავიანთი პროფესიული ფუნქციების შესრულება, დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვისა და არასათანადო ჩარევის გარეშე;
- ბ) შესძლონ თავისუფლად გადაადგილდნენ და კონსულტაცია გაუწიონ კლიენტს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ;
- გ) თავიანთი პროფესიული მოვალეობების, წესებისა და ეთიკის შესაბამისად განხორციელებული რაიმე ქმედების გამო, არ განიცადონ გაკიცხვა ან დევნა ადმინისტრაციული, ეკონომიკური, სოციალური ან სხვა სანქციების მიხედვით“.<sup>12</sup>

ადვოკატი თავის საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებით, რათა „იმოქმედოს თავისუფლად და ღირსეულად, კანონისა და პროფესიული მოვალეობების, სტანდარტებისა და ეთიკის წესების შესაბამისად“.<sup>13</sup>

### მუხლი 3. ნდობის პრინციპი

ნდობის პრინციპი არა მხოლოდ რედაქციულად დაიხვეწა, არამედ შინაარსობრივადაც. მითითებულ ნორმაში ცვლილების შეტანამდე, ძველი ფორმულირებით (15.04.2006. რედაქცია) ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის წარმოშობის საფუძვლად მე-3 მუხლში ზემოხსენებულ თვისებებთან ერთად ადვოკატს მოეთხოვებოდა მიუკერძოებლობა, როგორც ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში ადვოკატის პროფესიული თვისება და იმავდროულად ვალდებულება. 08.12.2012. ცვლილების შემდეგ მე-3 მუხლში სიტყვა: “მიუკერძოებლობა” შეიცვალა სიტყვით “დამოუკიდებლობა”, როგორც ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. ადვოკატი, როგორც კლიენტის საუკეთესო ინტერესების ერთგული დამცველი ვერ იქნება იმავდროულად მიუკერძოებელი. ადვოკატი, როგორც მართლმსაჯულების

11 გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ, პუნქტი 20. <http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/gaeros%20ZiriTadi%20principebi%20advokatTa%20rolis%20Sesaxeb.pdf>  
 12 გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატის როლის შესახებ, პუნქტი 16 <http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/gaeros%20ZiriTadi%20principebi%20advokatTa%20rolis%20Sesaxeb.pdf>  
 13 იქვე, პუნქტი 14. <http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/gaeros%20ZiriTadi%20principebi%20advokatTa%20rolis%20Sesaxeb.pdf>



მონაწილე პირი, ვალდებულია ყველა კანონიერი საშუალება გამოიყენოს საკუთარი კლიენტის ინტერესთა უპირატესად დასაცავად და საამისოდ არის კლიენტის ინტერესებისათვის მიკერძოებული, ამ სიტყვის პროფესიული თვისებისა და ვალდებულების განუყოფლობის დატვირთვით.

ნდობის პრინციპი საინტერესოდ აისახა ეთიკის კომისიის რამდენიმე გადაწყვეტილებაში, თუმცა, ამჯერად ნდობისა და დამოუკიდებლობის პრინციპთა თანაარსებობა გვინდა წარმოვაჩინოთ სწორედ იმ თვალსაზრისით, რომ ადვოკატი უნდა იყოს კლიენტის ინტერესებისათვის მიკერძოებული, ერთგული და თავდადებული მებრძოლი ყველა კანონიერი საშუალების გამოყენებით. იმავედროულად ადვოკატის ამგვარი “მიკერძოებულობა” ემსახურება ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოების ნდობით განმსჭვალვას.<sup>14</sup>

„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ავალდებულებს ადვოკატს შეინარჩუნოს პირადი ღირსება და პატიოსნება, ადვოკატის ვალდებულებაა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ ეჭვქვეშ დააყენოს ადვოკატის პროფესიის ავტორიტეტი“...<sup>15</sup>

“დასაცავი პირი, მისი ნების გათვალისწინებით, ირჩევს ადვოკატს, რომელსაც მიანდობს მისი უფლებების დაცვას სს საქმეზე. ადვოკატსა და კლიენტს შორის ნდობის პრინციპის არსებობა, ასევე ხელს უწყობს კომუნიკაციის ეფექტურად განხორციელებას. კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობის არსებობის შემთხვევაში, კლიენტი ადვოკატს უმხელს კონფიდენციალურ ინფორმაციას, რასაც ადვოკატი კლიენტის თანხმობით იყენებს სისხლის სამართლის საქმეზე კლიენტის ინტერესების დასაცავად. გასათვალისწინებელია, რომ შესაძლოა სისხლის სამართლის საქმის მასალებში დაცვის მხარის სასარგებლო ინფორმაცია და საყურადღებო დეტალი არ იყოს ცნობილი და ხშირ შემთხვევაში ადვოკატი კლიენტისაგან მოიპოვებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინფორმაციას, შესაბამისად კლიენტის სრული ნდობა ადვოკატისადმი და განდობილი კონფიდენციალური ინფორმაცია, ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას სათანადოდ განახორციელოს ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვა”.<sup>16</sup>

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის (CCBE) მიხედვით, ადვოკატს აკისრია რიგი მოვალეობებისა, რომელთა განხორციელება მოითხოვს მის სრულ დამოუკიდებლობას, თავისუფლებას ყოველგვარი გარეშე ზეგავლენისაგან, განსაკუთრებით კი ისეთი ზეგავლენისაგან, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ადვოკატის პირადი ინტერესებიდან ან გარეშე ზეწოლისაგან. ეს მართლმსაჯულების პროცესში ნდობისათვისაა აუცილებელი.<sup>17</sup> ადვოკატსა და კლიენტს შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა მხოლოდ მაშინ შედეგება, თუ ადვოკატის პირადი ღირსება, პატიოსნება და შეუვალობა ეჭვგარეშეა.<sup>18</sup>

14 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, პრეამბულა, [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/eTikis\\_kodexi.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/kanonmdebloba/eTikis_kodexi.pdf)

15 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმე#3091/11/07 [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis\\_komisija/disciplinuri\\_gadackvetelebebi/29.11.2007.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisija/disciplinuri_gadackvetelebebi/29.11.2007.pdf)

16 ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საქმე # 112/11 [http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis\\_komisija/disciplinuri\\_gadackvetelebebi/2012/25.05.12\\_112\\_11.pdf](http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/etikis_komisija/disciplinuri_gadackvetelebebi/2012/25.05.12_112_11.pdf)

17 ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი (CCBE) – 2.1.1. <http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evrogaertianebis%20advokatTa%20qcevis%20kodeqsi.pdf>

18 ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი (CCBE) – 2.2. <http://gba.ge/new/admin/editor/uploads/files/regulaciebi/evrogaertianebis%20advokatTa%20qcevis%20kodeqsi.pdf>

**P**angli le dhammar hūnre yndwylde yndwylde:

Uindant mōm . drustre gedulre dīle dūle de pōle  
lūmāre . dūyare qđ pōle mī dūyranlūre . de yare  
pōmē lōle de pōmē . dī wōre yōm edmlūre  
mōdī . wygyre dūmpe dām upīlīre  
de dūmpe dām . de ydāre  
dūmpe dām dūyranlūre de dīle dīle lōpāre  
dī dūmpe dām mōdī . dūmpe dām dūmpe  
le dūmpe . pōmē dūmpe dūmpe dūmpe  
mō . de dī pōle mōdī dūmpe dūmpe . dūmpe  
pōm upīlīre mōdī pōle dūmpe dūmpe dūmpe  
dūmpe dūmpe dūmpe dūmpe dūmpe dūmpe  
pōm dūmpe dūmpe . dūmpe dūmpe dūmpe  
dūmpe dūmpe dūmpe . dūmpe dūmpe dūmpe  
dūmpe . dūmpe dūmpe dūmpe . dūmpe dūmpe

Handwritten marginal note on the right side of the page.

Handwritten marginal note on the right side of the page.

XIII - XIV საუკუნეების მიჯნაზე შედგენილი ქართული სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც ბექას სამართლის სახელითაა ცნობილი. ინახება ხელნაწერთა ერვნულ ცენტრში (Q – 207).

დამოუკიდებელი სახით ამ ძეგლს ჩვენამდე არ მოუღწევია. მისი სახელწოდებაა “წიგნი სამართლისა ვაცთა შეცოდებისა ყოველისავე”. იმის გამო, რომ ამ იურიდიული ხასიათის ძეგლს შემდგომში ბექას შვილიშვილმა აღბულას ათაბაგ ამირსჯანსაღარმა XIV საუკუნის II ნახევარში 33 მთხლისაგან შედგენილი “სამართალი” დაურთო, ძეგლს “ბექა-აღბულას სამართალს” უწოდებენ. ამ სამართლის კრებულში შეტანილია აგრეთვე XI საუკუნის სხვა იურიდიული ძეგლებიც.

მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმდროინდელი საქართველოს სამოქალაქო ისტორიის ყველა მხარის შესასწავლად. ამ ძეგლში საუბარია სამოქალაქო თრთიერთობის ყველა მხარეზე: სოციალური თრთიერთობა, სოციალური აღნაგობა, სამართლის ინსტიტუტები, სასჯელის ნორმა-ზომა და სხვა. დაწვრილებითაა საუბარი დანაშაულის ისეთ საკითხებზე, როგორცაა: მკვლელობა, სხეთლის დაზიანება, შეურაცხყოფა, ცილისწამება, მუქარა, სქესობრივი დანაშაული, ქალის მოტაცება, ცოლის ან ქმრის დაგდება, გაძარცვა, ქურდობა, მეჭრთამეობა, დაღაბა, ადამიანის ან ნივთის თვითნებურად დაჭერა, ვენახის და ხეხილის დაჭერა ან ყანის დათიბვა, ცეცხლის წაკიდება და სხვა. სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებიდან აქ განხილულია: საკუთრების უფლება, გირავნობა, ნასყიდობა, მიბარება, სესხი, ჩუქება, ქირაობა, თავდება, გათხოვება, საოჯახო სამართალი, შემკვიდრობა.

# ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონარიდი

## ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადმასრულებელი საბჭოს სხდომის ოქმი



ს.ს.ი.პ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია" L.E.P.L. "GEORGIAN BAR ASSOCIATION"

№ 4268

- 26 - 03 2013

ამონაწერი ს.ს.ი.პ. "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"

ადმასრულებელი საბჭოს №III სხდომის ოქმიდან

2013 წლის 28 თებერვალი

1. დამტკიცდეს საქართველოს პროკურატურასთან და ადვოკატთა ასოციაციასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. საქართველოს პროკურატურისა და ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთობლივი სამუშაო ჯგუფი – საერთო პროფესიული ეთიკისა და იურიდიულ პროფესიათა შორის ურთიერთობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი დამტკიცდეს სხდომაზე წარმოდგენილი სახით, ხოლო ჯგუფის ხელმძღვანელად – ირაკლი კორძახია;
2. ვინაიდან, ადვოკატთა ასოციაციის წესდების, მე-15 მუხლის, 15.1 პუნქტის, "რ" ქვეპუნქტის მიხედვით, ადმასრულებელი საბჭო საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ადვოკატის ნაცმულობის, მანტიის ფორმას და სხვა განმასხვავებელ ნიშნებს, წინადადება ასოციაციის წევრებისთვის ბეიჯების შემოღების შესახებ დასამტკიცებლად წარდგენილ იქნას ასოციაციის მომდევნო საერთო კრებაზე; მანამდე, ადმასრულებელი საბჭოს მიერ გაკეთდეს რეკომენდაცია ადვოკატების მიერ სასამართლო პროცესებზე ბეიჯებში მითაგებული ადვოკატის მოწიბების გამოყენების შესახებ.

ზაზა ხატიაშვილი

საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე



## საკუთრების უფლების დაცვა და შეზღუდვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით

### იოსებ ბარათაშვილი

ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
აღმასრულებელი საბჭოს წევრი

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად:

*„ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს, კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.*

*ამასთან, წინარე დებულებანი ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად, საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადისა თუ სხვა მოსაკრებლის ანდა ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად“.*

### საკუთრების უფლების ცნების ავტონომიურობა კონვენციის თვალსაზრისით

კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცული გარანტიები ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებზე. „საკუთრებას“, აღნიშნული მუხლის მიხედვით, გააჩნია ავტონომიური მნიშვნელობა, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ საკუთრების უფლებით უძრავ ან მოძრავ ქონებაზე. ზოგიერთი სხვა უფლება და სარგებელი, რომელიც გამომდინარეობს საკუთრების უფლებიდან, კონვენციის თანახმად, ასევე მოიაზრება საკუთრების უფლების ცნებაში (*Gasus Dossier und Fordertechnik GmbH v. The Netherlands, judgment of 23 February, 1995*).

საკუთრების უფლების აღიარებისათვის, აუცილებელია, მოთხოვნა შეეხებოდეს უკვე არსებულ საკუთრებას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენის დროისათვის, ვინაიდან კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი გამოიყენება მხოლოდ „უკვე არსებული საკუთრების შემთხვევაში და არ იცავს იმ უფლებებს, რომლებიც გულისხმობს საკუთრების შექმნას მომავალში“ (*Marckx v. Belgium, judgment of 13 June, 1979*).

თავისი ავტონომიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, კონვენციის პირველი

დამატებითი ოქმის პირველი მუხლი მოიცავს სხვადასხვა სახის ეკონომიკური ინტერესის დაცვას. მაგალითად, საიჯარო ქირის მიღების უფლებას (*Mellacher v. Austria, judgment of 19 December 1989*), ბიზნესის წარმოების უფლებას (*Iatridis v. Greece, judgment of 25 March, 1999*) ან ამა თუ იმ კომპანიის აქციათა მფლობელობის საკითხებს, რადგან ევროპული სასამართლოს თვალსაზრისით, კომპანიის აქცია წარმოადგენს დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება კომპანიის საკუთრების მართვისა და განკარგვის უფლება (*Bramelid and Malmström v. Sweden, decision of 12 October, 1982*).

კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ასევე გამოიყენება პატენტმფლობელობის საკითხებთან მიმართებით (*Smith Kline and French Laboratories v. the Netherlands, decision of 4 October, 1990*).

ლიცენზია ამა თუ იმ საქმიანობის თაობაზე, მის მფლობელს ასევე შესაძლებელია ანიჭებდეს კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დაცულ უფლებას იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ლიცენზია მის მფლობელს აძლევს ლიცენზიით დადგენილი საქმიანობიდან შემოსავლის მიღების უფლებას (*Tre Traktörer Aktiebolag v. Sweden, judgment of 7 July, 1989*).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიჩნეულია, რომ საკუთრების უფლების ხელყოფა ასევე შეიძლება ხდებოდეს იმ შემთხვევაში, თუ ესა თუ ის პირი ვერ იღებს კომპენსაციას სახელმწიფოს მიერ სათანადო კანონის არმიღების გამო. მაგალითად, საქმეზე „კლავს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ“, კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევად იქნა მიჩნეული ის გარემოება, რომ მომჩივნებმა, რომლებიც ცნობილი იყვნენ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად საქართველოს სასამართლოს მიერ, ვერ შეძლეს კომპენსაციის მიღება იმ მიზეზით, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დიდი ხნის მანძილზე გააჭიანურა კომპენსაციის რაოდენობის და გაცემის წესის შესახებ კანონის მიღება (*Klaus and Iouri Kiladze v. Georgia, judgment of 2 February 2010, final - 2 May 2010, \$71-77*).

ამავე დროს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის მიხედვით, საკუთრებასთან დაკავშირებული გარკვეული ინტერესები არ მოიაზრება კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის კონტექსტში; მაგალითად, აღნიშნული მუხლი არ ავალდებულებს სახელმწიფოს, ხელი შეუწყოს საკრედიტო დაწესებულებებში დეპონირებულ, კლიენტების კუთვნილი ფულის მასის მსყიდველობითი უნარის შენარჩუნებას და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს არ ეკისრება იმ ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, რომელიც შესაძლებელია დადგეს ინფლაციის გამო (*Ryabykh v. Russia, judgment of 24 July 2003*).

## კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით დადგენილი სამი წესი და საკუთრების უფლების დასაბუთებელი შემლუღვა

კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ითვალისწინებს საკუთრებით სარგებლობის უფლების ნებადართული შეზღუდვის სამ წესს.

პირველი წესით, რომელიც ზოგადი ხასიათისაა, დადგენილია საკუთრების უფლებით შეუფერხებელი სარგებლობის პრინციპი (პირველი აბზაცის პირველი წინადადება); მეორე წესი შეეხება საკუთრების ჩამორთმევას და ადგენს საკუთრების ჩამორთმევისათვის აუცილებელ პირობებს (პირველი აბზაცის მეორე წინადადება); მესამე წესით კი განსაზღვრულია სახელმწიფოს უფლება, გააკონტროლოს საკუთრებით სარგებლობა საერთო ინტერესების შესაბამისად (მუხლის მეორე აბზაცი).

აღნიშნული წესების შესაბამისად, იმ საქმეთა განხილვის დროს, რომლებიც საკუთრების უფლების სავარაუდო დარღვევებს ეხება, სასამართლო არკვევს შემდეგ საკითხებს:

- ექცევა თუ არა საკუთრების უფლება ან ქონება კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში.
- აქვს თუ არა ადგილი საკუთრების უფლების ჩამორთმევას ან სხვაგვარ ხელყოფას.
- კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული სამი წესიდან, რომლის ფარგლებში მოხდა საკუთრების ხელყოფა.
- ემსახურება თუ არა საკუთრების უფლების ხელყოფა საჯარო ან საერთო ინტერესით განპირობებულ კანონიერ მიზანს.
- თანაზომიერია თუ არა განხორციელებული საკუთრების უფლების ხელყოფა.
- არეგულირებს თუ არა კანონი საკუთრების ხელყოფის კონკრეტულ შემთხვევას;
- არის თუ არა საკუთრების უფლების ხელმყოფი კანონი ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი.

კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ამგვარი განმარტება ევროპულმა სასამართლომ პირველად ჩამოაყალიბა თავის განჩინებაში საქმეზე „სპორონგი და ლონროტი შვედეთის წინააღმდეგ“ (*Sporrong and Lonnroth v. Sweden, judgement of 23 September 1982*).

სადავო საკითხი ეხებოდა ძვირადღირებულ უძრავ ქონებას (მიწის ნაკვეთსა და შენობას), რომელიც მდებარეობდა შვედეთის დედაქალაქის, სტოკჰოლმის ცენტრში. აღნიშნული ტერიტორიის საგრაფოს ადმინისტრაციულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომჩივნების კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შესაძლებელი იყო გამოეყენებინათ ქალაქის განვითარებისა და რეკონსტრუქციისათვის და დაადგინა ორი სხვადასხვა სახის შეზღუდვა:

მუნიციპალიტეტს მიანიჭა აღნიშნული ქონების გასხვისების უფლება და დიდი ხნით აკრძალა ნებისმიერი სახის მშენებლობა აღნიშნული უძრავი ქონების ფარგლებში, რითაც მესაკუთრეებს გაურთულდათ მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაყიდვა. მესაკუთრეებმა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე, საჩივრით მიმართეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. პირველი კითხვა, რომელზეც სასამართლოს პასუხი უნდა გაეცა, იყო ის, ჰქონდა თუ არა საერთოდ ადგილი საკუთრების ხელყოფას. შვედეთის მთავრობის მტკიცებით, ექსპროპრიაციის ნებართვა და მშენებლობის აკრძალვა წარმოადგენდა ქალაქის დაგეგმარების ნაწილს და, შესაბამისად, ქონებით დაუბრკოლებელი სარგებლობის უფლების ხელყოფას ადგილი არ ჰქონია. ევროპულმა სასამართლომ უარყო ეს არგუმენტი და აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მესაკუთრეების უფლება მათ ქონებაზე ხელუხლებელი დარჩა, რეალურად საკუთრების უფლების განხორციელების შესაძლებლობა მათ მნიშვნელოვნად შეეზღუდათ. ევროპული სასამართლოს თვალსაზრისით, ექსპროპრიაციის ნებართვის გამო მომჩივანთა საკუთრების უფლება არამყარი გახდა. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საკუთრების უფლების ხელყოფას. შემდეგ ევროპულმა სასამართლომ განიხილა საკითხი იმის შესახებ, ხომ არ ჰქონია მოცემულ შემთხვევაში ადგილი ქონების ჩამორთმევას და დაადგინა, რომ მომჩივნებს, კანონის თანახმად, ნებისმიერ პერიოდში ჰქონდათ შენარჩუნებული საკუთრების სარგებლობის, მისი გაყიდვის ან სხვაგვარად განკარგვის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ქონების გაყიდვა ხელისუფლების მიერ გატარებული ზომების გამო უფრო რთული გახდა, მომჩივნებს მაინც რჩებოდათ იმის შესაძლებლობა, რომ მათ საკუთრებაში არსებული ქონება გაესხვისებინათ. შესაბამისად, კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მეორე წინადადება, რომლის თანახმად, „მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს, კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში“ - მოცემულ შემთხვევაში არ გამოიყენებოდა.

რაც შეეხება პირველი მუხლის მეორე აბზაცს, ანუ საკუთრებით სარგებლობის უფლების ნებადართული ხელყოფის მესამე წესს, რომლის თანახმად „სახელმწიფოს უფლება აქვს, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად, საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადისა თუ სხვა მოსაკრებლის ანდა ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად“ - სასამართლომ დაადგინა, რომ სპორონგისა და ლონროტის საქმეში აღნიშნული წესი უდავოდ გამოიყენებოდა მშენებლობის აკრძალვის მიმართ, რაც წარმოადგენდა კონტროლს ქონებით სარგებლობაზე. თუმცა, ევროპული სასამართლოს თვალსაზრისით, ექსპროპრიაციის ნებართვა (კონტროლი ქონებით სარგებლობაზე) უნდა განხილულიყო პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველი წინადადების კონტექსტში ანუ არ უნდა შეზღუდულიყო საკუთრების უფლებით შეუფერხებელი სარგებლობის პრინციპი. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ორივე მომჩივნის მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მოთხოვნა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითა, რომ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით



გათვალისწინებული საკუთრებით სარგებლობის უფლების ნებადართული ხელყოფის სამი წესი მჭიდროდაა ურთიერთ-დაკავშირებული. საქმეში „ბეილერი იტალიის წინააღმდეგ“ (*Beyeler v. Italy, judgement of 5 January, 2000, §98-122*) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მეორე წინადადება („მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს, კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში“) წარმოადგენს იმავე მუხლის პირველი წინადადებით („ყოველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება“) გარანტირებული დაუბრკოლებლად სარგებლობის უფლების კონკრეტულ შემთხვევას. აღნიშნულ საჩივარში საქმე ეხებოდა ვან გოგის ფერწერულ ტილოს და დავის საგანს წარმოადგენდა ის გარემოება, იყო თუ არა მომჩივანი ნახატის მესაკუთრე.

ნახატი, თავისი მხატვრული მნიშვნელობის გამო, სახელმწიფომ ჩამოართვა მფლობელს. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი ნახატს დიდი ხნის განმავლობაში ისე ფლობდა, რომ იგი შეიძლება მიჩნეულიყო საკუთრებად კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თვალსაზრისით. სასამართლომ ამის შემდეგ განიხილა მომჩივნის მფლობელობაში არსებული ქონების ხელყოფის ხასიათი და განაცხადა, რომ საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების სირთულე შეუძლებელს ხდიდა იმის დადგენას, თუ ზუსტად რომელ კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნებინა მოცემულ შემთხვევაში ქონების ხელყოფა. ამავე დროს აღნიშნა, რომ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მეორე წინადადებით გათვალისწინებული გარემოება წარმოადგენდა იმავე მუხლის პირველი წინადადების ზოგადი წესით გარანტირებული დაუბრკოლებელი სარგებლობის უფლების ხელყოფის კონკრეტულ შემთხვევას და მიიჩნია, რომ ირღვეოდა პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი.

## თანაზომიერების პრინციპი

კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ საკუთრების უფლების ჩამორთმევა დასაშვებად იქნეს მიჩნეული, უნდა არსებობდეს არა მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე კანონიერი მიზანი, არამედ გონივრული თანაზომიერებაც, გამოყენებულ საშუალებებსა და იმ მიზანს შორის, რომლისკენაც არის მიმართული საკუთრების უფლების ჩამორთმევა ან შექსლუდვა (*James and others v. The United Kingdom, judgement of 21 February, 1986; Lithgow and others v. The United Kingdom, judgement of 8 July, 1986*).

ევროპული სასამართლოს არა ერთ განჩინებაში აღინიშნა, რომ თანაზომიერება უნდა შენარჩუნდეს საზოგადოების საერთო ინტერესებსა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებს შორის. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „აგოსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (*Agosi v. The United Kingdom, judgement of 24 October, 1986*), სადაც მომჩივანი იყო გერმანული კომპანია „აგოსი“, რომელიც

დაკავებული იყო ლითონის გადადნობითა და ოქროს მონეტებით ვაჭრობით. აღნიშნული კომპანიისაგან ფიზიკურ პირებს სურდათ დიდი რაოდენობით სამხრეთ აფრიკული ოქროს მონეტების შესყიდვა, რომელთა ღირებულებაც შეადგენდა 120 000 ფუნტ სტერლინგს. გარიგება შედგა და მონეტები დაიტვირთა ბრიტანული სახელმწიფო ნომრის მქონე ავტომანქანაში. კომპანიასა და კერძო პირებს შორის დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა იმ პირობას, რომ კომპანია ინარჩუნებდა მონეტებზე საკუთრების უფლებას, სანამ ფიზიკური პირების მიერ მონეტების მთელი ღირებულება არ იქნებოდა კომპანიისათვის გადახდილი. მონეტების მიღების შემდეგ, მყიდველები შეეცადნენ მათ გაერთიანებულ სამეფოში შეტანას. მონეტები დამალეს სათადარიგო საბურავში, მაგრამ საზღვარზე ის მაინც აღმოაჩინა ინგლისის საბაჟო სამსახურმა. აღმოჩნდა, რომ რამდენიმე თვით ადრე გაერთიანებულმა სამეფომ აკრძალა ოქროს მონეტების ინგლისში შეტანა. მონეტების მყიდველები დააპატიმრეს და წარუდგინაეს ბრალდება კონტრაბანდის ჩადენისათვის.

კომპანია „აგოსიმ“ გაერთიანებულ სამეფოს მოსთხოვა მონეტების დაბრუნება იმ საფუძვლით, რომ იგი კვლავ რჩებოდა მონეტების კანონიერ მესაკუთრედ ფიზიკურ პირებთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვინაიდან კომპანიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული მონეტების საფასური. საბაჟოს ადმინისტრაციამ უარი განაცხადა მონეტების დაბრუნებაზე. კომპანიამ მიმართა გაერთიანებული სამეფოს სასამართლოს მონეტების დაბრუნების მოთხოვნით, მაგრამ უარი მიიღო, რის შემდეგაც შეიტანა საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ევროპულმა სასამართლომ თავის განჩინებაში აღნიშნა, რომ მონეტების კონფისკაცია მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენდა საკუთრების გამოყენებაში ჩარევას კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში. ამის შემდეგ სასამართლომ აღნიშნა, რომ ოქროს მონეტების გაერთიანებულ სამეფოში შეტანის აკრძალვა აშკარად წარმოადგენდა კონტროლის დაწესებას საკუთრების გამოყენებაზე, მონეტების ამოღება და კონფისკაცია კი იყო აღნიშნული აკრძალვის აღსრულება. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მონეტების კონფისკაცია, რა თქმა უნდა, დაკავშირებული იყო საკუთრების ჩამორთმევასთან, მაგრამ მოცემულ გარემოებებში საკუთრების ჩამორთმევა წარმოადგენდა კონტროლის პროცედურის ელემენტს. შესაბამისად, კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესამე წესი *-სახელმწიფოს უფლება გააკონტროლოს საკუთრებით სარგებლობა საერთო ინტერესების შესაბამისად -* სახელმწიფომ დაიცვა.

რაც შეეხება გატარებული ზომების მართებულობას, სასამართლომ აღნიშნა, რომ გაერთიანებულ სამეფოში ოქროს მონეტების შეტანის აკრძალვა მოიაზრება კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში, რადგან ამგვარ ღონისძიებას გააჩნდა კანონიერი მიზანი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა იმავდროულად სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია იმის გარკვევა, იყო თუ არა დაცული მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან გონივრული თანაზომიერება და თავის განჩინებაში აღნიშნა, რომ ქონების კონფისკაცია დაუშვებელია იმ შემთხვევებში, როდესაც კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონების მესაკუთრე უდანაშაულოა. *სასამართლომ თავის განჩინებაში მიუთითა, რომ გონივრული თანაზომიერების დაცვა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე და მოცემულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს მესაკუთრის დამოკიდებულება*

კონტრაბანდულ ქონებასთან, მისი სიფრთხილის ან დაუდევრობის ხარისხი ქონების გასხვისების დროს და სხვა. ყველა ზემოთ აღნიშნული საკითხის შესწავლისა და შეფასების შემდეგ სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ საქმეზე ადგილი არ ჰქონია კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას.

საქმეზე „პრესოს კომპანია ნავიერა და სხვები ბელგიის წინააღმდეგ“ (*Pressos Compania Naviera S.A. and Others v. Belgium, judgement of 20/11/1995*) სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ დაარღვია თანაზომიერების პრინციპი კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის კონტექსტში. კერძოდ, საკითხი ეხებოდა რამდენიმე გემთ მფლობელის სარჩელს, რომლითაც მათ მიმართ ბელგიის სასამართლოს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ზიანი გამოიწვია იმ ლოცმანების დაუდევრობამ, რომელთა ქმედებაზეც პასუხს აგებდა ბელგიის ხელისუფლება. აღნიშნული ზიანის დადგომის შემდეგ, სახელმწიფომ შეცვალა მოქმედი კანონმდებლობა და გააუქმა სახელმწიფოს მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გემის მეპატრონისათვის ლოცმანის მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში.

ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვის დროს, სახელმწიფო თავის პოზიციას ასაბუთებდამისი ფინანსური ინტერესების დაცვისა და ამგვარ საკითხებში საერთო ევროპული პრაქტიკის დანერგვის აუცილებლობით. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, კონვენციის თანახმად, ეროვნულ ხელისუფლებებს, მართალი, უფლება აქვთ, შეაფასონ ისეთი საკითხები, რომლებიც ეხება სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს. ამავე დროს, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას უნდა შემოწმებულიყო, იყო თუ არა დაცული თანაზომიერების პრინციპი საზოგადოების ინტერესებსა და კერძო პირის ძირითად უფლებებს შორის. სასამართლომ მიიჩნია, რომ საკუთრების უფლების ხელყოფა სათანადო ანაზღაურების გარეშე ჩვეულებრივ შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამართლებულიყო. მოცემულ საქმეზე ახლად მიღებულმა კანონმა უკუქცევითი ძალით გააუქმა მანამდე დადგენილი წესი, რამაც უაღრესად დიდი ფულადი თანხის (3,5 მილიარდი ბელგიური ფრანკის) კომპენსაციის მოთხოვნის უფლება მოუსპო მომჩივნებს. სასამართლო საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბელგიის ხელისუფლების შემფოთება და მცდელობა იმის თაობაზე, რომ შეეცვალა კანონმდებლობა და შესაბამისობაში მოეყვანა იგი მეზობელი ქვეყნების კანონმდებლობასთან, გამართლებული იყო ამგვარი ცვლილებების მომავალში გამოყენების თვალსაზრისით, მაგრამ სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია ახლად მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭება, რამაც მომჩივნებს რეალურად წაართვა მათთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა. ევროპის სასამართლოს თვალსაზრისით, საკუთრების უფლებაში ამგვარი ფუნდამენტური ჩარევა არ შეესაბამებოდა სამართლიანი თანაზომიერების პრინციპს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, დაირღვა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი.

## სამართლებრივი განჭვრეტადობა

საკუთრების უფლების ხელყოფა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, ასევე უნდა აკმაყოფილებდეს სამართლებრივი განჭვრეტადობის (კანონის გასაგები ფორმით არსებობის) ანუ კანონიერების პრინციპს. ამის შესახებ პირდაპირაა გაცხადებული პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მეორე წინადადებაში, რომლის თანახმად, საკუთრების შესაძლებელია „კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში“. სამართლებრივი განჭვრეტადობა წარმოადგენს, ზოგადად, კონვენციის მოთხოვნას და იგი დაცული უნდა იყოს პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლთან მიმართებითაც, მიუხედავად იმისა, თუ აღნიშნული მუხლით დადგენილი სამი წესიდან რომელთან გვაქვს საქმე.

სამართლებრივი განჭვრეტადობის თვალსაზრისით, საყურადღებოა ევროპული სასამართლოს განჩინება საქმეზე „იატრიდისის საბერძნეთის წინააღმდეგ“ (*Iatridis v. Greece, judgement of 25 March 1999*). აღნიშნულ საქმეში მომჩივანს იჯარით ჰქონდა აღებული კინოთეატრი და იჯარით აღებული ფართიდან ის იძულებით იქნა გასახლებული, ხოლო კინოთეატრი ექსპროპირებული იქნა და გადაეცა საბერძნეთის ერთ-ერთი ქალაქის მუნიციპალიტეტს.

საქმის შესწავლის დროს სასამართლომ დაადგინა, რომ გასახლების ორდერი, რომლითაც მომჩივანს იძულებით დაატოვებინეს მის მიერ იჯარით აღებული კინოთეატრის ტერიტორია, შემდგომში გააუქმა საბერძნეთის სასამართლომ და, მიუხედავად ამისა, სახელმწიფო იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე მომჩივანის უფლებას არ ცნობდა. სასამართლომ თავის განჩინებაში მიუთითა სახელმწიფოს მხრიდან კანონიერების ანუ სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპის დაცვის აუცილებლობაზე. როგორც სასამართლოს განჩინებაში აღინიშნა, იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს მიერ არ არის დაცული კანონიერების პრინციპი, არ არსებობს მოცემული საქმის გარემოების შემდგომი კვლევის საჭიროება, ამა თუ იმ საქმეზე სახელმწიფოს ქმედების მართლზომიერების ან თანაზომიერების პრინციპის დაცულობის დადგენის მიზნით: „სასამართლო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ჩარევა საკუთრების დაუბრკოლებლად გამოყენებაში, კანონიერი უნდა იყოს. მეორე ნორმა ითვალისწინებს საკუთრების ჩამორთმევას მხოლოდ კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში და მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს აქვს უფლება აკონტროლოს საკუთრების გამოყენება მხოლოდ „კანონის“ მეშვეობით“.

იატრიდისის საქმეზე სასამართლომ დაასკვნა, რომ იჯარით აღებული ქონების ჩამორთმევა მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენდა საბერძნეთის კანონმდებლობის აშკარა დარღვევას, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოთხოვნა კანონის განჭვრეტადობის თაობაზე, ნათლად გამოიხატა საქმეზე „ჰენტრიხი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (*Hentrich v. France, judgement of 22 September 1994*). აღნიშნული საქმის თანახმად, მომჩივანმა სტრასბურგში შეიძინა მიწის ნაკვეთი 150 000 ფრანკად. თუმცა შემდეგ ხაზინიდან აცნობეს, რომ სახელმწიფოს გააჩნდა აღნიშნული მიწის

ნაკვეთის უპირატესი შესყიდვის უფლება, იქედან გამომდინარე, რომ ხაზინის თვალსაზრისით, მომჩივნმა საკუთრების შესაძენად გადაიხადა ძალზე დაბალი ფასი. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მან ნამდვილად შეიძინა მიწის ნაკვეთი და ეს საკითხი სახელმწიფოს სადავოდ არ გაუხდია. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს მიერ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება მომჩივნის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე არ შედიოდა საზოგადოების ინტერესებში. ამასთან, მომჩივნის მიერ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების კეთილსინდისიერების ან გადასახადებისათვის თავის არიდების საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა.

ევროპულმა სასამართლომ თავის განჩინებაში მიუთითა, რომ სახელმწიფოს უფლების რეალიზება უპირატესი შესყიდვის თაობაზე განხორციელდა თვითნებურად და არატარებდა განჭვრეტად ხასიათს. კანონი, რომელიც მომჩივნის მიმართ გამოიყენა (კონკრეტულ შემთხვევაში - საფრანგეთის საგადასახადო კოდექსის 668-ე მუხლი), საფრანგეთის სასამართლოს მიერ არ ყოფილა იმგვარად ფორმულირებული, როგორც ის მანამდე გამოიყენებოდა.

*ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ: სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპის დაცვისათვის, სახელმწიფოს ან ხელისუფლების ამა თუ იმ ორგანოს მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებულ და ადვილად ხელმისაწვდომ სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც, თავის მხრივ, პასუხობს სამართლის კონცეფციის არსებით მოთხოვნებს. ეს ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ კერძო საკუთრების შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს შიდა სამართლებრივ ნორმებს, არამედ იმასაც, რომ აღნიშნული ნორმები უნდა იყოს სამართლიანი და ხელმისაწვდომი, რომ სახელმწიფო ორგანოებს არ მიეცეთ თვითნებობის შესაძლებლობა.*

## **კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა მე-14 მუხლთან მიმართებით**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე განჩინებაში კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა მიჩნეული იქნა არა დამოუკიდებლად, არამედ კონვენციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

საქმეზე „მარქსი ბელგიის წინააღმდეგ“ (*Marckx v. Belgium, judgement of 13 June 1979*) დავის საგანს წარმოადგენდა ბელგიის სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთი მუხლი, რომლითაც დაწესებული იყო დისკრიმინაციული პირობები ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვებისათვის და ადგენდა შეზღუდვებს ამ ბავშვების დედებისათვის, რომელთაც სურდათ, თავიანთი ქონება ანდერძით დაეტოვებინათ ქორწინების გარეშე დაბადებული თავიანთი ბავშვებისათვის.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა წარმოადგენდა განმცხადებლის მიმართ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას მე-14 მუხლთან მიმართებით.

## განგრძობადი დარღვევები

ევროპულმა სასამართლომ საკუთრების უფლების განგრძობადი დარღვევის კონცეფცია მართებულად მიიჩნია. ეს პრინციპი შესაძლებელია გამოყენებული იქნას ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც საკუთრების უფლების უკანონო ხელყოფა ჩადენილია სახელმწიფოს მიერ კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის რატიფიკაციამდე.

საქმეზე „ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ“ (*Loizidou v. Turkey, judgement of 18 December, 1996*) მომჩივანი იყო კვიპროსელი ბერძენი ქალი, რომელიც მიიჩნევდა, რომ მის მიმართ დაირღვა პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი, რადგან მას გააჩნდა სახლი კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში და იძულებული გახდა, დაეტოვებინა 1974 წელს თურქული ოკუპაციის შემდეგ. მომჩივანი აცხადებდა, რომ მოპასუხის ქმედების გამო მას არ შეეძლო თავისი საკუთრებით სარგებლობა და ეს მდგომარეობა ატარებდა განგრძობად ხასიათს. თურქეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივანი არ იყო უფლებამოსილი, მიემართა ევროპის სასამართლოსათვის მისი საკუთრების ხელყოფის საკითხზე, რადგან თურქეთმა მხოლოდ 1990 წელს სცნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისდიქცია.

ევროპულმა სასამართლომ თავის განჩინებაში განმარტა, რომ მან მანამდე განხილულ რამდენიმე საქმეზე (*Papamichalopoulos and others v. Greece, judgement of 24 June, 1993; Agrotexim and others v. Greece, judgement of 24 October, 1995*) დადგენილად მიიჩნია სასამართლოს უფლებამოსილება კონვენციის იმგვარი დარღვევების მიმართ, რომლებიც დაიწყო მოპასუხე სახელმწიფოს კონვენციასთან მიერთებამდე და გაგრძელდა მის მიერ კონვენციის რატიფიკირების შემდეგ. სასამართლოს თვალსაზრისით, ლოიზიდუს საქმე შეეხებოდა სწორედ განგრძობად დარღვევას და მომჩივანი კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის კონტექსტში კვლავაც ითვლებოდა უძრავი ქონების მესაკუთრედ, რომელსაც კვლავ უზღუდებოდა საკუთრებით სარგებლობის უფლება. სასამართლოს თვალსაზრისით, ე.წ. „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ მიერ მიღებული „კანონი“, რომელიც ხელყოფდა მომჩივნის უფლებებს მის საკუთრებაზე, არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო ნამდვილ კანონად. ევროპის სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მომჩივანს 1974 წლიდან უარი ეთქვა თავისი საკუთრებით სარგებლობაზე და წაერთვა მის იურიდიულ საკუთრებაში არსებული ქონების ფლობისა და გამოყენების შესაძლებლობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საკითხი უნდა განხილულიყო პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველი წესის დარღვევის კონტექსტში და აღნიშნა, რომ საკუთრების უფლებით შეუფერხებელი სარგებლობის შეუძლებლობა უთანაბრდება იურიდიული ხასიათის დარღვევას. განჩინებაში აღინიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს მიერ „ვერ იქნა ახსნილი, თუ როგორ ამართლებს კვიპროსის სამხრეთში მცხოვრები კვიპროსელი თურქების გადასახლება ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში საკუთრების უფლების ხელყოფის ფაქტს, რამაც მომჩივნის მიმართ მიიღო კატეგორიული და განგრძობადი აკრძალვის სახე და ყოველივე ეს მიზნად ისახავდა საკუთრების ექსპროპრიაციას ყოველგვარი კომპენსაციის გადახდის გარეშე“ (*Loizidou v. Turkey, judgement of 18 December, 1996, §64*).

შესაბამისად, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მომჩივნის მიმართ დარღვეული იქნა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მოთხოვნა.

## დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლსა და ევროპული სასამართლოს განჩინებებში ჩამოყალიბებულია საკუთრების უფლების დაცვისა და აღნიშნული უფლებით სარგებლობის შეზღუდვის უმნიშვნელოვანესი პრინციპები.

კონვენციის ამ მუხლის თანახმად, სახელმწიფოებს გააჩნიათ ფართო უფლებამოსილება ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას; ამავე დროს, სახელმწიფოების ქმედება საკუთრების უფლების ხელყოფის დროს არ შეიძლება ატარებდეს თვითნებურ, უკონტროლო ხასიათს; სწორედ ამ საკითხებს არკვევს ევროპული სასამართლოს საპრეცედენტო პრაქტიკა, რომლის თანახმად, თითოეული საჩივრის განხილვის დროს უნდა განისაზღვროს, ექცევა თუ არა საკუთრების უფლება ან ქონება კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში; აქვს თუ არა ადგილი საკუთრების უფლების ჩამორთმევას ან სხვაგვარ ხელყოფას; კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული სამი წესიდან, რომლის ფარგლებში მოხდა საკუთრების ხელყოფა; ემსახურება თუ არა საკუთრების უფლების ხელყოფა საჯარო ან საერთო ინტერესით განპირობებულ კანონიერ მიზანს.

ევროპული სასამართლო მართებულად მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მიერ კერძო პირისათვის საკუთრების უფლების ჩამორთმევისას უნდა არსებობდეს არა მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე კანონიერი მიზანი, არამედ გონივრული თანაზომიერება გამოყენებულ საშუალებებსა და იმ მიზანს შორის, რომლისკენაც არის მიმართული საკუთრების უფლების შეზღუდვა; ამავე დროს სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ადვილად ხელმისაწვდომი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, რომლებიც, თავის მხრივ, უნდა პასუხობდეს სამართლის კონცეფციის არსებით მოთხოვნებს.

# მართლმსაჯულების ხარვეზი თუ სასამართლო შეცდომა?

## *ნინო გვენეტაძე*

*საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის*

*სისხლის სამართლის კომიტეტის ექსპერტი*

*იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი*

*ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი*

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის<sup>1</sup> მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სამართალწარმოების განახლება შესაძლებელია ახალი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების ანდა პირველი სამართალწარმოებისას არსებითი ხარვეზის არსებობის შემთხვევაში.<sup>1</sup>

საქმის ხელახალი განხილვა non bis in idem პრინციპის მიზნებისათვის წინა (პირველი) პროცესის გაგრძელების ფორმაა.<sup>2</sup> ამდენად, მართლმსაჯულების ხარვეზის დასადგენად სისხლის სამართლის საქმის ხელახალი განხილვა პირველი პროცესის გაგრძელების ფორმა და კონვენციასთან შესაბამისია.

non bis in idem პრინციპი გულისხმობს, რომ პირველი სასამართლოს გადაწყვეტილებამ მიიღო საბოლოო ხასიათი, ანუ ის გახდა res judicate. საკანონმდებლო პირობები, რომლის საფუძველზე გადაწყვეტილება ხდება საბოლოო, მოცემული უნდა იყოს ეროვნულ სამართალში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის მიხედვით: “განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.<sup>3</sup> ამასთან, არსებობს სამართლებრივი დაცვის სააპელაციო და საკასაციო საშუალებები. აღნიშნული ინსტანციების, მხარეთა მიერ ამოწურვის შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობით არ არსებობს განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობა. შტეფან ტრექსელი უთითებს, რომ გამართლება ან მსჯავრდება საბოლოოა, თუ აღარ არსებობს გასაჩივრების შესაძლებლობა. გადაწყვეტილება მიიჩნევა საბოლოოდ, როგორც კი ის ხდება სამართლებრივი ძალის მატარებელი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ არის კანონიერი, ანუ გარკვეული ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომებია დაშვებული (მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. (მუხ. 259)). სამართალში non bis in idem პრინციპი დაირღვევა, თუ

1 შტეფან ტრექსელი ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2009, გვ. 447

2 ჯერემი მაკბრაიდი, ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ევროპის საბჭო, 2011 წ. გვ. 357

3 იხ. სსსკ-ის 292-ე – 309-ე მუხლები. აპელაცია და კასაცია. საპროცესო კანონმდებლობით დარეგულირებულია განაჩენის სააპელაციო და საკასაციო წესით განაჩივრება.



დაიწყება ახალი სისხლისსამართლებრივი დევნა და ახალი სამართალწარმოება.<sup>4</sup>

მართლმსაჯულების ხარვეზი, როგორც პროცესის განახლების განსაკუთრებული მოდელი, აქტუალურია თანამედროვე ქრთული მართლმსაჯულებისთვის. უკანონო, დაუსაბუთებელ და უსამართლო გადაწყვეტილებათა შედეგების აღმოფხვრა შეუძლებელია სამართალწარმოების დაშვებული ხარვეზის დადგენის პროცესის დარეგულირების გარეშე.<sup>5</sup>

ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში არსებული მოდელი - სამართალწარმოების განახლება ახალი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების გამო, რაც განაჩენის გადასინჯვის წესს განსაზღვრავს, არის ერთ-ერთი მექანიზმი, რომელიც სააპელაციო სასამართლოში განსჯადობის მიხედვით საქმის არსებითი განხილვის წესს ამკვიდრებს. ეს წესი ითვალისწინებს განაჩენის შეცვლის, გაუქმებისა და ახალი განაჩენის დადგენის ან განაჩენის უცვლელად დატოვების შესაძლებლობას. (სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 314-ე მუხ.) ამავდროულად, სააპელაციო სასამართლოს განაჩენზე შედის საკასაციო საჩივარი.

მოქმედმა საპროცესო კანონმდებლობამ უარი თქვა სამართალწარმოების განახლების ძველ მოდელზე, რომელიც ფაქტობრივი ან სამართლებრივი ხასიათის ახლად აღმოჩენილი და ახლად გამოვლენილი გარემოებით ითვალისწინებდა განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას.<sup>6</sup> მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კოდექსის მოქმედ რედაქციაში შენარჩუნდა და გააფართოვდა კიდევ ახლად გამოვლენილი

4 [1] see Brumărescu, cited above, § 61 , შტეფან ტრეუსელი ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი 2009, გვ. 435 აგრეთვე, მე-7 ოქმის განმარტებითი ბარათის მიხედვით, გადაწყვეტილება საბოლოოა, თუ მან მიიღო "res iudicata"-ს ძალა.

5 Ministry of justice of Georgia ამ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს იუსტიციის სამინისტროს უწყებათმშობრის კომისიის მიერ მომზადებული კანონპროექტი "მართლმსაჯულების ხარვეზების შემწვაველი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნის თაობაზე" c/jros@justice.gov.ge

6 იხ. იხ. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ მუხ.10 1999 წ. 12 მაისი №1947-III (ძალადაკარგულია-საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის ორგანული კანონი №2257-სსმI, №81, 08.12.2009წ., მუხ.300) განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. მუხ. 559-599, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 1998 წლის რედაქციით. ახლად გამოვლენილ გარემოებათა სახეები, რომლებითაც შეპირობებულია უკანონო ან დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვა, შემდეგია: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების დადგენისას გამოყენებული კანონი; კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გამტანის შემდეგ ახალი კანონის მიღება, რომელიც აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას; **გარემოებები, რომლებიც მიუთითებდნენ დაშვებულ სასამართლო შეცდომაზე, რომელმაც თავი იჩინა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.** სასამართლო შეცდომის გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ საჩივარი უშუალოდ შეაქვთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატაში. საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხარეებს, ხოლო მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში – მის ნათესავს, დამცველს ან სხვა დაინტერესებულ პირს. ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის შესახებ საჩივარი შეიცავდა საკასაციო საჩივრის აუცილებელ რეკვიზიტებს და საჭიროებდა აგრეთვე დასკვნებს, რომლებიც ასაბუთებენ კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და (ან) შემდგომი სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აუცილებლობას. საზედამხედველო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

გარემოებების სახეები<sup>7</sup>. ახლად გამოვლენილ გარემოების ერთ-ერთი სახე, რომელიც 1998 წლის საპროცესო კოდექსის 1999 წლის 13 მაისის რედაქციით იყო გათვალისწინებული სასამართლო შეცდომის სახით, 2000 წლის 5 მაისის კანონით გაუქმდა. 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა “სასამართლო შეცდომა”, როგორც დამოუკიდებელი სახე ფაქტობრივი ან სამართლებრივი ხასიათის ახლად გამოვლენილი გარემოებისა, სამართალწარმოების განახლებისას არ გაითვალისწინა.

ვფიქრობთ, კანონმდებლის ნება ეფუძნებოდა იმ კრიტერიუმებს, რომლებიც, 2000 წლის 5 მაისის კანონით, საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის საფუძველი გახდა. კერძოდ, საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოქმედი საზედამხედველო პალატა იკვლევდა იმ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებდნენ დაშვებულ სასამართლო შეცდომაზე, რამაც თავი იჩინა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. ქართული მართლმსაჯულების განვითარების იმ ეტაპზე, შესაძლებელი და გონივრული გახდა იმის დასაბუთება, რომ გატარებული სამართლებრივი რეფორმა სასამართლო შეცდომის შემცირებისა და, ამდენად, სასამართლო შეცდომის, როგორც საქმის ხელახალი გადასინჯვის შესაძლებლობის, გაუქმების იმედს იძლეოდა. ამასთან, ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული აპელაციის უფლება, სისხლის სამართლის საქმეებზე, ეფექტურად იყო წარმოდგენილი ეროვნულ დონეზე, ყველა კატეგორიის დანაშაულთან მიმართებაში. საპროცესო კოდექსის 517-ე მუხლი აღიარებდა პირის უფლებას, საქმე განხილულიყო ორ სასამართლო ინსტანციაში, რაც მსჯავრდებულს, დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და სამოქალაქო მოპასუხეს არანაკლებ ორ სასამართლო ინსტანციაში<sup>8</sup> საქმის განხილვის მოთხოვნის შესაძლებლობას აძლევდა. გასაჩივრების უფლება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში არ იყო გართულებული საჩივრის დასაშვებობის საფუძვლების არსებობით.<sup>9</sup> სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის საფუძველი იყო რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განაჩენისა თუ სხვა გადაწყვეტილების როგორც დასაბუთებულობის, ისე კანონიერების

7 იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 310. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის საფუძვლები განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვა, თუ: ა) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ ყალბია მტკიცებულება, რომელიც საფუძველად დაედო გადასასინჯ განაჩენს; ბ) არსებობს გარემოება, რომელიც მოწმობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დამდგენი სასამართლოს უკანონო შემადგენლობას ან იმ მტკიცებულების დაუშვებლობას, რომელიც საფუძველად დაედო გადასასინჯ განაჩენს; გ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ სხვა პირმა ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული; დ) არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი; ე) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ან მისი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და გადასასინჯი განაჩენი ამ დარღვევას ეფუძნება (27.03.2012. N5925); ვ) ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო; ზ) წარდგენილია ახალი ფაქტი იმ მტკიცებულება, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს არ იყო ცნობილი და თავისთავად თუ სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი ან უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო, აგრეთვე ამტკიცებს გამართლებულის ბრალულობას ან დანაშაულის იმ პირის მიერ ჩადენას, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვეტილი იყო.

8 საქართველოს კანონი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ, 1999 წლის 13 მაისის კანონი №1958 - სსმ I, №16(23), 14.05.1999 წ., მუხ.522-565

9 საკასაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტა სსსკ-ში 2005 წლის კანონით დამკვიდრდა. საქართველოს 2005 წლის 25 მარტის კანონი №1204 - სსმ I, №14, 18.04.2005 წ., მუხ.94

თაობაზე შეტანილი საჩივარი. საკასაციო წესით საჩივრდებოდა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება, რომელიც არ იყო შესული კანონიერ ძალაში და, კასატორის აზრით, უკანონო იყო. ფაქტობრივად, რეალიზებული იყო გასაჩივრების ორი ძირითადი მიზანი, რომელიც მითითებულია ადამიანის უფლებების დაცვის კონტექსტში, კერძოდ:

1. იმ მექანიზმის უზრუნველყოფა, რომლის მეშვეობით მხარეებს შეუძლიათ სამართალწარმოების უფრო სასურველი შედეგით დასრულება<sup>10</sup> და
2. გასაჩივრება, რომელიც ისეთ ღირებულებებს უწყობს ხელს, როგორცაა: თანმიმდევრულობა, სამართლიანობა და აწესრიგებს კანონის ერთგვაროვან განმარტებას.

რთულია გასაჩივრების უფლების დახასიათება მხოლოდ დაცვის სასარგებლო ინსტრუმენტად, მაგრამ ზემდგომი (ეროვნული სააპელაციო და საკასაციო) ინსტანციებიდან სასურველი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა - ითვლება დაცვისათვის იმედის მომცემად. შტეფან ტრექსელი მიიჩნევს, რომ გასაჩივრების უფლება ასევე, უდავოდ განიხილება სამართალწარმოების სამართლიანობის ხარისხზე ზეგავლენის შესაძლებლობად<sup>11</sup>. პრევენციულობა ანუ მოსამართლეთათვის კეთილსინდისიერი მუშაობისა და თვითნებობის თავიდან აცილების მოტივაცია, ასევე გასათვალისწინებელია. ამდენად, ეფექტური გასაჩივრების უფლება ეროვნულ დონეზე იმ დროისთვის ქმნიდა გონივრული ვარაუდის შესაძლებლობას კანონიერ, დასაბუთებულ და სამართლიან სამართალწარმოებაზე. სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული გასაჩივრების მარეგულირებელი ეროვნული მექანიზმები (აპელაცია და კასაცია) იძლეოდა სასამართლო შეცდომის, როგორც ახალი გარემოების სახით საქმის ხელახალი გადასინჯვის საპროცესო კოდექსიდან ამოღების შესაძლებლობას. იმავდროულად, იქმნებოდა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების საქმეებით გადატვირთვის პრობლემა, რაც შემდგომ ეტაპზე (2005 წლიდან)<sup>12</sup> საჩივრის დასაშვებობის როგორც ფორმალური (სააპელაციო საჩივართან მიმართებაში) ისე, სამართლებრივი კრიტერიუმების შემოტანით უნდა დაძლეულიყო. აღნიშნული ინოვაციური მიდგომის გამოყენებამ დროთა განმავლობაში განაპირობა საკასაციო საჩივრის როგორც მიზანშეწონილობის და საჩივარის დასაშვებობაზე დაუსაბუთებლად უარის თქმის სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება. გასაჩივრების მექანიზმების ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა წლების განმავლობაში შეუძლებელი

10 იხ. საქმე "Monnel and Morris v. the United kingdom" და "Magharian v. Sweden". აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობაში პროკურორს აქვს უფლება, გასაჩივროს გამამართლებელი ან, მისი აზრით, ზედმეტად მსუბუქი განაჩენი. ასევე კონვენცია არ იცავს მომჩივანს პრინციპისაგან "reformatio in pejus" ანუ გასაჩივრების შედეგად უფრო მკაცრი სასამართლო განაჩენის გამოტანისაგან. შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, გვ. 406.

11 იხ. იქვე, გვ. 411

12 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 547-ე მუხლმა გაითვალისწინა საკასაციო საჩივრის დასაშვებობა თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეზე უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე (საქართველოს 2005 წლის 23 ივნისის კანონი №36, მუხ. 223).

გახდა არა მხოლოდ გამარტივებული სამართალწარმოების ანუ ქართული 'საპროცესო შეთანხმებით'<sup>13</sup> (პირველი და სააპელაციო ინსტანციის

დონეზე) საქმეთა 85%-90% დამთავრების გამო, არამედ საკასაციო გასაჩივრების მექანიზმით დადგენილი კრიტერიუმები ვერ ემსახურებოდა კანონიერ მიზანს და ხელყოფდა თვით გასაჩივრების უფლების არსს.<sup>14</sup>

მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი მხოლოდ ერთხელ გასაჩივრების უფლებას ეხება, ევროპული კონვენციის საფუძველზე გამოყენებული მიდგომა პატივს სცემს შიდა სახელმწიფოებრივ კანონმდებლობას.

საქართველოში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების მარეგულირებელი სააპელაციო<sup>15</sup> და საკასაციო წესი, იმის გათვალისწინებით, რომ საჩივრის დასაშვებობის პროცესი, ფაქტობრივად, არასწორად გაგებული სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებით გამოყენებოდა და საჩივრის დაუშვებლობა მხოლოდ მიზანშეწონილობით წყდებოდა, ხელს უშლიდა გასაჩივრების უფლების განხორციელებას. დაუსაბუთებლად უარის თქმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობაზე, საკასაციო ინსტანციაში განხილულ საქმეთა რაოდენობიდანაც მტკიცდება. (მაგ. 2011 წელს 828 საკასაციო საჩივრიდან 1171 პირის მიმართ, დაუშვებლად ცნობილ იქნა 776 საჩივარი 1103 პირის მიმართ, ხოლო 2012 წელს 460 საკასაციო საჩივრიდან 601 პირის მიმართ - 419 საჩივარი 545 პირის მიმართ).<sup>16</sup>

შექმნილი რეალობა მართლმსაჯულების ხარვეზის წარმოშობის იმ ერთ-ერთი მიზეზის ნათლად წარმოჩენის შესაძლებლობას ქმნის, რომელიც გამოიხატება მართლმსაჯულების სისტემის გაუმართავი მუშაობით, რასაც საფუძვლად უდევს ნაკლოვანი კანონმდებლობა და პრაქტიკა, გაუმართავი ინსტიტუციები და სისტემის იდეოლოგიზაცია.<sup>17</sup>

სამართალწარმოების მთელი პროცესის განმავლობაში მატერიალური სისხლის კანონმდებლობისა და საპროცესო სამართლის ნორმების არსებითი დარღვევების

13 ალტერნატიული ტიპის სამართალწარმოება რეკომენდებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ. Committee on the Honouring of Obligations and Commitments by Member States of the Council of Europe (Monitoring Committee) Honouring of obligations and commitments by Georgia 2011. საქართველოს 1 ინსტანციის სასამართლოში საპროცესო შეთანხმებით განხილული საქმეები (პროცენტი განაჩენის გამოტანით განხილულ საქმეებში: 2011 წ. 12718 სისხლის სამართლის საქმე (87,5%), ხოლო 2012 წ. 7897 სისხლის სამართლის საქმე ანუ (87,8%).

14 Krombach v. France განაცხადი 58188/00

15 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 297. სააპელაციო სხდომა, სააპელაციო საჩივარი განიხილება პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნორმების შესაბამისად. შემდეგი ცვლილებებით: გ) სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულების გამოკვლევა, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულება გამოკვლეულია კანონის არსებითი დარღვევით და მხარე აყენებს შუამდგომლობას ამგვარი მტკიცებულების ხელახლა გამოკვლევის თაობაზე; დ) მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით ახალი მტკიცებულება შესაძლოა გამოიკვლიოს სააპელაციო სასამართლოში, თუ შუამდგომლობის ავტორი დაასაბუთებს, რომ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოზიციის დასასაბუთებლად და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მისი წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელი იყო; ე) მტკიცებულებების გამოკვლევა არ უნდა გაცდეს სააპელაციო საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებს.

16 supremecourt.ge სტატისტიკა.

17 Peter Van koppen-Miscriages of justice in Inquisitorial and Accusatorial Legal Systems, 2007. p.134.

გარემომ ქართული მართლმსაჯულება ხარვეზებისაგან ვერ დაიცვა. იმის გათვალისწინებით, რომ მართლმსაჯულების ხარვეზი ნებისმიერ სამართლებრივ სისტემაში გარდაუვალია და, რომ მართლმსაჯულება, როგორც ადამიანური განსჯის პროდუქტი, დაზღვეული არ არის შეცდომებისაგან<sup>18</sup> იმთავითვე ითხოვს საკითხის სამართლებრივ დარეგულირებას ეროვნულ საკანონმდებლო

დონეზე. ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი<sup>19</sup> ადგენს განაჩენის გადასინჯვის წესს (მუხ.310-314), ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. აღნიშნული ადასტურებს, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ გამორიცხავს ახალ სამართალწარმოებას მსჯავრდებულის სასარგებლოდ, თუმცა, უხარვეზო ამ მიმართებით არ არის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამართალწარმოების განახლების მეორე შემთხვევა, ანუ არსებითი ხარვეზი პირველ სამართალწარმოებაში, კანონმდებლობით დარეგულირებული არ არის. ასეთ შემთხვევაში კონვენციისა და მე-7 დამატებითი ოქმის პირდაპირ გამოყენება არ ხდება. ამდენად, ქართული რელობიდან გამომდინარე, მართლმსაჯულების ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, სამართალწარმოების განახლების აუცილებლობა დგება.

თანამედროვე მიდგომა მითითებული საკანონმდებლო ხარვეზის გამოსასწორებლად, გულისხმობს “სამართლის კომისიის” (უმეტესად, საერთო სამართლის ქვეყნებში) შექმნას, პირველ ეტაპზე მართლმსაჯულების ხარვეზის დასასგენად და შემდგომ მაღალი ინსტანციის სასამართლოსათვის გადასაცემად. ნათელია, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მართლმსაჯულების ხარვეზის დასადგენად იღებს მხოლოდ სასამართლო.<sup>20</sup>

ხელახალი სამართალწარმოების დაწყებისათვის მთავარი პრინციპია ისეთი თანამედროვე ფილტრის არსებობა, როგორცაა კომისიის მიერ წინასწარი შემოწმება, რომელიც შეიძლება იყოს ფორმალური ან არსებითი<sup>21</sup>, სადაც კომისია მიმართავს სათანადო გამოკვლევას, დაკითხვებს, დაპირისპირებებს და შემოწმებას”. პირველი გამოკვლევის ჩატარების შემდეგ კომისია იღებს გადაწყვეტილებას: საჩივრის უარყოფის ან დაკმაყოფილების შესახებ.<sup>22</sup> მეორე ფილტრის სახით - საქმე ხელახლა განსახილველად გადაეცემა “სარევიზიო” (re-vision) სასამართლოს. კომისიამ მხოლოდ ის უნდა გადაწყვიტოს, განახლდეს თუ არა საქმის წარმოება. კომისიის მიერ მოსალოდნელია ისეთი გარემოებების გამოვლენის შესაძლებლობა, რომლებიც არ იყო ცნობილი სასამართლო განხილვის დროს. ახალი გარემოება, რომელიც გაამართლებს სამართალწარმოების განახლებას და რომელთა არსებობის ცოდნა ან დადგენა შეუძლებელი იყო პირველი სასამართლო განხილვისას, ფაქტობრივად, კომისიის ხელთაა. თუმცა, ზოგიერთი მოდელის მიხედვით (ინგლისური მოდელი)<sup>23</sup>, კომისიის დასკვნა არ არის სავალდებულო და ხშირია შემთხვევები, როდესაც სასამართლო არ იზიარებს კომისიის დასკვნას.

18 Stewen Wisotski, Miscarriages of Justice- Their Causes and Cures, 1997 (St. Thomas Law review p.3)

19 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2009 წ. თავი XXVII.

20 შტეპან ტრეპუელი. აკამიანი უალებეი თითხლით თამართლით პროცესოში, 2009წ. გვ.447  
Role of Innocence Commissions: Error Discovery, Systemic Approach or Both. p.6.

21 Cristine Van DenWingaert ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო ინსტიტუტები, 1993 წ. გვ. 151, 175.

22 ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, 1999წ. გვ.411

23 Role of Innocence Commissions: p.7

ვფიქრობთ, ლეგიტიმურია კითხვა: კომისიის საქმიანობის პროცედურით ხომ არ ირღვევა სამართლიანი ბალანსი განმცხადებლის ინტერესებსა და მართლმსაჯულების სათანადო განხორციელების უზრუნველყოფას შორის? კომისიის მიერ ახალი ფაქტების აღმოჩენა ან საქმეში არსებითი საპროცესო დარღვევები იქნება თუ არა საკმარისი პირველი საბოლოო გადაწყვეტილების ეჭვქვეშ დასაყენებლად და გადასინჯვის საგამონაკლისო საშუალების გამოსაყენებლად?

თუ კომისია ვერ უზრუნველყოფს სამართლიან ბალანსს განმცხადებლის ინტერესებსა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანობას შორის, კომისიის ფუნქციონირება სადავო იქნება და სასამართლოს მოუწევს როგორც ფაქტების დადგენა, ასევე ფაქტების განსჯა. თუ სასამართლო დაადგენს, რომ ადგილი აქვს ხარვეზს, მაშინ მოუწევს საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნება.

გადასასინჯი განაჩენის გაუქმების საკითხი ცალკე შეჯიბრებით პროცესზე გადაწყდება კომპეტენტური სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას. კომისიის დასკვნა თავისთავად რომ შეფასდეს ახალ გარემოებად, საკითხავია, რაიმე გადამწყვეტი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია თუ არა მას ხელახალი განხილვის პროცედურის სამართლიანობაზე? საპასუხოდ უნდა მოვიშველიოთ სამართალწარმოების არსებითი ხარვეზი, რომელიც გაამართლებს პირის ხელმეორედ გასამართლებას. ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის კომენტარებისას შ. ტრექსელი<sup>24</sup> არსებითად მიიჩნევს ისეთ ხარვეზებს, რომელთა საფუძველზე პირის გამართლება წარმოადგენს მართლმსაჯულების “დამახინჯებას”. აღნიშნულის დასადასტურებლად მოყვანილია იძულების, ცრუ ჩვენების ან ქრთამის მიცემის შემთხვევები, რამაც გავლენა მოახდინა სასამართლო განხილვაზე. ავტორი იშველიებს გაერთიანებული სამეფოს საკანონმდებლო დათქმას, რომლის მიხედვით, გამამართლებელი გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს, თუ ადგილი ჰქონდა მსაჯულის ან მოწმის დაშინების ან მასზე ზეგავლენის მცდელობას.<sup>25</sup>

ვფიქრობთ, მითითებული პრობლემების გადასაწყვეტად, მართლმსაჯულების ხარვეზის ეფექტურად დასაძლევად და სამართლიანი მართლმსაჯულების მიზნის მისაღწევად დეტალურად უნდა დამუშავდეს ხარვეზის გამოსწორების როგორც ევროპული, ისე საერთო სამართლის ქვეყნების თანამედროვე იურიდიული მექანიზმები.

<sup>24</sup> შტევან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2009წ. გვ.448

<sup>25</sup> Criminal Appeal Act .1995

## ადმინისტრაციული განსჯადობა

**პაატა ტურავა,**

სამართლის დოქტორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,

გრიგოლ რომაქიძის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის და პოლიტიკის

სკოლის დეკანი

### 1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სასამართლო დაცვის უფლების<sup>1</sup> რეალიზაციის მიზნით ადმინისტრაციულ საპროცესო სამართლებრივი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა უშუალოდ დაკავშირებულია სასამართლოს განსჯადობის საკითხის გარკვევასთან. როგორც მოსამართლის, ასევე ადვოკატის საქმიანობის მნიშვნელოვანი ეტაპია დავის საგანთან მიმართებით უწყებრივი ქვემდებარეობის და განსჯადობის სწორად განსაზღვრა. ეს ორი საკითხი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, მაგრამ აქვს ორი განსხვავებული ფუნქცია<sup>2</sup>.

უწყებრივი ქვემდებარეობა ახდენს სახელმწიფო ორგანოებს შორის უფლებამოსილებათა (იურისდიქციის) გამიჯვნას. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით სასამართლო საკუთარი ინიციატივით ამოწმებს შეუძლია თუ არა მიიღოს და განიხილოს საქმე. გადაწყვეტილების გამოტანა საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება, არის ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი<sup>3</sup>.

სასამართლო უწყებრივი ქვემდებარეობის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ გადადის განსჯადობის საკითხის გარკვევაზე. განსჯადობა არის სასამართლო ორგანოებისადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეების განაწილება საერთო სასამართლოების სისტემაში კანონით ზუსტად განსაზღვრული წესით<sup>4</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც

1 აღნიშნული უფლება ასევე გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, დაწვრილებით იხ. კონსტანტინე კორკელია, ირინე ქურდაძე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, 2004, გვ. 155-დან.

2 დაწვრილებით იხ. თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2005, გვ. 148-დან.

3 იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

4 დაწვრილებით იხ. მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, 2008, გვ. 141-დან.

ქვემდებარება მისი საქმე“. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობით საერთო სასამართლოების სისტემაში ხდება საგნობრივი, ტერიტორიული და ინსტანციური განსჯადობის განსაზღვრა<sup>5</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (სასკ) აწესრიგებს ადმინისტრაციული განსჯადობის საკითხს, საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა ანალიზი ადასტურებს, რომ ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია მართლმსაჯულების პრაქტიკაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ ნაშრომში განვიხილავთ ადმინისტრაციული საგნობრივი განსჯადობის დადგენის ძირითად პრობლემებს.

## 2. საკანონმდებლო საფუძვლები

სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების დადგენის კრიტერიუმები მოცემულია სასკ-ის მე-2 მუხლში<sup>6</sup>. კანონმდებლის მიერ დადგენილი ზოგადი პრინციპის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან<sup>7</sup>. სასკ-ის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია ჩამონათვალი იმ საქმეებისა, რომელიც სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს. თუმცა ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, არამედ ის ემსახურება აღნიშნული ნორმის მე-3 ნაწილში მოცემული ზოგადი პრინციპის რეალიზაციის გაადვილებას<sup>8</sup>.

აღნიშნულ საკანონმდებლო მოწესრიგებაზე დაყრდნობით შევეცადეთ, გამოგვეყოს ის ერთგვაროვანი პრობლემები, რომელიც გვხვდება საქართველოს ადმინისტრაციული მართლმსაჯულების პრაქტიკაში.

## 3. დავა განსჯადობაზე

თუ კი საქმის განმხილველი სასამართლო განსჯადობის შემოწმების ფარგლებში დაადგენს, რომ სარჩელი წარდგენილია არაგანსჯად სასამართლოში, სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს<sup>9</sup>. მოსამართლის დასაბუთება განსჯადობასთან დაკავშირებით არ არის სავალდებულო იმ სასამართლოსთვის ვისაც გადაეგზავნა ეს სარჩელი განსახილველად. აღნიშნული შინაარსის უთანხმოება ხდება სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ დავის დაწყების საფუძველი, რომელიც განიხილება საკასაციო სასამართლოში<sup>10</sup>. ამდენად, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

5 თითოეული დაწვრილებით იხ. მაია კოპალიეშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, 2008, გვ. 148-დან.

6 აღნიშნული ნორმის მე-4 და მე-5 ნაწილები, მიუხედავად მისი სათაურისა („სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები“), აწესრიგებს უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხებს.

7 იხ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი.

8 სასურველია სასკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი ადგენდეს ზოგად პრინციპს, ხოლო მე-2 ნაწილში მოცემული იყოს ის ჩამონათვალი, რომელიც არ არის ამომწურავი.

9 იხ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

10 იხ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილი.



და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის დასაბუთებული განჩინებები არის განსჯადობის პრობლემასთან დაკავშირებით ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების საფუძველი. ამ ნაშრომის ფარგლებში გამოყენებული იქნება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით<sup>11</sup>.

#### **4. ადმინისტრაციული განსჯადობის დადგენის კრიტერიუმები**

##### **4.1 საქმიანობის სამართლებრივი ფორმების საპროცესო სამართლებრივი ფუნქცია**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივ ფორმებს. აღნიშნულს აქვს საპროცესო სამართლებრივი ფუნქცია, რაც გულისხმობს იმას, რომ უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივი საშუალების (ადმინისტრაციული სარჩელის) განსაზღვრა დამოკიდებულია კონკრეტულ საქმიანობის სამართლებრივ ფორმასთან<sup>12</sup>. ადმინისტრაციული განსჯადობის დადგენის კრიტერიუმად კანონმდებელი ასევე იყენებს საქმიანობის სამართლებრივ ფორმას. სასკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ან მისი არარად აღიარება, რაიმე ქმედების განხორციელება (რეალაქტი), ასევე ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმიანობის თითოეული სამართლებრივი ფორმა განვიხილოთ ცალ-ცალკე.

##### **4.2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმის და შინაარსის გამიჯვნა**

როგორც აღინიშნა, სასკ-ის მე-2 მუხლი ადგენს განსჯადობის განსაზღვრის ზოგად და სპეციალურ კრიტერიუმებს. პირველ რიგში უნდა გამოვიყენოთ სპეციალური კრიტერიუმი, რომელიც დაკავშირებულია საქმიანობის სამართლებრივ ფორმის სწორად განსაზღვრის საკითხთან.

რამდენადაც სასამართლოში დავის საგანი შეიძლება იყოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან<sup>13</sup>, განსჯადობის საკითხის დადგენა უშუალოდ უკავშირდება იმის გარკვევას სადავო ურთიერთობაში გვაქვს თუ არა სახეზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

11 მართლმსაჯულების სისტემის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ დავას განსჯადობაზე განიხილავს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატა. სასურველია კანონმდებელმა გაითვალისწინოს დავის პარიტეტულ საწყისებზე შექმნილი შემადგენლობის მიერ განხილვის სავალდებულობა.

12 ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები, დაწვრილებით იხ. პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2010, გვ. 40-დან.

13 იხ. სასკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

საკითხის ნათლად წარმოსაჩენად გამოვიყენოთ საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება<sup>14</sup>. მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის თავმჯდომარედ დაფიქსირდა ზ. თ-შვილი. მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) ბრძანების საფუძველი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბრძანება სასამართლოში იყო სადავო, რის გამოც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურ ცენტრს (საგადასახადო ინსპექციას), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ელი ნაწილის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 183-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფლება არ ჰქონდა განეხილა აღნიშნული საკითხი, იგი ვალდებული იყო, საკითხის განხილვა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე შეეჩერებინა. მოსარჩელემ დამატებით აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) ბრძანება მის მიერ ადმინისტრაციული საჩივრით იქნა გასაჩივრებული, თუმცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბრძანებით მას უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სარჩელის განსჯადობის შემოწმებისას გამოიყენა განსჯადობის დადგენის როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტული კრიტერიუმი და დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან კერძო სამართლის იურიდიული პირების რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების შეტანა რეგულირდებოდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმებით. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ასევე მიუთითა, რომ სადავო ბრძანებები არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს(იასა), ვინაიდან აღნიშნული ბრძანებები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული იყო არა ადმინისტრაციული, არამედ კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოტივაციას და აღნიშნა, რომ სასამართლოს სარჩელის განხილვისას კერძოსამართლებრივი კანონმდებლობით არ უნდა ეხელმძღვანელა, რადგან განსახილველ შემთხვევაში დავის არსი არ მდგომარეობდა ამხანაგობის წევრთა საერთო კრების ან ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევის კანონიერების შემოწმებაში. რამდენადაც მოსარჩელე სადავო ბრძანებების ბათილად ცნობას ითხოვდა არა კერძოსამართლებრივი ნორმების დარღვევის საფუძველზე, არამედ - ფორმალური თვალსაზრისით -

<sup>14</sup> იხ. სუს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინება, საქმე ბს-181-174(გ-10) 8 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი,

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 182-ე მუხლებით დადგენილი წესის დარღვევის გამო, დავა უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლომ განსჯადობის დავის განხილვის ფარგლებში საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მოახდინა საქმიანობის სამართლებრივი ფორმის და შინაარსის გამოჯვანა და აღნიშნა, რომ ფორმალური თვალსაზრისით გასაჩივრებული აქტი გამოცემული იყო ადმინისტრაციული აქტის (ბრძანების) ფორმით, ხოლო შინაარსობრივად დავის მთელი არსი მდგომარეობდა იმაში, რამდენად კანონიერად ჩატარდა ამხანაგობის წევრთა საერთო კრება, რამდენად კანონიერად მოხდა ამხანაგობის ახალი თავმჯდომარის არჩევა და რამდენად კანონიერად შევიდა ცვლილება ამხანაგობის სარეგისტრაციო მონაცემებში.

საკასაციო სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება მიუთითებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრების არამართებულობაზე, როდესაც ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ სადავო ბრძანება არ წარმოადგენდა იასა-ს, ვინაიდან აღნიშნული ბრძანება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული იყო არა ადმინისტრაციული, არამედ კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე. საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი არ განსაზღვრავს საქმიანობის სამართლებრივ ფორმას, არამედ მისი გამომყენებლის, ადმინისტრაციული ორგანოს ნება - გამოსცეს ცალმხრივად, შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკითხი, ორგანოს ჰქონდა თუ არა უფლებამოსილება კონკრეტული ურთიერთობა მოეწესრიგებინა იას-ს გამოცემის გზით და/ან რამდენად კანონიერია ის, არ ახდენს ზეგავლენას არსებულ რეალობაზე და ორგანოს მიერ განხორციელებული ღონისძიების სამართლებრივი ფორმა უნდა შეფასდეს ობიექტური კრიტერიუმებით მისი შინაარსისგან დამოუკიდებლად<sup>15</sup>.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ღონისძიების სამართლებრივი ფორმის და მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის გამოჯვანა მაშინ არის აქტუალური, როდესაც ეს ორი არ ემთხვევა ერთმანეთს ანუ, როდესაც გამოყენებულია საქმიანობის საჯარო-სამართლებრივი ფორმა(იასა) და მოწესრიგებულია არა საჯარო-სამართლებრივი, არამედ კერძოსამართლებრივი ურთიერთობა.

დავის საგნის განსაზღვრასთან მიმართებით უნდა გამოვყოთ სამი შემთხვევა: 1. როდესაც სადავოხდება აქტის გამოცემისათვის სხვა-ით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა(ფორმალური კანონიერება); 2. როდესაც დავა გამომდინარეობს მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან(მატერიალური კანონიერება) და 3. როდესაც მხარე უთითებს, როგორც აქტის გამოცემისათვის დადგენილი მოთხოვნების(ფორმალური კანონიერება), ასევე ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების დარღვევაზე(მატერიალური კანონიერება). პირველ შემთხვევაში, უდავოა, რომ საქმე განხილული უნდა იქნას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რამდენადაც აქტის ფორმალური კანონიერების შემოწმება და ბათილად ცნობის უფლებამოსილება მხოლოდ ადმინისტრაციულ სასამართლოებს გააჩნიათ. პრაქტიკაში გაუგებრობას იწვევს მეორე და მესამე კატეგორია. მეორე შემთხვევაში, თუ კი მოწესრიგებული ურთიერთობა არის

15 იხ. Wolf-Ruediger Schenke, Verwaltungsprozessrecht, გვ. 34.

კერძოსამართლებრივი, სასურველი იქნებოდა(მაგრამ არა შესაძლებელი) დავის განხილვა მოხდეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რამდენადაც აღნიშნული წესით განმხილველ მოსამართლეებს აქვთ მეტი კომპეტენცია კერძო სამართალში. თუმცა მატერიალური კანონიერების შემოწმების შედეგი ხდება აქტის ბათილად ცნობა, რაც მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით არის შესაძლებელი. მესამე შემთხვევაშიც, როდესაც დავა არის შერეული ხასიათის საქმე განხილული უნდა იქნას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რამდენადაც ძირითადი - აქტის ბათილად ცნობა, მოიცავს მეორეს - აქტის შინაარსობრივი მხარის კანონიერების შემოწმებას. როდესაც საქმე ეხება აქტის კანონიერების შემოწმებას, მოქმედებს პრინციპი, რომლის თანახმადაც, „ის რაც შეუძლია საქმის სამოქალაქო წესით განმხილველ მოსამართლეს, ასევე შეუძლია ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განმხილველ მოსამართლეს, მაგრამ არა პირიქით“.

იას-ას ფორმის და შინაარსი გამიჯვნას აქვს მნიშვნელობა გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების პროცესში - სასამართლო პირველ რიგში ამოწმებს აქტის ფორმალურ კანონიერებას, ხოლო შემდეგ - მატერიალურს. განსჯადობასთან მიმართებით, ეს მხოლოდ მაშინ არის საინტერესო, როდესაც შინაარსი განსაზღვრავს საქმიანობის ფორმის სამართლებრივ ბუნებას, მაგ., ადმინისტრაციული ხელშეკრულების შემთხვევაში, სადაც სწორედ შინაარსზე დამკვიდრებული მისი ადმინისტრაციულ ან კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებად მიჩნევა, შესაბამისად განსჯადობის დადგენა. იასა-ს შემთხვევაში მოწესრიგებული ურთიერთობის შინაარსი არ არის განსაზღვრელი კრიტერიუმში განსჯადობის დასადგენად.

მიუხედავად იმისა, რომ საკასაციო სასამართლომ მოახდინა მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის და მის მოსაწესრიგებლად გამოყენებული საქმიანობის სამართლებრივი ფორმის გამიჯვნა, არ გაითვალისწინა ასეთი გამიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობა. განსჯადობის საკითხის გარკვევისას სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ მხარე სადავოდ ხდიდა იმ გარემოებას, რომ დაირღვა აქტის გამოცემისათვის ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და მიუხედავად ამ აქტით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობის კერძოსამართლებრივი შინაარსისა დავა უნდა მიეჩნია ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავად, რამდენადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში, სასამართლო ვერ იმსჯელებს აქტის ბათილად ცნობის საკითხზე.

### **4.3. სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან**

ისეთ შემთხვევებში, როდესაც განსჯადობის განსაზღვრა შეუძლებელია სასკ-ის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული კრიტერიუმებით, გამოიყენება ამავე მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული ზოგადი კრიტერიუმები - სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. დავის საჯარო სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისათვის არ არის არსებითი მოსარჩელის ან მოპასუხის სამართლებრივი შეხედულება საქმის განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით, არამედ მნიშვნელოვანია

ფაქტობრივ გარემოებები<sup>16</sup>. ერთი შეხედვით კანონმდებლობაში განსჯადობის საკითხი ნათლად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ ხშირად პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევა, როდესაც ურთიერთობა კომპლექსური ხასიათისაა და წესრიგდება სხვადასვა დარგის ნორმებით, ან როდესაც შეუძლებელია ნორმის მკვეთრად კონკრეტულ დარგთან კუთვნილების განსაზღვრა<sup>17</sup>. ნორმის კუთვნილება კონკრეტული დარგისადმი არ უნდა იქნას ვიწროდ ინტერპრეტირებული, როგორც ამას ადგილი აქვს საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში. აღნიშნული პრობლემის თვალსაჩინოობისათვის განვიხილოთ საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება<sup>18</sup>. განსახილველი საქმის არსი მდგომარეობს შემდეგში: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა შპს „მცხეთამ“ მოპასუხეების – ფინანსთა სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელეს გახსნილი ჰქონდა „სპეცსადგომი“, სადაც ახორციელებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 763–779-ე მუხლებით გათვალისწინებულ მიზარების მომსახურებას. ხელშეკრულების საფუძველზე საგანგებო ლეგიონი შპს „მცხეთას“ სპეცსადგომზე შეიყვანდა და განათავსებდა დაკავებულ ტვირთებს, დალუქავდა მათ, ხოლო შპს „მცხეთა“ ვალდებული იყო, შეენახა და დაეცვა ტვირთი. ამ ხელშეკრულებით განისაზღვრა ტვირთის შენახვის ტარიფიც. აღნიშნული ურთიერთობის ფარგლებში ხელშეკრულების მხარეს შპს-ს წინაშე წარმოემვა ტვირთის შენახვის ღირებულების 48000 ლარის გადახდის ვალდებულება. შპს-მ აღძრა სარჩელი სასამართლოში და მოითხოვა მოპასუხეებისაგან მომსახურების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საქართველოს უზენაესმა სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს „მცხეთას“ და მოპასუხეებს შორის დადებული ხელშეკრულება ტვირთის შენახვის შესახებ, მიჩნეული იქნა ბათილ გარიგებად, ვინაიდან ეწინააღმდეგებოდა ადმინისტრაციული კანონმდებლობის მოთხოვნებს. იმავე დროს, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია რა მოსარჩელის მიერ მოპასუხეთა სასარგებლოდ ტვირთის შენახვის ფაქტი, მიუთითა, რომ შპს „მცხეთას“ შეეძლო ამ მომსახურების ანაზღაურების მოთხოვნა არა ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ სხვა სამართლებრივი საფუძველით. საკასაციო სასამართლოს აღნიშნული მითითების საფუძველზე, შპს-მ დავა გააგრძელა უსაფუძვლო გამდიდრების სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუტზე დაყრდნობით. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოებს შორის დაიწყო დავა განსჯადობის შესახებ.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალებისა და განსჯადობის თაობაზე სასამართლოთა მოსაზრებების გაცნობის შედეგად მიიჩნია, რომ შპს „მცხეთის“ სარჩელი მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიმართ, უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლის ანაზღაურების თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას წარმოადგენს და განსახილველად მას უნდა დაექვემდებაროს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსკ-ის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას

16 იხ. Wolf-Ruediger Schenke, Verwaltungsprozessrecht, გვ. 34.

17 საჯარო და კერძო სამართლის გამიჯვნის პრობლემასთან დაკავშირებით შეიქმნა მთელი რიგი თეორიები, როგორცაა ინტერესთა თეორია, სუბორდინაციის თეორია, სპეციალური სამართლის ტეორია. დაწვრილებით იხ. პაატა ტურავა, ნათია წიკელაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გვ. 23-დან. აგრეთვე იხ. მაია კოპალიცივილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, 2008, გვ. 178-დან

18 იხ. სუს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინება, ბს-1047-1000 (გ-07) 26 დეკემბერი, 2007 წ., ქ. თბილისი

სასამართლოებისადმი. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია ის სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლიც იძლევა სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების რეგლამენტაციას, რომლის მიხედვითაც, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. სასამართლო ასევე უთითებს ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილზე და აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს, კერძოდ, მითითებული მუხლის «გ” ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს შეფასებით, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურ ურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა არა მარტო საქმეში მონაწილე სუბიექტები (მხარეები), არამედ დავის საგანი.

მიგვაჩნია, ფაქტობრივი გარემოება, რომ შპს „მცხეთის“ სარჩელი აღძრულია უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით და მოსარჩელე სარჩელის სამართლებრივ საფუძვლად უთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე, 979-ე, 991-ე და 412-ე მუხლებზე, საკასაციო სასამართლოსთვის არ უნდა გამხდარიყო საკმარისი დასკვნისათვის, რომ სადავო სამართალურ ურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. მოსამართლის არგუმენტი, რომ „სასარჩელო მოთხოვნები მთლიანად დაფუძნებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მატერიალურ ნორმებზე და დავის საგანს წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლის ანაზღაურება“ არ არის საკმარისი საფუძველი განსჯადობის საკითხის დასადგენად.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას საკასაციო სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ ნორმის სამოქალაქო კოდექსისათვის კუთვნილება არ არის საკმარისი, რომ ამ ნორმით მოწესრიგებული სამართლებრივი ურთიერთობა მივიჩნიოთ კერძო სამართლებრივ ურთიერთობად. მართალია უსაფუძვლო გამდიდრება არის კერძო სამართლებრივი ინსტიტუტი, მაგრამ როდესაც ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის განხორციელების პროცესში, ის იძენს საჯარო სამართლებრივ ხასიათს. შპს „მცხეთასა“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის ადგილი ჰქონდა საჯარო სამართლებრივ ურთიერთობას და ამ ურთიერთობის ფარგლებში წარმოიშვა უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევა. როდესაც ურთიერთობა არის საჯარო სამართლებრივი, უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც ხდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი.<sup>19</sup>

19 ob. Hartmut Maurer, Allgemeines Verwaltungsrecht, 792 გვერდიდან.

#### 4.4. ადმინისტრაციული და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნა

ადმინისტრაციული და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნის პრობლემა უშუალოდ არის დაკავშირებული განსჯადობის საკითხის გარკვევასთან. სადავოა საკასაციო სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა<sup>20</sup>, რომლის თანახმადაც სახელშეკრულებო ურთიერთობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და კერძო პირებს შორის, კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ აღძრულია სარჩელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, მიჩნეულია ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავად.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნას აღნიშნული შინაარსის დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის თაობაზე და განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს. აღნიშნული ნორმის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება და შეწყვეტა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას. როგორც მოსამართლე აღნიშნავს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე, კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე, კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, არ არის ამოსავალი ადმინისტრაციულ ხელშეკრულების არსებობისათვის, რადგან შესაძლოა, ორ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის დაიდოს სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება და პირიქით, ცალკეულ შემთხვევებში, სათანადო პირობების არსებობისას, კერძო სამართლის სუბიექტებს შორის შესაძლებელია ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება.

როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, დავის განსჯადობის

20 იხ. სუს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინება, # ბს-901-862(გ-06) 19 ივნისი, 2007წ., ქ.თბილისი, # ბს-1078-1030(გ-07) 24 იანვარი, 2008 წ., ქ.თბილისი

საკითხის გასარკვევად უნდა გარკვევს, დადებულია თუ არა ეს ხელშეკრულება სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მის უშუალო საჯარო კომპეტენციაში შემავალი ფუნქციის განხორციელების მიზნით, თუ დადებულია მოსარჩელის უშუალო კომპეტენციის განხორციელების დასახმარებლად. მოსამართლეს ხელშეკრულების საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში დადებულად მიჩნევისათვის არგუმენტად მოჰყავს შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიცია და დამტკიცდა მისი წესდება. აღნიშნული წესდების განისაზღვრა, რომ დაცვის პოლიციის ამოცანებია დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან და ამ ამოცანების განხორციელების მიზნით დაცვის პოლიცია ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიცია რეორგანიზებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად - დაცვის პოლიციის დეპარტამენტად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულება, რომლითაც განისაზღვრა, რომ დეპარტამენტი არის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის უფლებამონაცვლე. ამავე დებულების თანახმად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ამოცანებია დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან და ამ ამოცანების განხორციელების მიზნით დეპარტამენტი ახორციელებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) დაცვას. ამდენად, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ისე კერძო პირების ხელშეკრულების საფუძველზე დაცვა ერთნაირად წარმოადგენს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საჯარო უფლებამოსილებას და მის უშუალო, პირდაპირ ფუნქციას, ანუ ამ შემთხვევაში დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას და სწორედ ამ მიზნით არის დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე ითხოვს სადავო თანხების ანაზღაურებას, რის გამოც იგი ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას განეკუთვნება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული საქმე, რის გამოც იგი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ როგორც საკასაციო სასამართლო თავად აღნიშნავს, ორგანიზაციულ მოწყობას, რასაც რატომღაც დიდი ადგილი ეთმობა დასაბუთებაში, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარია განხორციელებული ქმედების სამართლებრივი ბუნება. მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან არის პოლიციის საჯარო სამართლებრივი ფუნქცია და ის წესრიგდება საპოლიციო სამართლის ნორმებით. პოლიცია ამ ფუნქციას ახორციელებს საქმიანობის საჯარო სამართლებრივი ფორმების - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან რეალაქტის გამოყენების საშუალებით. ისეთი საპოლიციო



ფუნქციის განხორციელება, როგორცაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან არ საჭიროებს დაინტერესებულ მხარესთან შეთანხმებას. აღნიშნული საჯარო-სამართლებრივი ფუნქცია არ შეიძლება გახდეს ხელშეკრულების საგანი - „ყიდვა-გაყიდვის“ ობიექტი. დაცვის პოლიციის მიერ განხორციელებული საქმიანობა, არ წარმოადგენს იმ საჯარო სამართლებრივი ფუნქციის განხორციელებას, რაც პოლიციას კანონმდებლობით აქვს მინიჭებული, არამედ ის არის დამატებითი სერვისი. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ არც ერთი მხარე არ არის ვალდებული დადოს ეს ხელშეკრულება. თუ კი ეს იქნებოდა საჯარო ფუნქციის განხორციელება, არ გვექნებოდა მხარეების ასეთ არჩევანის თავისუფლება, სულ მცირე, დაცვის პოლიცია იქნებოდა ვალდებული ყველა მსურველთან დაედო ხელშეკრულება. უნდა გავმიჯნოთ შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო ფუნქციის დელეგირებას ახდენს კერძო დაცვის სამსახურებზე და მათი დახმარებით ახდენს საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან ობიექტებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

განსხვავებით საკასაციო სასამართლოს მოსაზრებისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირ დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და შპს-ს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელე კისრულობდა მოპასუხის დაცვის ვალდებულებას, ხოლო მოპასუხე ვალდებული იყო, გადაეხადა დაცვის მომსახურების ღირებულება ყოველთვიურად. აღნიშნული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას კი არ შეიცავდა, არამედ იგი კერძო სამართლის სუბიექტისათვის მომსახურების გაწევას ისახავდა მიზნად. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მოპასუხის მიმართ მომსახურების გაწევის შესახებ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანს არ ემსახურებოდა, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევისათვის. რამდენადაც მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება იყო კერძო სამართლებრივი, მის შესრულებასთან დაკავშირებული დავაც, შესაბამისად, განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით<sup>21</sup>.

#### 4.5. ადმინისტრაციული რეალაქტი

რეალაქტთან მიმართებით განსჯადობის საკითხის დადგენისას კვლავ აქტუალური ხდება ფორმის და შინაარსის გამიჯვნა. რეალაქტი, ფაქტიური მოქმედება, შეიძლება განხორციელდეს, როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. სწორედ შინაარსი განსაზღვრავს მის კუთვნილებას სამართლის კონკრეტული დარგისადმი. მაგ., როდესაც ადგილი აქვს საჯარო მოსამსახურეების მხრიდან ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც ხელყოფს სხვა პირთა პატივს და ღირსებას, დგება უფლების დაცვის საპროცესო სამართლებრივი საშუალების სწორად განსაზღვრის პრობლემა. იმისათვის, რომ მოთხოვნა საჯარო მოსამსახურემ თავი შეიკავოს

<sup>21</sup> იხ. სუს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინება, # ბს-901-862(ტ-06) 19 ივნისი, 2007წ., ქ.თბილისი

ასეთი ინფორმაციის გავრცელებისაგან ან უარყოფის ასეთი ინფორმაცია (ქმედების განხორციელება) განხილული იქნას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, დავის საგანი უნდა იყოს ადმინისტრაციული რელაქტი. პირველ რიგში, სახეზე უნდა იყოს ისეთი მოქმედება, რომელიც არ არის მიმართული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისაკენ (წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ). თუმცა მხოლოდ ფორმის დადგენა არ არის საკმარისი, ასეთი დეფაქტო მოქმედების შინაარსი ანუ საჯარო-სამართლებრივი ხასიათი მიჯნავს მას კერძოსამართლებრივისგან. თუ კი საჯარო მოხელის მხრიდან ინფორმაციის გავრცელება ხდება სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელების ფარგლებში ეს ღონისძიება იქნეს ადმინისტრაციული რელაქტის სამართლებრივ ბუნებას, სხვა შემთხვევაში ის იქნებოდა კერძოსამართლებრივი და დავა განხილვება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.<sup>22</sup>

ქმედების განხორციელების მოთხოვნით სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო იყენებს განსხვავებულ მიდგომას. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელესთან უნდა გაარკვიოს, თუ კონკრეტულად რომელი სამართლებრივი ნორმის საფუძველზე ითხოვს იგი ზიანის ანაზღაურებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს: 1. საპატრულო პოლიციის უფროსის გ. გ-ორისაგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, როგორც ფიზიკური პირისაგან; 2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გ. გ-ორის, როგორც სახელმწიფო მოსამსახურისა და სახელმწიფოსაგან სოლიდარულად; თუ 3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე-მხოლოდ სახელმწიფოსაგან. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, მაშინ აღნიშნული საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას დაექვემდებარება, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, შეიძლება იყოს განხილული, თუ სადავო სამართალურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ექნება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე გ. გ-ორის, როგორც სახელმწიფომოსამსახურისა და სახელმწიფოსაგან სოლიდარულად ან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მხოლოდ სახელმწიფოსაგან, მაშინ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელესთან უნდა გაარკვიოს, კონკრეტულად რომელ ადმინისტრაციულ ორგანოს ასახელებს მოპასუხედ.<sup>23</sup> დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისათვის არსებითია არა ის ფაქტი თუ რომელ ნორმებს უთითებს მოსარჩელე და არის

22 იხ. მია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, 2008, გვ.

23 იხ. სუს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის განჩინება, ბს-233-224(გ-10) 8 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი


თუ არა ეს ნორმა ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნაწილი, არამედ სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, რომელიც სასამართლომ უნდა დაადგინოს ობიექტურად მხარის პოზიციისგან დამოუკიდებლად.

## 5. დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში განხილული იქნა ადმინისტრაციული განსჯადობის საკითხი, როდესაც დავა ეხება საერთო სასამართლოების სისტემაში დავის სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას.

მიუხედავად იმისა, დავის განხილვა მოხდება ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, პირის კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლო დაცვის უფლება არის რეალიზებული. მაშინ რატომ არის განსჯადობის საკითხი ასე მნიშვნელოვანი? აქ უნდა გამოიყოს ორი საკითხი: საქმეების გამიჯვნა, პირველ რიგში, ემსახურება სამუშაოს განაწილებას ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სასამართლოებს შორის და ხელს უწყობს სპეციალუზებული (კვალიფიციური) სასამართლო შემადგენლობების შექმნას, რომელიც არის სასამართლო დაცვის უფლების ერთ-ერთი ელემენტი. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში სასამართლოს აქვს ორი ფუნქცია - ის ახდენს დარღვეული უფლების დაცვას და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ობიექტურ კონტროლს. ეს უკანასკნელი არ ხდება სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ინკვიზიციური ხასიათის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო, საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, ამოწმებს, თუ რამდენად არის შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება (მაგ., უარი თქვას სარჩელზე, ცნოს სარჩელი) კანონთან. ამ გადაწყვეტილების კანონსაწინააღმდეგოდ მიჩნევის შემთხვევაში მისი ნების საწინააღმდეგოდ, შეუძლია გააგრძელოს საქმის განხილვა და მიიღოს გადაწყვეტილება. განსჯადობის სწორად განსაზღვრის მთავარი მიზანია, ისეთი დავები, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან განხილული იქნას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და დაექვემდებაროს სასამართლოს მხრიდან მმართველობითი ფუნქციის კანონიერების ობიექტურ კონტროლს.

რაც შეეხება განსჯადობის დადგენის კრიტერიუმებს, პირველ რიგში, უნდა დავეყრდნოთ საქმიანობის სამართლებრივ ფორმებს და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ ზოგადი კრიტერიუმით, როდესაც შეუძლებელი ხდება საქმიანობის სამართლებრივი ფორმის დადგენა. დაუშვებელია სასამართლო აღიარებდეს იას-ას არსებობას და იმავდროულად დავას მიიჩნევდეს სამოქალაქო სამართლებრივად. რაც შეეხება კრიტერიუმს - „დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან“ - არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ნორმა თუ კი მოცემულია სამოქალაქო კანონმდებლობაში ის მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას აწესრიგებს, არამედ უნდა ამოვიდეთ ურთიერთობის შინაარსიდან.



## სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს გადაწყვეტილება

### კვიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ

(განაცხადი №73797/01) დიდი პალატის

2005 წლის 15 დეკემბრის განჩინება

### პროცედურა

1. საქმის საფუძველია 2001 წლის 9 აგვისტოს კვიპროსის მოქალაქე, ადვოკატ კვიპრიანუს (შემდგომში - განმცხადებელი) მიერ კვიპროსის რესპუბლიკის წინააღმდეგ სასამართლოში შეტანილი საჩივარი (№73797/01), ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (შემდგომში - კონვენცია) 34-ე მუხლის საფუძველზე.

[...]

16. 2001 წლის 14 თებერვალს განმცხადებელს პროკურორის მოწმის, ჯვარედინი დაკითხვის დროს სასამართლომ დაკითხვა შეაწყვეტინა. კვიპრიანუმ განაცხადა, რომ თავი იგრძნო შეურაცხყოფილად და მოითხოვა საქმისგან აცილება. წერილობით მოსაზრებებში მთავრობამ აღნიშნა, რომ სასამართლო

შეეცადა ჩარეულიყო ჩვეული გზით - მარტივი და ზრდილობიანი შენიშვნის მიცემით, რომელიც შეეხებოდა განმცხადებლის მიერ განხორციელებული ჯვარედინი დაკითხვის ფორმას. განმცხადებელმა დაუყოვნებლივ შეწყვიტა დაკითხვა, არ მისცა სასამართლოს საშუალება, დაესრულებინა შენიშვნა, და უარი განაცხადა ჯვარედინი დაკითხვის გაგრძელებაზე.

17. სამართალწარმოების სტენოგრაფიული ჩანაწერი შემდეგი სახის კომუნიკაციას შეიცავს (თარგმანი):

*„სასამართლო: ჩვენ მიგვაჩნია, რომ თქვენი ჯვარედინი დაკითხვა ეხება დეტალებს, რომლებიც სცდება მთავარი სხდომის ამ ეტაპისთვის დადგენილ ფარგლებს... განმცხადებელი: მე შევწყვეტ ჯვარედინ დაკითხვას...“*

[...]

განმცხადებელი: უკაცრავად, მაგრამ, როცა მე ვახდენდი ჯვარედინ დაკითხვას სასამართლო შემადგენლობის წევრები ერთმანეთს ელაპარაკებოდით და აწვდიდით რავასაკიებს (ravasakia), რის გამოც მე მომაკლდა ჯეროვანი ენთუზიაზმით ჯვარედინი დაკითხვის გაგრძელების შესაძლებლობა.

სასამართლო: ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის, რაც ბატონი კვიპრიანუს მიერ იქნა გაცხადებული, და სასამართლოსადმი მისი მიმართვის ფორმა წარმოადგენს სასამართლოს უპატივცემულობას. [...]

18. მცირე შესვენების შემდეგ, სასამართლომ, წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, განმცხადებელს ხუთდღიანი პატიმრობა მიუსაჯა.

### III. ლექსიკონი

1. ბერძნული სიტყვა *ραβασάκια (ravasakia)* წარმოადგენს სიტყვა *ραβασάκι (ravasaki)*-ის მრავლობით ფორმას და აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
  - (i) სასიყვარულო შინაარსის შემცველი მოკლე და საიდუმლო წერილი ჩანაწერი;
  - (ii) სასიყვარულო წერილი;
  - (iii) სასიყვარულო წერილი, საიდუმლოდ გაგზავნილი ჩანაწერი;
  - (iv) მოკლე წერილობითი გზავნილი, რომელიც, როგორც წესი, ადრესატისთვის უსიამოვნო ხასიათისაა (გაფრთხილება, მუქარა და ა.შ.).

## სამართალი

### I. კონვენციის 6 § 1 მუხლის სავარაუდო დარღვევა

60. განმცხადებელი დავობდა, რომ მისი საქმის განხილვა არ განხორციელებულა მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ, კონვენციის 6 § 1 მუხლის საფუძველზე, რომლის შესაბამისი ნაწილები ადგენენ:

„სისხლისსამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას ყველას აქვს ... საქმის ... განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“

[...]

122. განმცხადებელმა თავისი საჩივრის მიზეზად დაასახელა ის, რომ სასამართლომ ვერ დააკმაყოფილა მიუკერძოებლობის მოთხოვნები, ორივე ობიექტური და სუბიექტური ტესტის შესაბამისად. [...]

127. აღნიშნული საქმე შეეხება სასამართლოს უპატივცემულობას, რომელიც მოსამართლეთა მიმართ პიროვნულად არის გამოვლენილი. მოსამართლეები წარმოადგენდნენ განმცხადებლის კრიტიკის პირდაპირ საგანს მათ მიერ წარმართული სასამართლო პროცესის გამო. იმავე მოსამართლეებმა გამოიტანეს გადაწყვეტილება განმცხადებლის დევნის შესახებ, განიხილეს მისი ქმედების წარმოშობის მიზეზები, დაადგინეს ბრალი და შეუფარდეს პატიმრობა. ამ სიტუაციაში მომჩივანის, მოწმის, ბრალმდებლისა და მოსამართლის როლის აღრევას შეეძლო თავისთავად წარმოეშვა ობიექტურად გამართლებული ეჭვი სამართალწარმოების პრინციპთან მიმართებაში, რომლის თანახმადაც არავინ უნდა განსაჯოს საკუთარი საქმე.

128. ზემოაღნიშნულის მიხედვით, სასამართლო ადგენს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებები კვიპროსის სასამართლოს მიუკერძოებლობას ეჭვქვეშ აყენებდა. სასამართლო ასევე ადგენს, რომ განმცხადებლის ეჭვი სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ობიექტურად გამართლებული იყო, და კვიპროსის სასამართლომ ვერ შეასრულა კონვენციით დადგენილი მიუკერძოებლობის სტანდარტი ობიექტური ტესტის შესაბამისად.

129. განმცხადებელი დამატებით ჩიოდა, რომ კონკრეტული მოსამართლეები მოქმედებდნენ პიროვნული მიკერძოებულობით.

131. სასამართლო არ აყენებს ეჭვქვეშ კვიპროსის სასამართლოს კონკრეტული მოსამართლეების მიერ მართლმსაჯულების ადმინისტრირების და სასამართლო ხელისუფლების ერთიანობის (თუ ერთობლიობის) დაცვის მიზნით განხორციელებულ ქმედებას და იმას, რომ აღნიშნულიდან

გამომდინარე მათ ჩათვალეს საჭიროდ სასწრაფოდ დაეწყოთ გამარტივებული სამართალწარმოება. ამასთანავე, სასამართლო მიიჩნევს, რომ კვიპროსის სასამართლოს მოსამართლეებმა ვერ მოახერხეს შექმნილი სიტუაციისაგან საკმარისი დისტანცირება.

132. ამ დასკვნას განამტკიცებს სამართალწარმოების დაჩქარებული წარმართვა და მოსამართლეებსა და ბატონ კვიპრიანუს შორის გამართული მცირე საუბარი.
133. ამ გარემოების გათვალისწინებით და მოსამართლეთა პირადი ქმედებების განსხვავებული ელემენტების ერთობლიობაში განხილვით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ბატონი კვიპრიანუს მიერ წარდგენილი ბრალდება კვიპროსის სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით იყო ასევე გამართლებული სუბიექტური ტესტის შესაბამისად.
135. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქმის ფაქტობრივი გარემოებების სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით დადგენილი ობიექტური და სუბიექტური ტესტების განხილვის კვალობაზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ კვიპროსის სასამართლო არ იყო მიუკერძოებელი კონვენციის 6 § 1 მუხლის შესაბამისად.

#### IV. კონვენციის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა

##### 1. სასამართლოსთვის წარდგენილი არგუმენტები

##### (a) განმცხადებელი

152. განმცხადებელმა მიუთითა, რომ მისი მსჯავრდება და შეფარდებული სასჯელი წარმოადგენდა არაპროპორციულ „ჩარევას“ გამოხატვის თავისუფლების უფლებაში.
153. ამ საქმეში სასჯელის პროპორციულობის შეფასებისას განმცხადებელი უთითებდა, რომ, როცა საქმე შეეხებოდა ადვოკატს, რომელიც მოქმედებდა პროფესიულ საწყისებზე და კეთილსინდისიერად, ყველაზე მსუბუქი სისხლისსამართლებრივი სასჯელის შეფარდება კი შესაძლებელი იყო მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის შეფარდება დასაშვები იყო ყველაზე მძიმე უპატივცემულობის შემთხვევაში.
154. უფრო მეტიც, საპატიმრო სასჯელის შეფარდება ადვოკატისთვის, რომელიც მისი შეხედულებით (სწორად თუ მცდარად) ახდენდა თავისი კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას, იქონიებდა „მუსხავ ეგექტს“ სასამართლოში ადვოკატთა ქმედებების მიმართ. სისხლისსამართლებრივი დაცვის განმახორციელებელი ადვოკატის ძირითადი მოვალეობა იყო თავისი

კლიენტის დაცვა ყოველგვარი შიშის გარეშე, დამოუკიდებელ პროფესიულ შეფასებათა ფარგლებში. აღნიშნულის განხორციელებისას ადვოკატისთვის ზოგ შემთხვევაში აუცილებელია, გაასაჩივროს სასამართლოს მოქმედება და წინ აღუდგეს სასამართლოს ზეწოლას ან უდიერ მოპყრობას. მაგრამ, თუ ადვოკატისთვის ცნობილი იქნებოდა, რომ სასამართლოს შეუძლია მათი გრძელვადიანი დაპატიმრება მიუღებელი ექსპრესიული ტონის გამოყენებისთვის ან შეუფერებელი გამონათქვამებისთვის, ანდა სტრესის ქვეშ ემოციის გამოხატვისთვის, იარსებებდა რეალური რისკი იმისა, რომ ადვოკატი შეწყვეტდნენ თავიანთ ქმედებებს სასამართლოში კლიენტების საზიანოდ. შედეგად, პატიმრობის შეფარდება ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობას პირდაპირ აზარალებს და გავლენას ახდენს არა მხოლოდ ადვოკატის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებზე, არამედ მომავალი ბრალდებულების სამართლიანი სასამართლოს გარანტიებზეც.

155. როცა სასამართლო მიიჩნევდა, რომ ადვოკატმა დაარღვია დასაშვები გამოხატვის ჯეროვანი საზღვრები და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებული იყო, არსებობდა შესაბამისი საპასუხო ღონისძიებათა არჩევანი. მაგრამ სისხლისსამართლებრივ მსჯავრდებაზე პირდაპირი გადასვლა და საკმაო ხნით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება არ შეიძლებოდა განმარტებულიყო როგორც სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის აუცილებელი საშუალება, განსაკუთრებით მცირე, განცალკევებული სამართალდარღვევისას.
156. ამ საქმეში კვიპროსის სასამართლომ დაკარგა განსახილველ მნიშვნელოვან კონსტიტუციურ პრინციპთა დაბალანსების შეფასების ყველა საშუალება. უფრო კონკრეტულად, ადვოკატის მიერ გამოყენებული სიტყვები წარმოთქმულ იქნა პროფესიონალი ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლებში, როცა იგი ცდილობდა დაეცვა მისი კლიენტის საუკეთესო ინტერესები. მას არ უთქვამს უარი სასამართლოს კანონიერი თუ უკანონო ბრძანების დამორჩილებაზე; ასევე, მას არ გამოუყენებია უზამსი გამონათქვამი. კრიტიკა გამოთქმულ იქნა სასამართლოში და არა მის ფარგლებს გარეთ, მედიის წინაშე. ის ეხებოდა სასამართლოს აშკარა ინდეფერენტულობას იმ საკითხთან მიმართებაში, რომელიც განმცხადებლის მიერ ჯვარედინი დაკითხვის წარმართვასთან იყო დაკავშირებული და არ წარმოადგენდა კომენტარს, რომელიც გამოთქმულ იქნა უხეში ფორმით მოსამართლეთა შეურაცხყოფის ერთადერთი მიზნით, ან რაიმე სახით ეჭვქვეშ აყენებდა მათ პატიოსნებას ან მიუზნრომლობას. ის, რაც ადვოკატის მიერ განხორციელდა, იყო მხოლოდ საჩივრის გაცხადება ძლიერი და, შესაძლოა, ემოციური ფორმითაც იმის თაობაზე, რომ სასამართლომ უსამართლოდ შეზღუდა მისი ჯვარედინი დაკითხვა, რადგან მოსამართლეები, მტკიცებულებებზე კონცენტრირების ნაცვლად, საუბრობდნენ და ერთმანეთს აწვდიდნენ ბარათებს.
157. ამასთან დაკავშირებით განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ყველა ადვოკატი ოდესმე ყოფილა ამგვარ მდგომარეობაში და, შესაბამისად, აღმოჩენილა ანალოგიური დილემის წინაშე. ძირითადად, ყველაზე გონივრულ გამოსავლად ითვლება - არ განაცხადო არაფერი და განაგრძო პროცესი, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში დაყენებულ უნდა იქნეს შუამდგომლობა. კულმინაციურ მომენტში შესაძლებელია ადვოკატმა გამოიყენოს სიტყვები,



რომლებიც მის ემოციებს გამოხატავდა, ან მცდარი ინტერპრეტაციის საგანი ყოფილიყო, ანდა გამოხატულიყო უხეში ფორმით. ადვოკატთა პროტესტებს შეეძლო გამოეწვია სიტუაციის გაუარესება, გამოსწორების ნაცვლად. ზემოაღნიშნული წარმოადგენდა შეჯიბრებითი სისხლისსამართლებრივი პროცესის რეალური სამყაროს ნაწილს. ამ კონტექსტში განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მის მიერ გამოყენებული სიტყვები არ უნდა განმარტებულიყო ექსკლუზიურად ან აშკარად შეურაცხმყოფლად; სიტყვა რავასაკია (რავასაკია) ექვემდებარებოდა ორნაირ ინტერპრეტაციას.

158. გარდა ამისა, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მისი კომენტარი იყო დაუგეგმავი და გაკეთდა სტრესული სასამართლო პროცესის პირობებში, როცა მისი მოქმედება იქნა გაკრიტიკებული სასამართლოს მიერ. მთელი ინციდენტი გაგრძელდა რამდენიმე წუთი. ასიზების სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი, გამოეთქვა პრეტენზია განმცხადებლის ქმედების შესახებ პროცესის წინარესტადიებზე. ეს არ წარმოადგენდა შემთხვევას, როცა განმცხადებელი არის პერმანენტულად შეურაცხმყოფელი, მიუხედავად წინარე გაფრთხილებებისა.
159. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელს მიაჩნია, რომ უარეს შემთხვევაში მისი გაკრიტიკება შეიძლებოდა შეფასების მცდარი ფორმის გამოყენების გამო და ეს საკითხი უნდა განხილულიყო კვიპროსის ადვოკატთა ასოციაციაში მისი ხანგრძლივი და უმწიკვლო 40-წლიანი კარიერის კონტექსტში.
160. სამაგალითო წამყვანი ადვოკატის მსჯავრდება სასამართლოს უპატივცემულობის გამო და მისთვის ხუთდღიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, წარმოადგენდა აშკარად არაპროპორციულ პასუხს იმ უეცარ შეფასებაზე, რომელიც განხორციელდა მის მიერ კლიენტის წარმოდგენის პროცესში, სტრესულ პირობებში მკვლელობის საქმის განხილვის სასამართლო სხდომაზე.
161. დასასრულს, განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ამ განსახილველი საქმის მასშტაბი გაცილებით უფრო მეტი იყო, ვიდრე კვიპროსის რეგიონალურ სასამართლოში დამაბულ აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რაც გულისხმობდა სასამართლოს ღირსების დაცვის აუცილებლობის და იურიდიული პროფესიის თავისუფლების და დამოუკიდებლობის ურთიერთშერწყმას, რადგან ისინი წარმოადგენენ მართმლსაჯულების ადმინისტრირების პროცესში საზოგადოებრივი რწმენის შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს.

**(b) მთავრობა**

162. მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლების უფლებაში ჩარევა ეფუძნებოდა სასამართლოების შესახებ კანონს და კონსტიტუციას და, შესაბამისად, „იყო გათვალისწინებული კანონით.“

163. რაც შეეხება განმცხადებლის უფლების შეზღუდვის „აუცილებლობას“, მთავრობამ აღნიშნა, რომ სასამართლო სამართალწარმოების პრაქტიკით მკაფიოდაა დადგენილი სასამართლო პროცესისა და მართლმსაჯულების ადმინისტრირების დაცვის საჭიროება გაუმართლებელი შეტევებისგან, განსაკუთრებით კი მოსამართლეების, რომლებიც, მათი როლისა და მოვალეობების დისკრეციიდან გამომდინარე, არ იყვნენ უფლებამოსილნი ეპასუხათ პირადი ხასიათის განცხადებებზე მედიის საშუალებით, პოლიტიკოსებისა და სხვა საჯარო ფიგურების მსგავსად მაშინაც კი, როცა ადვოკატს აქვს თავისი პირადი მოსაზრებების გამოხატვის თავისუფლება სასამართლო სხდომის დარბაზში, ის შეიძლება შეიზღუდოს სასამართლოს ავტორიტეტის შენარჩუნების მიზნით
164. მიყენებული შეურაცხყოფის ხარისხის და განმცხადებლის დამცინავი მოპყრობის გათვალისწინებით, შეფარდებული სანქცია იყო გამართლებული და არ სცდებოდა სასამართლოსთვის გადაცემული შეფასების საზღვრებს. ამასთან დაკავშირებით მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებელი იყო გამოჩენილი ადვოკატი ორმოცწლიანი გამოცდილებით, პარლამენტის ყოფილი წევრი და გენერალური პროკურატურის ყოფილი მაღალჩინოსანი. მისი თავშეუკავებელი გამოხდომა იწვევდა სასამართლოს და მართლმსაჯულების ადმინისტრირების მიმართ საზოგადოებრივი რწმენის დაკნინების რისკს. ოქმიდან ნათლად ჩანდა, რომ განმცხადებელმა არ გამოიყენა მოზოდიშების რამდენიმე შესაძლებლობა, და ამის მაგივრად უფლებამოსილების გადამეტებას დაამატა სასამართლოს აცილება. სანქციის პროპორციულობა, პირველ რიგში, ექვეოდა წევრ სახელმწიფოთა შეფასების საზღვრებში. ამ საქმეში შეფარდებული პატიმრობის ხანგრძლივობა არ წარმოადგენდა მაქსიმალურ ვადას.

## 2. სასამართლოს შეფასება

### (a) იყო თუ არა ჩარევა სახეზე

166. ის ფაქტი, რომ ეროვნულ სასამართლოთა მიერ სასამართლოს უპატივცემულობის გამო განმცხადებლის მსჯავრდება წარმოადგენდა კონვენციის 10 § 1 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების უფლებაში „ჩარევას“, არ გამხდარა სადავო. სასამართლოს არ გააჩნია სხვა დასკვნის გამოტანის საფუძველი.

### (b) იყო თუ არა ჩარევა გამართლებული

167. პირის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა იწვევს კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას, თუ იგი არ მიეკუთვნება ამავე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ერთ-ერთ გამონაკლისს
168. მხარეები თანხმდებოდნენ, რომ განმცხადებლის მსჯავრდება და სასჯელი განსაზღვრული იყო კანონით, კერძოდ, სასამართლოების შესახებ 1960 წლის კანონის 44-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით და კონსტიტუციის 162-

ე მუხლით. ასევე, უდავო იყო ჩარევის კანონიერი მიზანი, რაც კონვენციის 10 § 2 მუხლის შესაბამისად გამოიხატებოდა სასამართლოს ავტორიტეტის დაცვაში.

169. შესაბამისად, განსახილველი რჩებოდა ერთადერთი საკითხი: იყო თუ არა გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის.“

(i) ზოგადი პრინციპები

170. „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობის“ ტესტი მოითხოვს სასამართლოს მხრიდან იმის დადგენას, შეესაბამება თუ არა ჩარევა „აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას.“ წევრ სახელმწიფოებს აქვთ გარკვეული შეფასების საზღვრები ამგვარი საჭიროების განსაზღვრისას, მაგრამ აღნიშნული ექვემდებარება ევროპულ ზედამხედველობას, რაც გულისხმობს კანონმდებლობის და მის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილებების შემოწმებას, მათ შორის, დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ მიღებულიასაც.

171. უფრო კონკრეტულად, სასამართლომ უნდა დაადგინოს, თუ რამდენად იყო გამოყენებული ღონისძიება „დასახულ ლეგიტიმურ მიზანთან პროპორციული“. აღნიშნულის განხორციელებით სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ეროვნული უწყებები ეყრდნობოდნენ რელევანტური ფაქტების შეფასებას და იყენებდნენ იმ სტანდარტებს, რომლებიც შესაბამისობაშია მე-10 მუხლით დადგენილ პრინციპებთან. ამასთანავე, სამართალწარმოების სამართლიანობა, შესაბამისი პროცედურული გარანტიები და შეფარდებული სასჯელის ბუნება და სიმკაცრე წარმოადგენს ფაქტორებს, რომლებიც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, როცა ხდება მე-10 მუხლით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის შეფასება.

172. ფრაზა „სასამართლოს ავტორიტეტი“ კონკრეტულად გულისხმობს ცნებას, რომ სასამართლოები ფართო საზოგადოების მიერ აღქმულნი არიან სამართლებრივი დავების მოგვარების შესაბამის ფორუმად და სისხლისსამართლებრივი ბრალდების თაობაზე პირთა ბრალეულობის ან არაბრალეულობის განმსაზღვრელებად. სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის კუთხით დემოკრატიულ საზოგადოებაში შესაძლოა საფრთხის ქვეშ მოექცეს როგორც ცალკეული ბრალდებულის, ასევე მთელი საზოგადოების სასამართლოსადმი ნდობა სისხლის სამართლის სამართალწარმოებისას.

173. ადვოკატთა სპეციალურის ტატუსი, მართლმსაჯულებისადმინისტრირებისას, მათ საზოგადოებასა და სასამართლოს შორის შუამავლის ცენტრალურ როლს არგუნებს. ამგვარი პოზიცია განაპირობებს ადვოკატთა ქმედებების ჩვეულ შეზღუდვებს. ადვოკატთა როლის გათვალისწინებით, ლეგიტიმური იქნება მათთვის მოთხოვნა, რათა ხელი შეუწყონ მართლმსაჯულების ჯეროვან ადმინისტრირებას და, შესაბამისად, შეინარჩუნონ საზოგადოების ნდობა.

174. მე-10 მუხლი იცავს არა მარტო გამოხატულ იდეათა და ინფორმაციათა საფუძვლებს, არამედ მათი გადმოცემის ფორმასაც. მაშინ როცა ადვოკატებსაც აქვთ საზოგადოებაში მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე კომენტირების უფლება, მათი კრიტიკა არ უნდა გასცდეს გარკვეულ საზღვრებს. უფრო მეტიც, სასამართლო სხდომის დარბაზში ადვოკატის გამოხატვის თავისუფლება არ არის შეუზღუდავი და გარკვეული ინტერესები, როგორცაა სასამართლოს ავტორიტეტი, არის საკმარისად მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ გაამართლონ უფლების შეზღუდვა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სასჯელის შეფარდება ეროვნულ სასამართლოთა კომპეტენციას მიეკუთვნება, სასამართლო უთითებს სამართალწარმოების პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება დაცვის მხარის ადვოკატის მიმართ გამოხატვის თავისუფლების ამგვარი შეზღუდვის (მათ შორის, ყველაზე მცირე სისხლისსამართლებრივი სასჯელის) მიჩნევა დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელ ღონისძიებად.
175. ნათელია, რომ ადვოკატები, მათი კლიენტების დაცვისას სასამართლოში, განსაკუთრებით კი შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესზე, შეიძლება აღმოჩნდნენ დელიკატურ სიტუაციაში, როცა მათ უნდა გადაწყვიტონ, გააპროტესტონ თუ არა სასამართლოს მოქმედება, და ამავდროულად იფიქრონ მათ მიერ წარმოდგენილი პირების ინტერესების დაცვაზე. საპატიმრო სასჯელის შეფარდებას, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ექნება თანამდევი „მსუსხავი ეფექტი“ არა მარტო კონკრეტული ადვოკატების მიმართ, არამედ ადვოკატთა პროფესიისთვისაც ზოგადად მათ შესაძლოა თავი შეზღუდულად იგრძნონ ზეპირი პოზიციის დაფიქსირებისას, პროცედურული შუამდგომლობების გაცხადებისას და სხვა შემთხვევებშიც სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მათი კლიენტების საქმეებზე ინტერესების არდაზიანების გამო. იმისათვის, რომ საზოგადოებას ჰქონდეს რწმენა მართლმსაჯულების ადმინისტრირების პროცესისადმი, მათ უნდა გააჩნდეთ ნდობა იურიდიული პროფესიის მიმართ, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი წარმომადგენლობა. საპატიმრო სასჯელის შეფარდებამ დაცვის მხარის ადვოკატისთვის შესაძლოა გარკვეულ შემთხვევებში იქონიოს გავლენა არა მარტო ადვოკატის მე-10 მუხლით გარანტირებულ უფლებებზე, არამედ ასევე მისი კლიენტის კონვენციის მე-6 მუხლით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებაზეც. ამრიგად, ნებისმიერი „მსუსხავი ეფექტი“ მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, როცა ხდება სასამართლოებსა და ადვოკატებს შორის შესაბამისი ბალანსის დაცვა ეფექტიანი მართლმსაჯულების ადმინისტრირების კონტექსტში.

*(ii) ზემოაღნიშნული პრინციპების გამოყენება ამ საქმეში*

176. აღნიშნულ საქმეში განმცხადებელი მსჯავრდებულ იქნა სასამართლოს უპატივცემულობის გამო სასამართლოს მიერ, როცა იგი იცავდა მკვლელობაში ბრალდებულ პირს სასამართლოში. მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ განმცხადებელმა სიტყვებით და მოქმედებით გამოხატა აშკარა უპატივცემულობა სასამართლოს მიმართ.
177. სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად იქნა დაცული საქმეში სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, სასამართლოს ავტორიტეტის დაცვის აუცილებლობასა

და, მეორე მხრივ, განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლების დაცვას შორის საადვოკატო უფლებამოსილების პროცესში.

178. კვიპროსის სასამართლომ განმცხადებელს შეუფარდა ხუთი დღით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული არ შეიძლება იქნეს მიჩნეული არამკაცრ სასჯელად, განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ იგი აღსრულდა უმაღვე. აღნიშნული შემდგომშიც ძალაში დარჩა უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.
179. განმცხადებლის მოქმედება შეიძლება იქნეს მიჩნეული როგორც გარკვეული უპატივცემულობის გამოხატვა მოსამართლეთა მიმართ. მაგრამ, მიუხედავად უხეშობისა, ადვოკატის კომენტარები მიზანმიმართული იყო და ეხებოდა მხოლოდ მოსამართლეთა მიერ საქმის განხილვის ფორმას, კერძოდ, მოწმის ჯვარედინ დაკითხვას, რომელსაც განმცხადებელი აწარმოებდა თავისი კლიენტის ინტერესების დაცვისას მკვლელობის ბრალდებაში.
180. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოსთვის არ არის დამაჯერებელი მთავრობის არგუმენტაცია, რომ განმცხადებლისთვის შეფარებული საპატიმრო სანქცია არის თანაზომიერი დანაშაულის სიმძიმესთან, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელი არის ადვოკატი და მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული ალტერნატივები.
181. შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული სასჯელი იყო არაპროპორციულად მკაცრი განმცხადებლისთვის და ახდენს „მსუსხავ ეფექტს“ დაცვის ადვოკატის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე სასამართლოს დასკვნა, რომ პროცედურული სამართლიანობა იქნა დარღვეული სასამართლოს უპატივცემულობის გამო მიმდინარე გამარტივებული სამართალწარმოებისას, უნდა იქნეს განხილული პროპორციულობის დარღვევასთან ერთად.
182. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ კვიპროსის სასამართლომ ვერ დაიცვა სწორი ბალანსი სასამართლოს ავტორიტეტის დაცვასა და განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლების უფლებას შორის. ის ფაქტი, რომ განმცხადებელმა მოიხადა სასჯელის მხოლოდ ნაწილი, არ ცვლის ამ დასკვნას.
183. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას იმ მიზეზით, რომ განმცხადებელს შეუფარდა არაპროპორციული სასჯელი.

**ამ მიზეზთა გამო, სასამართლო:**

1. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის 6 § 1 მუხლის დარღვევას;
2. ადგენს თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ არ არის აუცილებელი კონვენციის 6 § 2 მუხლთან დაკავშირებით განმცხადებლის საჩივრის ცალკე განხილვა;

3. ადგენს ერთხმად, რომ არ არის აუცილებელი კონვენციის 6 § 3 მუხლთან დაკავშირებით განმცხადებლის საჩივრის ცალკე განხილვა;
4. უარყოფს მთავრობის წინასწარ პრეტენზიას კონვენციის მე-10 მუხლთან დაკავშირებით;
5. ადგენს ერთხმად, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას;
6. ადგენს ერთხმად:
  - (a) რომ მოპასუხე სახელმწიფომ, კონვენციის 44 § 2 მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღისათვის არსებული კურსით, კვიპროსულ ფუნტში (ევროს ეკვივალენტი ?) გადაუხადოს განმცხადებელს:
    - (i) 15,000 EUR (? ათას ხუთასი ევრო) (თხუთმეტი ათასი ევრო) არამატერიალური ზიანის გამო;
    - (ii) 35,000 EUR (ოცდათხუთმეტი ათასი ევრო) საპროცესო ხარჯებთან დაკავშირებით;
    - (iii) ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთანაა დაკავშირებული;
  - (b) ზემოაღნიშნული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღისათვის მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

## კომენტარი - კვიპრიანუ კვიპროსის წინააღმდეგ

### *თამარ ღონღაძე*

*ევროკავშირის პროექტის მენეჯერი*

*იურიდიული დახმარებისა და ადვოკატურის საკითხებში*

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი გამოხატვის თავისუფლებას იცავს. ამავე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. გამოხატვის თავისუფლების ლეგიტიმური შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძველს "სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის შენარჩუნება" წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *კვიპრიანუს კვიპროსის წინააღმდეგ* სასამართლოს უპატივცემულობისთვის *ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მართლზომიერებაზე იმსჯელა*. ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში კვიპრიანუს საქმე ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილებაა, რომელშიც კონკრეტულად ადვოკატის როლისა და პროფესიის შეფასება მოხდა სასამართლოს ავტორიტეტის შენარჩუნებასთან მიმართებით.

ადვოკატის უფლებამოსილების ჯეროვნად განხორციელებისათვის გამოხატვის თავისუფლება ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს. ევროპულმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები წარმოადგინა, ერთი მხრივ, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებისა და, მეორე მხრივ, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის შენარჩუნების კუთხით. საქმეში ადვოკატ კვიპრიანუს მიერ გაკეთებული კომენტარი კვიპროსელმა მოსამართლეებმა სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის

გამოხატვად შეაფასეს და ადვოკატს ხუთდღიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ევროპულმა სასამართლომ დეტალურად შეისწავლა, რამდენად იყო ადვოკატის მიმართ გამოყენებული სასჯელის ზომა *„აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.“*

ევროპულმა სასამართლომ *„სასამართლოს ავტორიტეტის“* მნიშვნელობის განმარტების პარალელურად შეაფასა *ადვოკატის განსაკუთრებული როლი და სტატუსი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში*. მისი განმარტებით, ადვოკატებს საზოგადოებასა და სასამართლოს შორის შუამავლის ცენტრალური როლი აკისრიათ, რისი გათვალისწინებითაც, *ადვოკატის კრიტიკა სასამართლოს მიმართ არ უნდა გასცდეს გარკვეულ საზღვრებს*. ადვოკატის გამოხატვის ფორმის დეტალური განხილვის შედეგად ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სასამართლო პროცესის დროს ადვოკატის მიერ გაკეთებული კომენტარი მხოლოდ მოსამართლეთა მიერ საქმის განხილვის ფორმას ეხებოდა.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას მხედველობაშია მიღებული *სასჯელის ბუნება და სიმკაცრე*. ევროპულმა სასამართლომ კვიპრიანუს ხუთდღიანი პატიმრობა არ მიიჩნია დემოკრატიულ საზოგადოებაში შეზღუდვის აუცილებელ ღონისძიებად. სასჯელის შეფასებისას სასამართლომ გაამახვილა ყურადღება განმცხადებლის პროფესიის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და განმარტა, რომ *პატიმრობის შეფარდება გამოიწვევდა „მსუსხავ ეფექტს“* ზოგადად ადვოკატებისთვის.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, კვიპრიანუს საქმეში დაირღვა ბალანსი, ერთი მხრივ, განმცხადებლის გამოხატვის თავისუფლებასა და, მეორე მხრივ, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის დაცვას შორის. სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების უფლების დარღვევას იმ მიზეზით, რომ განმცხადებელს არაპროპორციული სანქცია შეეფარდა.



## ლუთარსაბ ანდრონიკაშვილი - იურიდიული ჰროფესიის ფუძემდებელი

ლუთარსაბ ანდრონიკაშვილი დაიბადა 1872 წელს. ჰეტეროტურვის უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მიღების, სტრასბურგისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში ფილოსოფიური ცოდნის გაღრმავების შემდეგ ჩაერთო სანდუკატო-საქმიანობაში. 1898 წელს შევიდა რუსეთის ადოკატურაში. მალე სახელი გაითქვა როგორც გამოჩენილ ნიჭიერ მწიგნობარს და თავდადებულმა უფლებამოსილმა იურისტმა. ის ჰოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებულ ისტორიული მნიშვნელობის დანახლოებით 150 სანამართლო პროცესზე იცავდა სამართლიანი და პროგრესული იდეების მატარებლებს. ოქტომბრის სახელმწიფო

გადარბილების შემდეგ მთლიანად ჩაერთო სამეცნიერო-ჰედაგოგიურ და საკონსულტაციო საქმიანობაში. 1917 წელს დროებით მთავრობამ სენატორად დანიშნა. 1919-1920 წლებში ის ცხოვრობდა და მუშაობდა ტულასა და მოსკოვში. 1921 წელს გადავიდა თბილისში. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში უმაღლესი იურიდიული განათლების ორგანიზება და განვითარება, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის დაარსება. მან შექმნა ორი ახალი სასწავლო კურსი – დანამართლის ფსიქოლოგია და სიტყვიერების კულტურა. სამეცნიერო-ჰედაგოგიური საქმიანობის ჰარაღლურად, ლუთარსაბ ანდრონიკაშვილი აქტიურად მონაწილეობდა უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების მომზადებაში. რესპუბლიკის მთავარი სამართალდამცავი ორგანოების მუდმივი კონსულტანტი იყო. პროფესიული ინტერესებით 1931 წელს აშშ-ში გაემგზავრა.

ლუთარსაბ ანდრონიკაშვილი ხშირად საჯაროდ გამოდიოდა მხატვრული ლიტერატურის, თეატრისა და მუსიკის საკითხების შესახებ.

გარდაიცვალა 1939 წელს. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა ჰანთონში.

ლუთარსაბ ანდრონიკაშვილის ჰირადი არქივი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და 282 სარქივო საქმეს შეიცავს. ბუნებრივია, მისი ჰირადი არქივის ძირითადი ნაწილი 1902-1915 წლებში უფლებამოსილებითი საქმიანობის ამსახველ ათეულობით კონკრეტულ ჰოლიტიკურ ხასიათის საქმეს (ჰოლიტიკურ საქმიანობაში ჩართული ნოვოროსისკის უნივერსიტეტის სტუდენტთა საქმე, სახელმწიფო დუმის დეპუტატთა საქმე, ფინური სახედრო ორგანიზაციის



საქმე... ) შეეხება. ცალკე გამოყოფილი მისი სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი საქმეები.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის არქივის ყველაზე საინტერესო ნაწილად შეიძლება მისი ჰირადი ჩანაწერები და დღიურები მივიჩნიოთ. არასაჯაროობისთვის განკუთვნილ ამ არტეფაქტებში შესანიშნავად ჩანს აზროვნების ის სისტემა, მრავალპლანობიანი და ეკლექტური განზრების მეთოდები, ქვეცნობიერი კონფლიქტები, რითაც მისი ჰიროზული და ჰროფესიული ფასეულობათა სისტემა საუკეთესოს არჩევად ქართული, ევროპული, რუსული სამზროვნო ტრადიციებიდან. ამის ნიმუშად მის ერთ უთარბლო თემის წიგნაკს მოვიყვანოთ, სადაც ჩანაწერების თემატიკაში შესანიშნავად ჩანს მისი ინტერესთა სფეროც და ეკლექტური თემატიკა: ჰეგელის ფილოსოფიის და ლოგიკის, კანტის სწავლება ზნეობის შესახებ, გრინის ინგლისის ისტორია, მასში კოვალევსკის ევროპის ეკონომიკური ზრდა, კოვალევსკის კრიტიკა, რამდენიმე ლექსი ქართულ ენაზე, ნოტები რომანისისა „შენთან მომიქარია“, ჰირადი ხასიათის ჩანაწერები და სხვა.

## “ბობოქარი ლუარსაბი”

### ოთარ გამყრელიძე

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

1922 წელს ამ ახლადშექმნილ ორგანიზაციაში, რომელსაც საქართველოს დამცველთა კოლეგია დაერქვა, სხვა ცნობილ ჰროფესიონალებთან ერთად, გამოჩენილი იურისტი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი გაწევრიანდა. ამჟამად წელს ლუარსაბ ანდრონიკაშვილი დიდი ივანე ჯავახიშვილის წინადადებით თბილისის სახელმწიფო-ტენიერსიტეტიც მიუწვევიათ, სადაც მან სოციალ-ეკონომიკური ფაქტორების იურიდიული განყოფილება შექმნა და საბაჟო დარღვევებზე იურიდიულ ფაქტორებს.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი “ბობოქარი ლუარსაბის” (Неистовый Луарсаб) სახელით მთელს რუსეთში სახელგანთქმული დამცველი იყო. როგორც ჩემი წინა თანობისგან მსმენია, იგი დიდ რუს დამცველთა ოქროს სუთეთულში შედიოდა. როგორც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი ლუარსაბ ანდრონიკაშვილის რუსულ იურიდიულ წრეებში, ეს კარგად ჩანს ვიქტორ ოგოლევიცის მოგონებებიდან. “მიხეილ ვილიამის ძე ბერეშტამისგან გამოვიგონე, - იხსენებს ვ. ოგოლევიცი - რომ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი განუთქმობელი იყო, როდესაც იგი, ფრანკში გამოწეობილი, განსასჯელის ინტერესებს იცავდა. იგი აღსაწეო იყო ენერგიით, ვნებით, შეუპოვარი ტემპერამენტით. მისი მსურველად, ლამაზად და ლაკონურად აწეობილი სიტყვა ისეთ ზემოქმედებას ახდენდა, რომ მოსამართლეებს სშირად გამამართლებელი განაჩენი გამოჰქონდათ ისეთ საქმეებზეც კი, რომლებსაც ყველა თემდოდ თვლიდა” (იხ. თ. წერეთელი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი რევოლუციონერთა და ჰროგრესულ მოღვაწეთა დამცველი, გვ. 25-36).

აქ მინდა გავისხენო ერთი, მეტად შთაბეჭდვითი ფაქტიც, რომელიც ნათლად მოწმობს ლუთარსანაპანდრონიკაშვილის დიდ ორატორულ ნიჭს. 1967 წელს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში სანდრო ასმეცელის დაბადების 80 წლის თავი გაიმართა, შ. ნუცუბიძემ თავის სიტყვაში ს. ასმეცელთან ურთიერთობას რომ იხსენებდა, თქვა: როცა კ. მარჯანიშვილსა და ს. ასმეცელს შორის დამოკიდებულებამ განსაკუთრებით გამწვავდა, მოღვაწეებმა გადაწყვიტეს მომრიგებელი სასამართლო აერჩიათ, მე ს. ასმეცელმა მთხოვა სასამართლოში მიდი ინტერესები დამეცვა, მაგრამ კ. მარჯანიშვილმა ჩემს წინააღმდეგ ისეთი ჰიროზება გამოიყენა, რომელსაც სულ ტყუილად რომ ელაპარაკა, მე ვერ ვაჯობებდიო. ეს იყო ლუთარსანაპანდრონიკაშვილი. სასურველია, რომ ამას ამბობს კაცი, თვითონ გამოჩენილი ჰოლივუდური ორატორი, თავის დროზე დამოკიდებულ სექსუალურ დამფუძნებელი კრების წევრი, გამოჩენილი თავისი კონებამსახილობითა და მოსწრებულ სიტყვით. შ. ნუცუბიძის სიტყვები მე ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, რადგან სხენებულ საიტებილიო სილაშის მეტ ვესწრებოდი ოპერის თეატრში.

ლუთარსანაპანდრონიკაშვილის ორატორულ ნიჭს დიდად აფასებდა აგრეთვე ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, მწერალი გრიგოლ რობაქიძე, რომელიც ამავე დროს განსაზღვრავდა შესანიშნავი ლიტერატურული ორატორი. ლუთარსანაპანდრონიკაშვილისადმი 1923 წლის 1 მარტს რუსულ ენაზე მიწერილ წერილში, იგი აღფრთოვანებას ვერ მალავს ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე ანდრონიკაშვილის მიერ დოსტოევსკის შემოქმედების ირგვლივ წარმოთქმული სიტყვის გამო.

«Когда вы говорили о Достоевском - მიმართავდა მწერალი ლ. ანდრონიკაშვილს - „Мне представился человек с подлым прореческом вдохновением. Сколко «речи» слышал я о Достоевском, но так, как говорили вы, не кто не говорили никто...»

მე მთხოვეს მონაწილეობა მივიღო ვაგნერის საღამოში, - განაგრძობს რობაქიძე - მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეთანხმებოდი, თუკი თქვენც იტყვიან რამდენიმე სიტყვას «Для меня морально неприемимо чтобы я говорил о Вагнера, а вы молчали» გენიალური მწერლის ეს სიტყვები თვალნათლივ მოწმობს ლუთარსანაპანდრონიკაშვილის საჯარო გამოსვლის შთაბეჭდვებელ ძალას მშენებლურ და მის ღრმა განათლებასაც.

ბუნებით მომადლებული ორატორული ნიჭის გარდა, ლუთარსანაპანდრონიკაშვილი ღრმად განათლებული ადამიანი ვახლდათ. იგი არა მარტო სამართლის სხუდასხვა დარგში იყო ფრიად განსწავლული, არამედ შესანიშნავად იცოდა ფილოლოგია, ლიტერატურა, თეატრი,.. მასსოვს თინათინ წერეთელი მიუყვებოდა, მე-20 საუკუნის ოციან წლებში თბილისში ჩამოვიდა და ლუთარსანაპანდრონიკაშვილს ესტუმრის ცნობილი რუსი მწერალი იური ტინიანოვი. ანდრონიკაშვილებს ოჯახში თბილისში ერთგვარ სალონს წარმოადგენდა, სადაც თავს იყრიდა მამინდელი თბილისის ინტელიგენცია, მოდიოდნენ ცნობილი მეცნიერები, მწერლები, თეატრალური.. საუბარი ლიტერატურას შეეხებოდა. როცა ბატონი ლუთარსანაპანდრონიკაშვილი თქვა, ოთახში გავიდა, მასწიშლის ღრმა ლიტერატურული განათლებით აღფრთოვანებულმა სტუმარმა დრო იხელთა და დასწრეებს თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა «Более интересного собеседника по вопросам литературы я в жизни не встречал».

თინათინ წერეთელი ჩემთან საუბარში განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ლუთარსანაპანდრონიკაშვილის ფაქტზე თეატრალურ გემოვნებას. იგი ამბობდა, რომ ბატონი ლუთარსანაპანდრონიკაშვილის ახლო მეგობარი იყო, დიდი რეჟისორი, როცა თეატრში სპექტაკლის გენერალურ

რეპეტიციას მართავდა და დაბნელებაში ლაშარსაბ ანდრონიკაშვილი ეგულებოდა, განსაკუთრებით მონდომებას იჩენდა, რომ მისი გეგმობა დაგეგმვაში იყო. რაც შეეხება სანდრო ანდრონიკაშვილს, ის ლაშარსაბ ანდრონიკაშვილს მიზანსადაც დადგმის დროს ხშირად რჩევებსაც ეკითხებოდა.

ყოველივე ამასთან ერთად, ლაშარსაბ ანდრონიკაშვილის ზეგნებებს ერთი დიდი ადამიანური თვისებაც აქვდა. თავის თანამედროვეთა შორის იგი უაღრესად მაღალი ზნეობით გამოირჩეოდა. ლაშარსაბ ანდრონიკაშვილის ზნეობრივი ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ეს თვისება მისი გარდაცვალების შემდეგაც კი მისაბნელებად და სანდრონიკაშვილის კულტურულ წრეებში. თინათინ წერეთელს თავის წიგნში, რომელიც ლაშარსაბ ანდრონიკაშვილის დატყვევების სანდრონიკაშვილის შესახებ მოხსენიებულია, აქვს მოხსენიებული. კ. აგუშვილიც ცხადად მომხდარული ზიანისთვის კონკრეტულად განმარტავს თბილისში მიმდინარე და სანდრონიკაშვილის ლაშარსაბ ანდრონიკაშვილის მომხდარების სანდრონიკაშვილის დატყვევების შესახებ. მისი თქმით, ლაშარსაბ ანდრონიკაშვილი, ვიდრე რომელიმე სანდრონიკაშვილი სანდრონიკაშვილის დატყვევების შესახებ, წინასწარ სამ საკითხს წყვეტდა: “თუ დავეთანხმები ამ სანდრონიკაშვილს, რაც იტყვის ადამიანი, რომელიც მე მომხდარო, რას იტყვიან ამხანაგები, რას იტყვის ჩემი სინდისი? და აიღებდა სანდრონიკაშვილს მამის თუ სამივე კითხვებზე ზუსტად იყო - ეს ატყვევებდა”.

ასეთი თვისებები ახასიათებდა ლაშარსაბ ანდრონიკაშვილს, კაცს რომელიც ჩვენ ზნეობის ამტკიცებდა. იგი უთუოდ დარჩება მისაბნელებად მანდრონიკაშვილს სანდრონიკაშვილის დატყვევების და ახალი თანობებისთვის.



**თბილისი:**

ძგები ზუბალაშვილების ქ. 36

ტელ: 2 22 46 54

ეთიკის კომისიის ცხელი ხაზი:

ტელ: 2 200 262

სასწავლო ცენტრი:

ტელ: 2 22 46 54 (შიდა ნომერი 18)

**ქუთაისი:**

ნინოშვილის 8

ტელ: (0431) 247 247

**თელავი:**

ვარდოშვილის 15

ტელ: (0370) 272 015

[www.gba.ge](http://www.gba.ge)

